

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტის

**გიორგი ბუაძის**

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი  
კანონშემოქმედებით საქმიანობაში**

(წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

ხელმძღვანელი: პროფესორი ნანა ჭილაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:  
Email: nana.chighladze@tsu.ge  
ტელ: 577 59 99 05

თბილისი

2019 წელი  
შინაარსი

**შესავალი** ..... 4

**თავი I. საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში**.....8

**1.1. საკონსტიტუციო კონტროლის არსი და დანიშნულება**

1.1.1. საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღების მიზანი .....8

1.1.2. საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები და თავისებურებები .....16

**1.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი სამართალშემოქმედებაში**....22

1.2.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების ფარგლები.....2

2

1.2.2. ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების ქართული ფენომენი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეალური საკონსტიტუციო კონტროლის გამონწვევის პირისპირ.....26

**თავი II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნეგატიური კანონმდებლის სტატუსის ფარგლებს მიღმა - საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა**.....36

**2.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პოზიტიური კანონმდებლობის შექმნის ზღვარზე**.....37

2.1.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, როგორც პოზიტიური ნორმა.....3

7

2.1.2. პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში – საკანონმდებლო პროცესის თანამონაწილე თუ პოზიტიური კანონმდებელი ..... 46

**2.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების შედეგები და აღსრულების თავისებურებები**.....50

2.2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების რეალური გავლენა კანონმდებლობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ..... 50

2.2.2. ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე გადანყვეტილების აღსრულების თავისებურებები .....63

**თავი III. საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ნორმის განმარტების ფარგლები – შედარებითი მიმოხილვა** .....67

**დასკვნა**.....74

**ნაშრომში გამოყენებულ შემოკლებათა და აბრევიატურათა ნუსხა:**

**გაერთიანებული სამეფო** - დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო.

**გერმანია** – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

**აშშ** – ამერიკის შეერთებული შტატები.

**ა.შ.** - ასე შემდეგ.

**იხ.** - იხილეთ.

**მაგ.** - მაგალითად.

**რედ.** - რედაქტორი.

**ჟურნ.** - ჟურნალი.

**ხელმძღვ.** - ხელმძღვანელი.

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი კანონმდებლობით საქმიანობაში

*„ნამდვილი კანონმდებელი ის იქნება,  
ვისაც აქვს აბსოლუტური უფლება განმარტოს კანონი“<sup>1</sup>.*

### შესავალი

თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია დამყარებულია ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფის იმგვარ პრინციპზე, რომელიც გულისხმობს ამ უფლებების არამხოლოდ დაცვას სახელმწიფოსაგან, არამედ ასევე სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას ამ უფლებების დაცვის მიმართულებით.<sup>2</sup> აღნიშნულ მიზანს ემსახურება ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა, რომელიც შექმნილია ხელისუფლების შტოების თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დასაცავად და ეფექტიანი მმართველობის განსახორციელებლად, რაც გამოიხატავს უფლებამოსილებათა გაორებას<sup>3</sup> და შეუზღუდავი ძალაუფლების რომელიმე ერთი შტოს ხელში თავმოყრას.<sup>4</sup> ნებისმიერი სახელმწიფო მმართველობა იქნება წარმატებული, თუკი ძალაუფლების გამიჯვნასთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება მისი შეკავება—განონსწორების მექანიზმის გამართულად ფუნქციონირება.<sup>5</sup> მედისონი თქვობდა, რომ ხელისუფლების

<sup>1</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 275. ციტირება ეპისკოპოს ჰოდლის ქადაგებიდან, 1717 წელი.

<sup>2</sup> ხუბუა გ., ერთი კონსტიტუციური ტერმინის შინაარსისათვის, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2000, 65.

<sup>3</sup> ხუბუა გ., საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები; სახელმძღვანელო: საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, რედ: გ. ხუბუა და კ. ზომერმანი, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, თბილისი, 2016, 66.

<sup>4</sup> იქვე, 65.

<sup>5</sup> გეგენავა დ., ძალაუფლების გამიჯვნის ქართული მოდელის პრობლემა, *ნიგნში*: კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I, დ. გეგენევას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018, 71.

შტოები თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას ერთმანეთის გაძლიერების პარალელურად, ერთმანეთის გაკონტროლებასაც უნდა ახერხებდნენ.<sup>6</sup>

იმისათვის, რომ ხელისუფლების დანაწილება, სახელმწიფო ფუნქციების რაციონალური განაწილების გზით, ძირითადი უფლებების დაცვის მიზანს ემსახურებოდეს, აუცილებელია სხვადასხვა ორგანოებმა, რომელთა საქმიანობა განსხვავებულ ასპექტებსა და ინტერესებს მოიცავს, ერთმანეთის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მომზადებაში მიიღონ მონაწილეობა (თანამოქმედება), მათ შორის ასეთ გადაწყვეტილებათა შემდგომი გადამონმების მექანიზმებით.<sup>7</sup> ამ თვალსაზრისით ხელისუფლების რომელიმე შტოსათვის კომპეტენციების მინიჭება გულისხმობს მისთვის ერთგვარი გაფრთხილების მიცემას,<sup>8</sup> რომ მის მოქმედებებს შესაძლოა ხელისუფლების სხვა შტოსგან წინააღმდეგობა შეხვდეს.<sup>9</sup> ხოლო ძალაუფლების კონცენტრაციის შემაკავებელი მთავარი ბერკეტი სწორედ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როცა „ძალაუფლების მსურველი და ამ სურვილის მისაღწევი მექანიზმების მფლობელი ერთი და იგივე პირი არაა“.<sup>10</sup>

ძალაუფლების გამიჯვნის ქმედითობას, მისი შემადგენელი სამი ელემენტის – ინსტიტუციური გამიჯვნის, ფუნქციური გამიჯვნისა და შეკავება–განონასწორების სისტემის კუმულაციური არსებობა განაპირობებს<sup>11</sup>, რაც მინუმუმამდე ამცირებს არამხოლოდ ძალაუფლების ერთი შტოს ხელში კონცენტრაციის, არამედ ხელისუფლების რომელიმე ორი შტოს „პირის შეკვრის“ საფრთხეებს.<sup>12</sup> ამგვარ სისტემაში კანონმდებლის მიერ შექმნილი ზოგადსამართლებრივი ნორმების საფუძველზე აღმასრულებელი არეგულირებს პრაქტიკულ შემთხვევებს, ხოლო სასამართლო ამ პროცესში წარმოშობილი დავების ფარგლებში განმარტავს სადავოდ გამხდარ უფლებებს.<sup>13</sup>

<sup>6</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 92.

<sup>7</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 29-30

<sup>8</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019, 75.

<sup>9</sup> კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I, დ. გეგენევას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018, 64.

<sup>10</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003. ციტირება წიგნიდან: კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I, დ. გეგენევას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018, 64.

<sup>11</sup> კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I, დ. გეგენევას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018, 68–69.

<sup>12</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 297

<sup>13</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, 246.

პრაქტიკაში სახელმწიფოს ფუნქციების ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრობლემები ძირითადად საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ნორმათშემოქმედების ფუნქციების გაყოფაში გამოიხატებოდა.<sup>14</sup> მას შემდეგ, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ საფუძვლად კონსტიტუციური კონტროლის მეშვეობით ძირითადი უფლებების განმარტება და ხელისუფლების სამი ტრადიციული შტოსგან განსხვავებული ფუნქციის მატარებელი ინსტიტუციის არსებობა განისაზღვრა,<sup>15</sup> უკანასკნელი წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ სახელმწიფოებრივი ფუნქციების გადაკვეთა საკანონმდებლო და სასამართლო შტოს, უფრო მეტად კი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს შორის გახდა აქტუალური. ამ შემთხვევაში კომპეტენციების გადაფარვის სიმწვავე განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა კონსტიტუციით განსაზღვრული როლების განაწილების მოთხოვნის სანინააღმდეგოდ ძირითადი რეგულაციები არა კანონმდებლისგან, არამედ სასამართლოს მიერ დგინდება.<sup>16</sup> თუმცა ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს ე.წ. „გზიდან გადახვეული“ გადაწყვეტილება ხშირად არა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევა, არამედ კანონის ხარვეზიდან გამოსავლის აუცილებელი ფორმაც კია.<sup>17</sup>

*ჰანს კელზენის* მიხედვით სამართლის შემოქმედ ორგანოს პარლამენტი წარმოადგენს.<sup>18</sup> თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოებმა უკვე დიდი ხანია გადაუხვიეს იმ უფლებამოსილების ფარგლებიდან, როცა ნორმას მხოლოდ კონსტიტუციასთან შესაბამისად ან მასთან შეუსაბამოდ აღიარებდნენ, და კრიტიკაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნორმათშემოქმედი ორგანო, ნორმათა კონტროლზე ფართო უფლებამოსილებით თავის საზღვრებს აჭარბებს და კანონმდებლის ფუნქციას თავად ითავსებს, თანდათან იზრდება.<sup>19</sup> აღნიშნულ ტენდენციას ხელი თავად თანამედროვე სამყაროს მოთხოვნილებამ შეუწყო, რომ მას აღარ აკმაყოფილებდა სასამართლოს

<sup>14</sup> ხუბუა გ., საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები; სახელმძღვანელო: საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, რედ: გ. ხუბუა და კ. ზომერმანი, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, თბილისი, 2016, 66.

<sup>15</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 37.

<sup>16</sup> იქვე, 39.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი; სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 42.

<sup>19</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 31.

მხოლოდ კანონშემფარდებლის როლი<sup>20</sup>, რომელიც თავისი ამ ფუნქციით სხვა ორი ხელისუფლების შემდეგ შემდეგ მოდიოდა.<sup>21</sup> ამ ყველაფერმა კი შედეგად გამოიღო ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები საკანონმდებლო ორგანოებს ტოლს აღარ უდებენ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სიტყვის თქმაში და ეს ყველაფერი უკვე დიდი ხანია გადაზრდილია ამ ორ ორგანოს შორის კონკურენტულ ორთაბრძოლაში.

აღნიშნული კრიტიკის და ზოგადად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებამოსილებათა გაფართოების საკითხის მეორე მიმართულებაა საერთო სასამართლოების გადანყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილება, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია კონკრეტული კონსტიტუციური კონტროლის ფარგლებში. სწორედ იქედან გამომდინარე, რომ საერთო სასამართლოები კონსტიტუციასთან პრეზუმფციულად შესაბამისობაში მყოფ კანონებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს, ჩნდება სხვა სახელმწიფო ორგანოს მხრიდან იმის შეფასების საჭიროება, მართლაც კონსტიტუციურია თუ არა ის კანონი, რომელიც საერთო იურისდიქციის სასამართლომ მიმდინარე დავის ფარგლებში უნდა გამოიყენოს და ხომ არ არღვევინებს მას კანონმდებელი ადამიანის უფლებებს, როცა ეს სასამართლო ვალდებულია კონკრეტული (შესაძლოა არაკონსტიტუციური) კანონი გამოიყენოს. შესაბამისად, არანაკლები აქტუალობით გამოირჩევა საკითხი, თუ ვინ უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები, როცა საერთო სასამართლოების მიერ ხდება მათი დარღვევა და რა კავშირი აქვს ამ პროცესს საკანონმდებლო ორგანოსთან.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა საქმიანობის თავისებურებები, რომლებიც უკავშირდება მათ ნორმათშემოქმედებით ფუნქციებს და მათ გავრდილ როლს კანონშემოქმედებაში. ნაშრომში გადმოცემული მსჯელობა ფოკუსირებულია საკითხის ისეთ მიმართულებაზე, რომელიც კარგად წარმოაჩენს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების, განსაკუთრებით კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტიურ ჩართულობას საკანონმდებლო ნების განსაზღვრაში და მისი გადაწყვეტილებების სხვადასხვა სახის გავლენებს ხელისუფლების სხვა შტოებზე. კვლევის ძირითადი ამოცანაა ისტორიული, ანალიტიკური, პრაქტიკული და შედარებითი კომპონენტების განხილვის საფუძველზე წარმოაჩინოს საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის თავისებურებები, საკანონმდებლო საფუძვლები და არსებული პრეცედენტული გადაწყვეტილებები, რომლებიც განაპირობებს აღნიშნული ორგანოს მოწინავე ადგილს ხელისუფლების დანაწილების სქემაში. ამ მიზნით,

<sup>20</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 120.

<sup>21</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; აირის საქართველო, გამომც. სეზანი, 2003, 50.

ნაშრომში შემოთავაზებული კვლევის მეთოდი ორიენტირებულია ისეთ საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილებათა გავლენასა და ძალმოსილებაზე საკანონმდებლო ორგანოსა და მისი საქმიანობის მიმართ.

დასახელებული კვლევის მიზნების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავი ეთმობა საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილის განსაზღვრას ხელისუფლების დანაწილების სისტემაში. ამ თავში გადმოცემულია საკონსტიტუციო კონტროლის არსი და დანიშნულება, საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღების მიზანი, მისი დამკვიდრების დროს არსებული მიდგომები და წინააღმდეგობები. გაანალიზებულია ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატის და მისი საზღვრების შესახებ. ამავე თავში მოცემულია მსჯელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლზე სამართალშემოქმედებაში, კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების ფარგლებსა და ბოლო წლებში დამკვიდრებულ ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების ქართულ ფენომენზე – ფაქტობრივ რეალურ საკონსტიტუციო კონტროლზე, გამოხატულს ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შემოწმებაში.

ნაშრომის მეორე თავში მიმოხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნეგატიური კანონმდებლის სტატუსის საზღვრების გადალახვის პრობლემური ასპექტები. გააზრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოზიტიური კანონმდებლობის შექმნის თავისებურებები და საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილების, როგორც პოზიტიური ნორმის მახასიათებლები. ამ თავში მოცემულია პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც საკანონმდებლო საქმიანობაზე ერთ–ერთი ძლიერი გავლენის ბერკეტის შეფასება და მის დამკვიდრების საკითხი საქართველოს კანონმდებლობაში. მეორე თავის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვას კანონმდებლობაზე გადანწყვეტილებათა სხვადასხვა ეფექტის მიხედვით და შემდეგ გადმოცემულია მსჯელობა ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე გადანწყვეტილების აღსრულების თავისებურებებთან, კერძოდ, მოპასუხის განსაზღვის პრობლემასთან დაკავშირებით.

მესამე თავი გვთავაზობს შედარებით მიმოხილვას საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოთა მანდატსა და კონტროლის ფარგლებზე. სახელმწიფოები შერჩეულია საკონსტიტუციო კონტროლის როგორც კლასიკური, ისე



სპეციფიკური ხასიათებიდან გამომდინარე, აგრეთვე მათი გადანაცვებების საინტერესო, რეალური გავლენების გათვალისწინებით. ხოლო დასკვნაში შეჯამებულია ნაშრომის ძირითად ნაწილში გადმოცემული მსჯელობები მასში დასმულ პრობლემურ საკითხებზე და მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ავტორის აზრით, მიმართულია თემაში დასმული ძირითადი პრობლემების ეტაპობრივად დაძლევისაკენ.

## თავი I

### საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში

სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი მახასიათებელი ძალაუფლების დაბალანსებაა, რომელიც მიიღწევა როგორც ხელისუფლების ინსტიტუციური დანაწილების გზით, ისე ფუნქციური გამიჯვნით, რაც უზრუნველყოფს დანაწილებული შტოების მიერ ერთმანეთის კონტროლსა და განონასწორებას.<sup>22</sup> ხელისუფლების დანაწილება ამავე დროს უზრუნველყოფს პიროვნების რწმენის განმტკიცებას, რომ „ამ წესრიგს მისთვის სარგებლობა მოაქვს, იგი ამ წესრიგის ყურადღების ცენტრშია და არა მის მიღმა.“<sup>23</sup> ნაშრომის ამ თავის მიზანია ხელისუფლების დანაწილების სისტემაში საკონსტიტუციო კონტროლისა და მისი განმახორციელებელი ორგანოს როლის განსაზღვრა, ამ ინსტიტუტის დაფუძნების მცირე ისტორიული მიმოხილვის საფუძველზე მისი მნიშვნელობისა და ფუნქციის განსაზღვრა, რაც არსებითად უკავშირდება საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა გადანაცვებების გავლენას ხელისუფლების პოლიტიკური შტოების საქმიანობაზე.

#### 1.1. საკონსტიტუციო კონტროლის არსი და დანიშნულება

##### 1.1.1. საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღების მიზანი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ სიმბოლოდ მიიჩნევენ.<sup>24</sup> საფრანგეთის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ადამიანის უფლებებთან კომბინაციაში კონსტიტუციის არსებობას განაპირობებს და თუ იგი რომელიმე ქვეყანას უზენაესი კანონით აღიარებული არ აქვს, მაშინ ამ დოკუმენტს კონსტიტუციასაც ვერ ვუნოდებთ.<sup>25</sup> მკაფიოდ გადანაწილებული სახელმწიფო ფუნქციებისა და

<sup>22</sup> ხუბუა გ., ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ; ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016, 104.

<sup>23</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 39.

<sup>24</sup> ხუბუა გ., ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ; ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016, 110.

<sup>25</sup> იქვე, 105.

პასუხისმგებლობების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ამავდროულად ერთიერთშეთანხმებულად, დაბალანსებულად განხორციელება<sup>26</sup> ფორმალურთან ერთად გულისხმობს ასევე ხელისუფლების ერთი რომელიმე შტოს მიერ ხელისუფლების თვითნებური გამოყენების პრევენციას.<sup>27</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი მახასიათებელი სწორედ დაბალანსებული ძალაუფლებაა, რომელიც აწინასწორებს და ერთიერთკონტროლის საშუალებას აძლევს ხელისუფლების შტოებს.<sup>28</sup>

იმის აუცილებლობა, რომ ხელისუფლება უნდა დანაწილდეს, გამომდინარეობს მართვის კომპლექსური ხასიათიდან და სირთულიდან,<sup>29</sup> ხოლო სახელისუფლებო სისტემის გამარტივება მიიღწევა მისი დეცენტრალიზაციის გზით.<sup>30</sup> ამავდროულად, ხელისუფლების თითოეული შტო მისთვის შექმნილი ექსკლუზიური ძალაუფლებითაა აღჭურვილი, რომელიც სხვამ არ უნდა განახორციელოს.<sup>31</sup> „ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხელისუფლების შტოები ქმნიან კბილოვან ბორბალს, რომლის თითოეული კბილისაგან რეგულირდება სხვების მოძრაობა.“<sup>32</sup> ასეთ სისტემაში ფუნქციების ორგანიზება ხორციელდება Check and Balance (შემოწმება–დაბალანსების) სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ხელს უშლის ცალკეულ შტოებს, გასცდნენ კანონის მიერ მათთვის განპიროვნებულ სფეროებს.<sup>33</sup> თავად შეკავება–განწინასწორების მექანიზმის მთავარი მახასიათებელი საკონტროლო ბუნებაა,<sup>34</sup> რაც ამ შტოების ერთმანეთზე გადაჯაჭვულობას განაპირობებს. დემოკრატიაც ხომ არამხოლოდ მიზანს წარმოადგენს, არამედ ასევე ხელისუფლების ორგანიზაციულ პრინციპსაც.<sup>35</sup> „დემოკრატიისა და სამართლებრივი

---

<sup>26</sup> იქვე, 112.

<sup>27</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 92.

<sup>28</sup> ხუბუა გ., ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ; ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016, 104.

<sup>29</sup> ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006, 47.

<sup>30</sup> მელქაძე ო., საკონსტიტუციო თვითშემოქმედება გრძელდება, გაზეთი „24 საათი“, №148, 2004, 8.

<sup>31</sup> Wild S.E., Law Dictionary, Willey Publishing, 2006, 237, წიგნში: კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I, დ. გეგენევას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018, 72.

<sup>32</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, 246.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, „მერანი-3“, თბილისი, 2000, 238.

<sup>35</sup> ხუბუა გ., ერთი კონსტიტუციური ტერმინის შინაარსისათვის, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2000, 66.

პრინციპების თანაარსებობა მაშინაა შესაძლებელი, როდესაც დემოკრატიაში უმრავლესობის შეუზღუდავი ძალაუფლება არ მოიაზრება.<sup>36</sup>

მიჩნეულია და დავას აღარ იწვევს ის, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ისეთი დემოკრატიული „მწვერვალის“ მიღწევას ემსახურება, როგორცაა: ხელისუფლებისგან ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა, საკანონმდებლო შტოს თვითნებობის თავიდან არიდება და სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის გაუმჯობესება.<sup>37</sup> თუმცა გამომდინარე იქედან, რომ ადამიანის უფლებებისათვის საფრთხის თავიდან აცილება მაინც ვერ არის გარანტირებული დანაწილებული ხელისუფლების პირობებშიც კი, საჭირო გახდა დამატებითი გარანტიების დამკვიდრება, რომლის შესაბამისადაც იმოქმედებდნენ დანაწილებული ხელისუფლების განმახორციელებლები. ეს გარანტიებია კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი და მის დაცვაზე ორიენტირებული შესაბამისი ინსტიტუტები.

სასამართლო ხელისუფლება ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების სამწვერიან მექანიზმში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, რომელიც თავიდანვე პირველი ორი ხელისუფლების დაბალანსების მიზნით იქნა შემოღებული. თუმცა, ხშირად აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში სასამართლოების მხოლოდ არსებობის ფაქტი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობას. „სასამართლო ხელისუფლებაზე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების სრულფასოვან შტოზე, მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, თუ იგი აწონასწორებს და აკონტროლებს ხელისუფლების დანარჩენ შტოებს“.<sup>38</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების სამივე შტო ფუნქციებით და უფლებამოსილებებით თანაბარი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლების გაწონასწორება ვერ მიიღწევა.<sup>39</sup>

აღსანიშნავია, რომ სამივე ხელისუფლების თანაბრობის იდეა ყოველთვის აღიარებული არ იყო. რუსოს მიხედვით, კანონი სუვერენული საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული „საერთო ნების“ ფიქსაციას წარმოადგენდა.<sup>40</sup> თავისუფალი საქმიანობის

<sup>36</sup> იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, GTZ, გამომცემლობა სიესტა, თბილისი, 2009, 207.

<sup>37</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019, 73.

<sup>38</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, „ფაქორიტი სტილი“, თბილისი, 2016, 274.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> ლოვო ფ., თანამედროვე დიდი დემოკრატიები, ნ. ბალავაძისა და ნ. ცქიტიშვილის თარგმანი, თბილისი, 1990, ციტირება სტატიიდან: ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 125.

შეუზღუდავი ფარგლები მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებას უნდა ჰქონოდა და სასამართლოს მზარდი სამართალშემოქმედებითი ფუნქცია შეუთავსებელი იყო პარლამენტის უზენაესობასთან.<sup>41</sup> რუსოს მსგავსად ჰეგელიც საკანონმდებლო ძალაუფლებას მიიჩნევდა კანონმდებლობის პირველად წყაროდ და მართვის მთავარ საშუალებად.<sup>42</sup> ჰამილტონი და მედისონიც ხაზს უსვამდნენ რესპუბლიკური მმართველობის სახელმწიფოში საკანონმდებლო ხელისუფლების დომინანტურ ადგილს<sup>43</sup>. ზოგიერთი ავტორი კი პარლამენტის განსაკუთრებულობას მის შესაძლებლობაში – „სისტემის ღერძულა–შემკვრელი ელემენტის“ ფუნქციაში ხედავდა.<sup>44</sup>

თუმცა ხელისუფლების ჰორიზონტალური დანაწილების თანამედროვე მოდელი, დიდი ხანია აღარ მოიაზრებს ხელისუფლების განშტოებებს შორის იერარქიის დადგენას, როდესაც ამ შტოების სათავეში საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი ითვლებოდა.<sup>45</sup> ი. იუდიანის მოსაზრებით თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში შეინიშნება პარლამენტის, როგორც დამფუძნებელი ხელისუფლების სუვერენიტეტის შეზღუდვის ნიშნები,<sup>46</sup> რაც საკანონმდებლო კონტროლის ორგანოების მზარდ ძალმოსილებას უნდა მივანეროთ. ჯერ კიდევ ამერიკის კონსტიტუციის შემუშავებისას იქნა უარყოფილი იდეა, რომ პარლამენტი იქნებოდა უზენაესი ხელისუფლება ქვეყანაში და მისი აქტების მაკონტროლებლად უზენაესი სასამართლო (მოგვიანებით – საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ფუნქციით) დააფუძნეს.<sup>47</sup>

იმ მოტივაციით, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები თავადვე არ ყოფილიყვნენ თავიანთი ნორმების განმარტებაზე უფლებამოსილნი, სხვადასხვა ქვეყნებში განვითარდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შემოღების იდეა, რომელიც საკანონმდებლო განშტოების უზენაესობას მეტნაკლებად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ამის შედეგად, მოსამართლეებს მიეცათ საშუალება, „კანონები“ მხოლოდ ცალკეული

<sup>41</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, 247.

<sup>42</sup> ბობიო ნ., დემოკრატიის მომავალი, ნ. კენჭაძის თარგმანი, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი, 2003, 210.

<sup>43</sup> შტამპფი ი., ხელისუფლების დანაწილება, საკონსტიტუციო რეფორმების პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობა; სტატიათა კრებულიდან, <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>, 19.

<sup>44</sup> მელქაძე ო., მახარაძე ო., პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში (ქართულ პრობლემებთან დაკავშირებით), გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, მსოფლიო პარლამენტარიაზმის კვლევითი ცენტრი, 2001, 19.

<sup>45</sup> გ. ხუბუა გ., ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ; ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016, 112.

<sup>46</sup> კახიანი გ., აბსტრაქტული ნორმათკონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში, სამართლის ურნალი, №1, თბილისი, 2009, 64.

<sup>47</sup> გ. ხუბუა გ., ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ; ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016, 112.

პრეცედენტების მეშვეობით კი აღარ შეეცნათ, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინათ მთავარი კანონმდებლის – პარლამენტის საქმიანობაზე, რომელიც სულ მცირე, ანგარიშს გაუწევდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს როგორც კანონების, ისე კონსტიტუციის ტექსტის თაობაზე.<sup>48</sup>

მიუხედავად ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში არსებული ცალკეული მცდელობებისა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დამკვიდრება უკავშირდება ამერიკელი მოსამართლის, მარშალის სახელს და მის გადაწყვეტილებას საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“. მისი მოსაზრებით, კონსტიტუცია საკანონმდებლო ხელისუფლების შეზღუდვის აუცილებლობისთვის შეიქმნა<sup>49</sup> და „მხოლოდ სასამართლოს გამგებლობაშია და მის მოვალეობას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა არის კანონი“.<sup>50</sup> ეს გადაწყვეტილება ცხადყოფდა იმას, რომ ხელისუფლების არასასამართლო განმტოვების ნებისმიერი აქტის რევიზია იქნებოდა შესაძლებელი. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლოა არც ფიქრობდნენ მის პრეცედენტულობაზე, თუმცა ფაქტია, რომ მან პირველი ნიშნები გააჩინა სასამართლოს მამაცობის, რითაც გამოიკვეთა მისი გავლენა ხელისუფლების სხვა შტოებზე.

მართალია თავდაპირველად საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღების ერთ-ერთი მიზანი ხელისუფლების შტოებს შორის კონფლიქტის აღმოსაფხვრელად კონსენსუსის მიღწევის ინსტიტუციური გარანტიის შექმნა იყო,<sup>51</sup> თუმცა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების შეკავება–განონანსწორების მთავარი საშუალების შემოღების აუცილებლობა კონსტიტუციის დარღვევით კანონების მიღების საშიშროებამ წარმოშვა. კონსტიტუციის მცველად მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების განპიროვნება არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ იგი აუცილებლად კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედებდა. ამდენად, გაჩნდა საჭიროება ამ მანდატისთვის სპეციალური ორგანოს შექმნისა, რომელიც გარდაუვლად დაუპირისპირდებოდა საკანონმდებლო ხელისუფლების უზენაესობას.<sup>52</sup> კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედება პირველ რიგში სწორედ საკანონმდებლო ორგანოზე ვრცელდება,

<sup>48</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 120.

<sup>49</sup> იქვე, 280.

<sup>50</sup> მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1999, 109.

<sup>51</sup> გ. ხუბუა გ., ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ; ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016, 113.

<sup>52</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 275–276.

რადგან კონსტიტუციის დარღვევის საფრთხე სწორედ მისგან მომდინარეობს.<sup>53</sup> ამის გასაწესებლად საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვა ისეთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ბერკეტებით, რომელთა გამოყენებითაც იგი გავლენას ახდენს არამხოლოდ სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ სიტუაციაზეც.<sup>54</sup>

როგორც ჩანს, კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის ფუნქციის კეთილსინდისიერად შესრულებაში ეჭვი შეტანა „უცეცხლოდ“ არ გაჩენილა. „აბსოლუტური მიხედულება დაუნდობელი ბატონია“<sup>55</sup> და როგორც უფლების, ისე ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ასეთ ბატონობამდე მიყვანის საშიშროებას ქმნის.<sup>56</sup> გავრცელებული მოსაზრებით, „ხელისუფლება, რომელიც საკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ დაიცვას მოქალაქეები და მათი უფლებები, ასევე საკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ დაჩაგროს მოქალაქეები და თვითნებურად მოექცეს მათ უფლებებს“.<sup>57</sup> საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც სასამართლო ხელისუფლების სპეციალური სუბიექტი, საყოველთაო არჩევნებში გამარჯვებული უმრავლესობის ერთადერთ შემაკავებლად იქნა წარმოდგენილი, ვინაიდან საპარლამენტო (და შესაბამისად, სამთავრობოც) უმრავლესობის მიერ აბსოლუტური ძალაუფლების მოპოვების საფრთხე რეალური გახდა.<sup>58</sup> ხელისუფლების შებოჭვის ფუნქციას კი, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო ორგანოსი, ყველაზე უკეთ დამოუკიდებელი, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო გაართმევდა თავს.<sup>59</sup>

ევროპის ქვეყნებისთვის, ამერიკისგან განსხვავებით, ჩვეულებრივი სასამართლოს მიერ კანონის ავტომატურად არაკონსტიტუციურად მიჩნევა მიუღებელი აღმოჩნდა, და კონსტიტუციის მცველის როლისათვის<sup>60</sup> თავის გართმევა სხვა ორგანოს კომპეტენციად

<sup>53</sup> კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, 40.

<sup>54</sup> გვეგნავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, ნიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გვეგნავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 81.

<sup>55</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, 252. ციტირება: Douglas, The Theory of Judicial Decision, 1983, 109.

<sup>56</sup> ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006, 45.

<sup>57</sup> ხუბუა გ., ერთი კონსტიტუციური ტერმინის შინაარსისათვის, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2000, 65. ციტირება: Zippelius, R, Allgemeine Staatslehre, Politikwissenschaft, 12, Auflage Muenchen, 1994, S. 287,

<sup>58</sup> შტამპფი ი., ხელისუფლების დანაწილება, საკონსტიტუციო რეფორმების პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობა; სტატიათა კრებულიდან, <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>, 20.

<sup>59</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, სტატიათა კრებული; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>, 13.

<sup>60</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითმზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 282.

იქნა დანახული, რომელიც შებოჭავდა როგორც ნორმაშემფარდებელ სასამართლოებს, ისე ხელისუფლების სხვა შტოებსაც.<sup>61</sup> ევროპაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი, ხელისუფლების კლასიკური შტოებისაგან განცალკევებული ორგანოს შექმნის იდეა ავსტრიელი მეცნიერის, *ჰანს კელზენის* სახელთან არის დაკავშირებული.<sup>62</sup> ეს იდეა ამერიკული მოდელისგან განსხვავდებოდა იმით, რომ იქ საკონსტიტუციო კონტროლს საერთო სასამართლოები ახორციელებდნენ (აშშ-ს უზენაესი სასამართლო – კონტროლს, ქვედა ინსტანციის სასამართლოები – ზედამხედველობას), შესაბამისად, კელზენის მოდელი „ევროპული მოდელის“ სახელწოდებით დამკვიდრდა.<sup>63</sup> კელზენი მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმები არ უნდა ჩათვლილიყო სავალდებულო ძალის მქონედ და ეს მიუკერძოებელ და კვალიფიციურ სახელმწიფო ორგანოს უნდა ეთქვა.<sup>64</sup>

თუმცა არც ევროპაში არსებობდა ერთგვაროვანი მიდგომა სასამართლო ხელისუფლების ასეთ სიმალღებზე აყვანის თაობაზე და უფრო მწვავე კრიტიკა ისმოდა, ვიდრე ხელისუფლების შტოების გათანაბრების იდეის დროს. *ჯონ ლოკი* საკანონმდებლო ხელისუფლებას იერარქიაში ყველაზე უმაღლესად მიიჩნევდა.<sup>65</sup> *მონტესკიე* ფიქრობდა, რომ სასამართლო სხვა ორი ხელისუფლების მიერ შექმნილი აქტების მიხედვით მოქმედი ორგანო და ამ გაგებით მხოლოდ „კანონის პირი“ უნდა ყოფილიყო.<sup>66</sup> ინგლისშიც კი აღიარებული იყო, რომ სასამართლოთა ვალდებულებაა არა ის, რომ შექმნან ახალი სამართალი, არამედ დაიცვან და მისდინონ არსებულს.<sup>67</sup> კელზენის იდეის მოწინააღმდეგეები თვლიდნენ, რომ ქვეყანაში კიდევ ერთი სამართალშემოქმედი ჩნდებოდა, რომელიც პარლამენტზე ზემოთაც კი იდგა.<sup>68</sup> სხვები კი ამ მოდელს სუსტ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ვინაიდან იგი მხოლოდ მიმართვის შემთხვევაში გადანაცვებდა კანონის არაკონსტიტუციურობას და არ გააჩნდა „ფიზიკური“ ძალა თავისი გადანაცვებით ხელშესახები შედეგები გამოიწვია პოლიტიკურ ასპარეზზე.<sup>69</sup>

<sup>61</sup> იქვე, 281.

<sup>62</sup> გეგენაუა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 14.

<sup>63</sup> იქვე, 21.

<sup>64</sup> იქვე, 18.

<sup>65</sup> იხ. პატარაია დ., ჯონ ლოკი, ორი ტრაქტატი მმართველობაზე, საიუბილეო კრებული: მზია ლეკვეიშვილი 85, თბილისი, 2014, 505.

<sup>66</sup> შვარცი პ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; აირის საქართველო, გამომც. სეზანი, 2003, 50.

<sup>67</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, 247. ციტირება: Bllekstone, Commentaries, 1808, 407.

<sup>68</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 287.

<sup>69</sup> იქვე.

და მაინც, ხელისუფლების ყოველი ორგანოს როლს სახელისუფლებო სისტემაში, უპირველეს ყოვლისა, მის განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა მნიშვნელობა და მოცულობა განაპირობებს.<sup>70</sup> კონსტიტუციური მართლმსაჯულების ფუნქციაა კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს მოქალაქეთა უმრავლესობის ნების გამოხატულების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებებისგან დაცვა.<sup>71</sup> თავდაპირველი წინააღმდეგობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოებმა ახალი დემოკრატიის ქვეყნებში გამორჩეული ნდობა, ავტორიტეტი და სტატუსი მოიპოვეს, არამხოლოდ იურისტთა წრეში, რომელთათვისაც საკონსტიტუციო სამართალმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეების თვალში იგი მიუკერძოებელ, პოლიტიკისაგან შორს მყოფ დანესებულებად დამკვიდრდა, რომლის სიტყვისაც განსაკუთრებულად სჯერათ.<sup>72</sup>

მართლაც, საკონსტიტუციო სასამართლომ არამხოლოდ კონსტიტუციის დაცვა იკისრა, არამედ მისი ნორმების განმარტების გზით კონსტიტუციას მნიშვნელობა შესძინა და მასში ხელისუფლებისგან დამცავი მექანიზმის დანახვა ნამდვილად მოხერხდა. „შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ეფუძნება, ქმნის, აღასრულებს და იცავს სამართალს“.<sup>73</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებებით სახელმწიფო ინსტიტუტებს თავიანთი პოზიტიური და ნეგატიური უფლება-მოვალეობები გაუნერა, რითაც ღირსეული ადგილი დაიკავა დანაწილებული ხელისუფლების სისტემაში.<sup>74</sup>

### 1.1.2. საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები და თავისებურებები

კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა თავისთავად არ ხდება და ამ პროცესში მოსალოდნელია მისი დარღვევა როგორც განზრახ, ისე სამართალშემოქმედების დროს

<sup>70</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი; სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 111.

<sup>71</sup> შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმატიული კონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2003, 9.

<sup>72</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 58.

<sup>73</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 92.

<sup>74</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 23.



გაპარული ხარვეზების გამო<sup>75</sup>. „საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროც არ იქნებოდა, პოლიტიკური პროცესი უნაკლოდ რომ ფუნქციონირებდეს.“<sup>76</sup> აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებულია საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი, როგორც კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი საშუალება.<sup>77</sup> კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა ისეთ საშუალებებს მოიცავს, რომელთა გამოყენებითაც სახელმწიფო ორგანოთა სამართლებრივი აქტების ქვეყნის ძირითად კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ხდება, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი – ასეთი აქტების გაუქმება.<sup>78</sup> ამის გამო კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ყველაზე ეფექტიან მექანიზმად საკონსტიტუციო კონტროლია მიჩნეული.<sup>79</sup>

საკონსტიტუციო კონტროლში ცნობილი კონსტიტუციონალისტი ს. აგაკიანი სახელმწიფო საქმიანობის ისეთ მიმართულებას მოიაზრებს, რომელიც ორიენტირებულია კანონმდებლობის სწორად გამოყენების გზით სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების დაცვაზე.<sup>80</sup> კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს განსაკუთრებული ადგილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში სწორედ საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური მანდატითაა განპირობებული და განსაზღვრავს კიდევ საკონსტიტუციო სასამართლოს მონინავე ადგილს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში.<sup>81</sup> თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ხელისუფლების სხვა

<sup>75</sup> შანავა ა., ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მისი გადამწყვეტილების სავალდებულობის შესახებ; კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი [http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI\\_SHNAVA\\_93010.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI_SHNAVA_93010.pdf)

<sup>76</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, სტატიათა კრებული; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>, 14–15. ციტირება: Petersen, N., Verhältnismäßigkeit als Rationalitätskontrolle. Eine rechtsempirische Studie verfassungsrechtlicher Rechtsprechung zu den Freiheitsgrundrechten, Tübingen, 2015, S. 32.

<sup>77</sup> შანავა ა., ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მისი გადამწყვეტილების სავალდებულობის შესახებ; კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი [http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI\\_SHNAVA\\_93010.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI_SHNAVA_93010.pdf) ციტირება: გ. კვერენჩილაძე. კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი). ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2006, №3.

<sup>78</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი; სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 13.

<sup>79</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005, 11.

<sup>80</sup> იქვე, 14.

<sup>81</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, 456.

ორგანოებს არ აქვთ კანონის ნორმის ოფიციალური განმარტების კომპეტენცია, ნათელი ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ნორმათშემოქმედებით პროცესში.<sup>82</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დემოკრატიის სიმყარეს მხოლოდ კონსტიტუციის მიღება არ განაპირობებს, არამედ არსებითი მნიშვნელობისაა მისი ცხოვრებაში რეალიზება.<sup>83</sup> საკონსტიტუციო ზედამხედველობა კონსტიტუციით განმტკიცებულ შეკავება–განონანსწორების პრინციპს სიცოცხლეს სძენს და უზრუნველყოფს ხელისუფლების არჩევითი ორგანოების მიერ სასამართლოს – დემოკრატიასთან, ხოლო არჩევითი ხელისუფლების – კონსტიტუციასთან დაკავშირებას.<sup>84</sup>

საკონსტიტუციო კონტროლის გარეშე კონსტიტუციის უზენაესობის რეალიზება ვერ იქნება უზრუნველყოფილი, ხოლო მისი მიღწევის საშუალებაა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება.<sup>85</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციის გამო სამართლებრივი სახელმწიფოს გვირგვინსაც კი უწოდებენ, გამომდინარე იქედან, რომ მისი წყალობით თითოეულ ინდივიდს შესაძლებლობა აქვს გაასაჩივროს ნორმა, რომელიც მისი აზრით არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებს.<sup>86</sup> საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის საშუალება და ხელისუფლების დანაწილების, შეკავებისა და განონანსწორების სისტემის შემადგენელი ნაწილი, უზრუნველყოფს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, კონსტიტუციის უზენაესობას, წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ძირითად გარანტორს, გვთავაზობს დარღვეული უფლების აღდგენისა და რეალიზაციის შესაძლებლობებს.<sup>87</sup> ზედამხედველობისგან განსხვავებით საკონსტიტუციო კონტროლი, კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობასაც გულისხმობს<sup>88</sup> და უფრო მყარ კავშირს ქმნის საკანონმდებლო ხელისუფლებასთან.

<sup>82</sup> ცნობილადე პ., ხუბუა გ., ხმალადე ვ., მეტრეველი ნ., კაპანაძე ო., როგორ იქმნება კანონი, გამომცემლობა აზრი, თბილისი, 2000, 195.

<sup>83</sup> კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, 40.

<sup>84</sup> მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1999, 107.

<sup>85</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005, 17.

<sup>86</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, 457.

<sup>87</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 35-36.

<sup>88</sup> დუდაშვილი ნ., კონსტიტუცია და მისი დამცველი ინსტიტუტის როლი ძალაუფლების გამიჯვნაში, სამართლის სტატიათა კრებული, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, 21.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსს და საქმიანობის წესს კანონით განსაზღვრავს ხელისუფლების სხვა შტო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარლამენტი იერარქიულად საკონსტიტუციო სასამართლოზე მაღლა დგას.<sup>89</sup> რასაც გადაჭრით ვერ ვიტყვით საკონსტიტუციო სასამართლოზე პარლამენტთან მიმართებით, გამომდინარე იქედან, რომ მას პარლამენტის აქტების გაუქმება შეუძლია, მათ შორის იმ აქტებისაც, რომლითაც პარლამენტმა ამ სასამართლოს საქმიანობის წესი დაადგინა. თუმცა, ვინაიდან ორივე ორგანო კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვას თანაბრად ექვემდებარება და საქმიანობას კონსტიტუციით დადგენილი მასშტაბით ახორციელებს, შეიძლება ითქვას, რომ არც საკონსტიტუციო სასამართლო დგას სხვა კონსტიტუციურ ორგანოებზე უფრო მაღლა და თანაბრად არის ვალდებული, მათი კონსტიტუციური სტატუსი დაიცვას,<sup>90</sup> თუნდაც რეპრესიული მეთოდებით.

პარლამენტი, რომელიც დამფუძნებელი ხელისუფლების სტატუსით სარგებლობს, ერთადერთი აღარ არის, რომელსაც კონსტიტუციური ნორმის განვითარების კომპეტენცია აქვს.<sup>91</sup> ხშირად მიუთითებენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის ინტერპრეტაციის გზით მის სიცოცხლეს უზრუნველყოფს და პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად ახერხებს ახალ გარემოებებთან შეგუებას.<sup>92</sup> მხოლოდ მართლმსაჯულებას შეუძლია უზრუნველყოს ნორმის ნამდვილი შინაარსის განვითარება და შემეცნება.<sup>93</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმათა განმარტებების ერთ-ერთი მიზანია კონსტიტუციური პრობლემების შეუქცევადად გახდომამდე მისი პრევენცია.<sup>94</sup>

როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო კონტროლის დროს ხდება გასაჩივრებული აქტისა და კონსტიტუციის დებულებების შედარება/შეპირისპირება, მაგრამ როცა ეს ხერხი ცალსახა პასუხს არ იძლევა, დგება ორივე აქტის განმარტების ანუ ინტერპრეტაციის

---

<sup>89</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, 460.

<sup>90</sup> ხუბუა იქვე.

<sup>91</sup> ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 131.

<sup>92</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 50. ციტირება: ბლანკენაგელი ალ., გაული ვ., კონსტიტუციური მომენტები და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ყოველდღიური ცხოვრება, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000.

<sup>93</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, 249.

<sup>94</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; აირის საქართველო, გამომც. სეზანი, 2003, 69.

საჭიროება.<sup>95</sup> საკანონმდებლო აქტში გადმოცემული ნორმები უმეტესად აბსტრაქტული შინაარსის შემცველია, რაც არასაკმარისია მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ერთეურობების რეგულირებისათვის.<sup>96</sup> ამავე დროს კონსტიტუცია ვერასოდეს იქნება დასრულებული.<sup>97</sup> ზოიძის აზრით, მართალია „კანონმდებელს არ მოეთხოვება, რომ კანონები ზღაპრით მარტივად დაწეროს, მაგრამ არც ჰავიოგრაფიულ ნაწარმოებებს არ უნდა დაამსგავსოს იგი“.<sup>98</sup> კონსტიტუციური მართლმსაჯულების პროცესი კონსტიტუციასთან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, და არა კონსტიტუციიდან გამოსავლის სრულად ამოკითხვას.<sup>99</sup> ამ პროცესში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეძლოს პოლიტიკის სამართლებრივ სივრცეში დროებით გადმოხილება ნახევრად პოლიტიკური, მცირე მოცულობისა და ნაკლებად სრულყოფილი აქტის – კონსტიტუციის მეშვეობით<sup>100</sup>. ამდენად, საკანონმდებლო ნორმების რეალიზაცია უკავშირდება მათ განმარტებასა და ინტერპრეტაციას. ეს არის ნიშანი იმისა, რომ კანონი არ არის სამართლებრივ პრობლემათა გადაჭრის მზა რეცეპტი.<sup>101</sup>

ო.ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელების მთავარი ფუნქციაა ეჭვის გამორიცხვა და მისმა განმახორციელებელმა ორგანომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ეჭვის გამორიცხვის შემდეგ.<sup>102</sup> „ის, რაც ეჭვს არ იწვევს, მისი ინტერპრეტაცია არ ხდება“.<sup>103</sup> გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხშირად საკმაოდ პრობლემატურია ნორმის ინტერპრეტაცია და კანონშემოქმედება იმდენად უახლოვდება ერთმანეთს<sup>104</sup>, რომ ნორმის განმარტებას აქტის „მომავლის“ დადგენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ ფორმით სასამართლო კანონმდებელს და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ეხმარება

<sup>95</sup> გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998, 26

<sup>96</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 463–464.

<sup>97</sup> ბლანკენაგელი ალ., გაული ვ., კონსტიტუციური მომენტები და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ყოველდღიური ცხოვრება, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 253–254.

<sup>98</sup> ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006, 39.

<sup>99</sup> ქაშაკაშვილი ნ., კონსტიტუციის განმარტება და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ხედვები; სტატიათა კრებულიდან, <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>, 98.

<sup>100</sup> იქვე, 98.

<sup>101</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 51.

<sup>102</sup> ჯორბენაძე, ო., მოსაზრებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #3/2/646 გადაწყვეტილების შესახებ (განმეორებითი წინასწარი პატიმრობა); სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), 2015, 1.

<sup>103</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 469.

<sup>104</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, სტატიათა კრებული; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>, 10.

არამართო კონსტიტუციის, არამედ სხვა სამართლებრივი აქტების სწორად გაგებაში, რაც ხშირად სხვა არაკონსტიტუციური აქტების მიღების პრევენციას უწყობს ხელს.<sup>105</sup> „მიიჩნევენ, რომ სამართლებრივი ნორმების განმარტების ყველა ხერხი სასამართლო პრაქტიკის „მუხლებზე დაიბადა“.<sup>106</sup>

საკონსტიტუციო კონტროლის გააქტიურების პარალელურად განსაკუთრებით გამოიკვეთა პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენელთა შიში და კონკურენცია სასამართლოს, როგორც ინტელექტუალური მეტოქის მიმართ.<sup>107</sup> მიუხედავად ამ ინსტიტუტის მნიშვნელოვანი როლისა ხელისუფლების სისტემაში, მიიჩნევა, რომ იგი ხელისუფლებას საკმაოდ დისკომფორტს უქმნის, ვინაიდან მათ კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებისკენ მოუწოდებს<sup>108</sup> და მათი აქტების გაუქმებით „იმუქრება“. არსებობს მოსაზრებაც, რომ როდესაც მოსამართლეები სასამართლო კონტროლის უფლებით სარგებლობენ და ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული წარმომადგენლების აქტებს აუქმებენ, ამავე უმრავლესობის წინააღმდეგ გამოდიან.<sup>109</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო კონტოლი, რომელიც გულისხმობს დანიშნული ხელისუფლების ანუ მოსამართლეების მიერ, მათი დამნიშვნელი და ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ანუ პარლამენტის, შემოწმებას კონსტიტუციით დადგენილ მასშტაბზე, გარკვეულ წინააღმდეგობას აჩენს წარმომადგენლობითობის თეორიასთან.<sup>110</sup>

არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ ოპოზიცია საკანონმდებლო დონეზე წაგებული ბრძოლის გაგრძელებას საკონსტიტუციო სასამართლოში ცდილობს<sup>111</sup>, ასაჩივრებს რა უმრავლესობის მიერ მიღებულ კანონებს და სასამართლოს მეშვეობით ცდილობს პოზიტიური თუ არა, ნეგატიური როლი მაინც შეასრულოს კანონმემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით, „საკონსტიტუციო სასამართლოში გამართული სამართალწარმოება წარმოადგენს სამართლისა და პოლიტიკის შერიგებას და განამტკიცებს ხელისუფლების

<sup>105</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 51.

<sup>106</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 464.

<sup>107</sup> ქაშაკაშვილი ნ., კონსტიტუციის განმარტება და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ხედვები; სტატიათა კრებულიდან, <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>, 99.

<sup>108</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; აირის საქართველო, გამომც. სეზანი, 2003, 75.

<sup>109</sup> მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1999, 113.

<sup>110</sup> ჯანდა ქ., ბერი ჯ.მ., გოლდმენი ჯ., ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, რ. გაჩეჩილაძის თარგმანი, მინდია უგრეხელიძის რედაქტორობით, თბილისი, 1995, 359.

<sup>111</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 291–292.

დანაწილებას“.<sup>112</sup> თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკურად მიუკერძოებელი დანესებულების სახელს ვერ დაიმკვიდრებს მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების შტოებისგან განცალკევებული ორგანოს „მითვის“ დახმარებით.<sup>113</sup>

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მას, ვინც კანონს განმარტავს კონკრეტული დავის ფარგლებში, შეუძლია კონსტიტუციის უკეთესად გაგება, ვიდრე მათ, ვინც ოდესღაც შექმნეს იგი.<sup>114</sup> ნორმის ზოგადსავალდებულო განმარტებაზე უფლებამოსილ სუბიექტთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობა აქვს *ო. ჯორბენაძეს*: პარლამენტის მიერ მისივე კანონის განმარტებას რომ ჰქონდეს ამავე კანონის თანაბარი იურიდიული ძალა, მაშინ მივიღებთ ორ კანონს – ერთი, რომლის განმარტებაც არის მოთხოვნილი და მეორე, რომლითაც მისი განმარტება მოხდა. ამ უკანასკნელსაც შესაძლოა მომავალში განმარტება დასჭირდეს და ვინ უნდა განმარტოს იგი? თუ ისევ პარლამენტმა, მაშინ ეს პროცესი ვერასოდეს დასრულდება.<sup>115</sup> *შვარცი* კი აღნიშნავს, ვერ ერთი კანონი ვერ იქნება ისეთი გასაგები, განმარტებას რომ არ საჭიროებდეს, ხოლო საკანონმდებლო ორგანოსთვის ყველა ასეთ საკითხზე ინტერპრეტაციის დავალდებულება ნამდვილად გაუმართლებელი და არაეფექტიანი იქნებოდა.<sup>116</sup>

*მონტესკიეს* მიხედვით კანონის შექმნა კანონთა სულში წვდომას მოითხოვს.<sup>117</sup> მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კანონს თავად არ უყრის კენჭს, ხშირად მისი გადანყვეტილება კანონმდებლის ნებას უქმნის საფუძველს.<sup>118</sup> ამ დროს იგი ვალდებულია შეინარჩუნოს ნორმის ნამდვილი შინაარსის იდეა, ვინაიდან ეს გამომდინარეობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც კანონმდებელი არის დემოკრატიული გზით პირდაპირ ლეგიტიმირებული ხელისუფლება, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო კი ამ უკანასკნელისგან გამომდინარეობს. კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება ერთი მხრივ გაგებულია როგორც კანონმდებლის და მისი ნების მიმართ პატივისცემა (აქედან გამომდინარეობს სასამართლოს თვითბლუდვის იდეა), მეორე მხრივ კი ეს არის საშუალება როლების გადანაწილებისა, სადაც სასამართლოს

<sup>112</sup> იქვე.

<sup>113</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, სტატიათა კრებული; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>, 4.

<sup>114</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 471.

<sup>115</sup> ჯორბენაძე, ო., მოსაზრებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #3/2/646 გადაწყვეტილების შესახებ (განმეორებითი წინასწარი პატიმრობა); სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), 2015, 1.

<sup>116</sup> შვარცი კ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; აირის საქართველო, გამომც. სეზანი, 2003, 53.

<sup>117</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 61.

<sup>118</sup> იქვე, 62.

ნეგატიური კანონმდებლის ფუნქცია აკისრია.<sup>119</sup> არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლო პრაქტიკით შემოთავაზებულ რეგულირებას „არ გააჩნია ის ავტორიტეტი, რომლითაც კანონმდებლის მიერ შექმნილი ნორმები სარგებლობენ.<sup>120</sup> ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით იქედან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოების გადანაცვებები უფრო მეტ რეზონანსს იწვევენ ხოლმე ნორმის ადრესატებში, ვიდრე მის გამოტანამდე არსებული საკანონმდებლო ნორმა, რომელსაც ისე იყენებდნენ, შესაძლოა ვერც იაზრებდნენ მის ნამდვილ შინაარსს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეები ნორმათა განმარტების გზას პირდაპირ არ მიმართავენ. ისინი იკვლევენ კანონმდებლის ნამდვილ ნებას, ანალიზებენ შესაბამისი კანონის მიღების დროს გამოთქმულ მოსაზრებებსა და განხილვის შედეგებს. თუ ამ გზითაც ვერ დგინდება კანონმდებლის ნება კანონის ნამდვილ მიზანთან მიმართებით, აღნიშნულს თავის თავზე იღებს სასამართლო. ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო აქტების ინტერპრეტაცია, გარკვეულად, ნორმატიულ მახასიათებლებს იძენს.<sup>121</sup> ამდენად, ნათელია, რომ საკონსტიტუციო კონტროლი თავის სახელწოდებას ამართლებს და დასახელებული მეთოდებით საკანონმდებლო საქმიანობას, ასე ვთქვათ, ფოტო-ვიდეოკამერით აკვირდება, რომლის დათვალიერების შესაძლებლობა და აუცილებლობა ნებისმიერ დროს შეიძლება დადგეს.

## **1.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი სამართალშემოქმედებაში**

### **1.2.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების ფარგლები**

კონსტიტუციური კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ხელისუფლების თითოეულ განშტოებას განსაზღვრული კომპეტენცია უნდა ჰქონდეს და შეზღუდული უნდა იყოს ამ ფარგლებით.<sup>122</sup> მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო რეგულირების თავისუფლება იყოს დაცული და მასთან მიმართებით სასამართლოს კონსტიტუციური კონტროლი

---

<sup>119</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 166.

<sup>120</sup> დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1993. <https://www.scribd.com/doc/294496352/>, 135.

<sup>121</sup> მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, უერთალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1999, 113.

<sup>122</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 195–196.

შეზღუდვებს ექვემდებარებოდეს, საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელება სასამართლოს კონსტიტუციურ როლთან შეუთავსებელია.<sup>123</sup>

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლზე უფლებამოსილების მქონე ორგანოს შემოღების პირველი ნიშნები ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში გაჩნდა, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს - სენატის კომპეტენციად განისაზღვრა ხელისუფლების დანესებულებათა და თანამდებობის პირთა თვალყურის დევნა მათ მიერ კანონის დაცვის პროცესზე.<sup>124</sup> საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღების დროს დაფიქსირდა ფრაზა, რომ „სასამართლო ვალდებულია დაიცვას კონსტიტუცია, როგორც ძირითადი კანონი, და უარყოს ყველა ის ახალი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც მას ეწინააღმდეგება. სწორედ ასეთი უფლებით სარგებლობს აშშ-ს სასამართლო“.<sup>125</sup>

თუმცა იმ წლებში საბოლოოდ განხორციელება ვერ ჰპოვა ისეთი დანესებულების დამკვიდრებამ, რომელსაც ეწინებოდა კონსტიტუციის განმარტების უფლება. ამის მიზეზად ისევ იგივე სახელდება, რაც სხვა ქვეყნებში – საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით სენატს ეწინებოდა უფრო მაღალი სტატუსი და გავლენა, ვიდრე კანონმდებელ ორგანოს, რაც დაუშვებელია სახალხო სუვერენიტეტის, ანუ პარლამენტის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე.<sup>126</sup>

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლი და მისი განმახორციელებელი ორგანო სრულყოფილად საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით დამკვიდრდა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს ძირითადი კანონით განმტკიცებული ძირითადი უფლებები თავისი ზოგადსაგადასაზღვრელი ხასიათის გამო არ საჭიროებს დაკონკრეტებას ქვემდგომ აქტებში

<sup>123</sup> იქვე.

<sup>124</sup> შანავა ა., ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მისი გადაწყვეტილების სავალდებულობის შესახებ; კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი [http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI\\_SHNAVA\\_93010.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI_SHNAVA_93010.pdf), 2. ციტირება: გ. კახიანი. კონსტიტუციურობისა და კანონიერების კონტროლისა და ზედამხედველობის იდეები პირველ ქართულ კონსტიტუციაში, ჟურნ. „სამართალი“ 2006, №1-2.

<sup>125</sup> გიორგი გვაზავას სიტყვები, ციტირება: The 1921 Constitution of The Democratic Republic of Georgia, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო), ბათუმი, 2012, 28.

<sup>126</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი; სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 54.



და აქვთ პირდაპირი მოქმედების ძალა.<sup>127</sup> ძირითადი უფლებების დაცვისათვის ამ მიმართულებით საქართველოში მოქმედებს ხელისუფლების სხვა შტოებისაგან განცალკევებული ორგანო – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. ვოლფგანგ ბაბეკი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „ცვალებადი პოლიტიკური ლანდშაფტის პასიურ სუბიექტად“ მოიხსენიებს.<sup>128</sup>

საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს ნაკლებად იყო ორიენტირი აღებული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ, ვინაიდან ამ დროს სახელმწიფოს გადარჩენაზე უფრო იყო მიმართული სახელმწიფო მოღვაწეთა ძალისხმევა.<sup>129</sup> მიუხედავად 1921 წლიდან 90–იან წლებამდე პერიოდში საქართველოში დამოუკიდებელი სამართლისა და სასამართლოს არარსებობისა, თვლიან, რომ ამ ფაქტორმა არათუ ნეგატიურად, არამედ პოზიტიურადაც კი იმოქმედა მის განვითარებაზე იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოახერხა მემკვიდრეობით არ მიეღო საბჭოთა ხანგრძლივი პერიოდის ის „სტანდარტები“, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში დღესაც დემოკრატიული და სამართლებრივი პროცესებისა თუ ინსტიტუტების განვითარების ხელშემშლელი ფაქტორია.<sup>130</sup>

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის განმარტებისას შეზღუდულია განსახილველი საქმის ფარგლებით და უფლებამოსილი არაა გასცდეს ამ ფარგლებს.<sup>131</sup> თუმცა ეს ფაქტორი არ მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაციის ზოგადსავალდებულო ძალაზე და მას თანაბრად უნდა ემორჩილებოდნენ კანონმემოქმედი, აღმასრულებელი და კანონმემფარდებელი ორგანოები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფარგლების დადგენით ხშირად ვერ ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებების სრულყოფილად დაცვა, რაც ჩრდილს აყენებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.

<sup>127</sup> შარაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები; სტატიათა კრებული (რედ. კ. კორკელია): ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მქანზმები, თბილისი, 2010, 211.

<sup>128</sup> ბაბეკი ვ., საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ: მიღწევები, გამოწვევები, მომავლის ხედვები; საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016, 27.

<sup>129</sup> Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2014, 358, [https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/7542/file/loladze\\_diss.pdf](https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/7542/file/loladze_diss.pdf)

<sup>130</sup> შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, დ. გეგენავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 245.

<sup>131</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 50.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას არ მიაკუთვნებს კონსტიტუციური ნორმების გამოყენების პრაქტიკის შეფასებას. თუმცა მოქალაქეები ყველაზე ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ მათი უფლება ამ ნორმების არასწორად გამოყენების შედეგად დაირღვა.<sup>132</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძველი პრაქტიკით სასამართლო ასეთ შემთხვევაში არ იღებდა სარჩელს წარმოებაში, მაგრამ ამავე განჩინებით ისეთი ინტერპრეტაცია მიუცია ნორმისთვის, რომ მას სერიოზული გავლენა მოუხდენია მოქალაქის ინტერესებზე. *ზოიძე* მიიჩნევს, რომ კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს არა მარტო თავად ნორმები, არამედ მათი განმარტებანიც.<sup>133</sup> აშშ-ს უზენაეს სასამართლოსა და გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც ისეთ ტენცენციას მიჰყვება, რომ მათი განმარტებული ნორმები გაცილებით მეტ ფაქტიურ დატვირთვას იძენენ დაწერილ, პოზიტიურ ნორმებთან შედარებით.<sup>134</sup>

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადრეული პრაქტიკით ნორმის გამოყენების არაკონსტიტუციურობაზე აპელირება წარუმატებლად სრულდებოდა საქმის დასაშვებობის ეტაპზევე, თუმცა ზოგჯერ ასეთი უარის გადანყვეტილებაშიც ნორმის განმარტების ელემენტებიც შეინიშნებოდა. ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის ერთ-ერთ განჩინებაში ვკითხულობთ, რომ ნორმის არასწორ გამოყენებაზე მსჯელობა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია არ არის, მაგრამ ვინაიდან არსებობს სადავო ნორმით მანიპულირების და მისი ორაზროვანი გამოყენების საფრთხე, ნორმის მიმღებმა ორგანომ უნდა მოახდინოს მისი დაკონკრეტება და ამ საფრთხის აღმოფხვრა.<sup>135</sup> აქვე *ზოიძე* აღნიშნავს, რომ ყველაფერი საკანონმდებლო აქტით ვერ იქნება გადანყვეტილი, და უკეთესი იქნება, თუკი სასამართლო პრეცედენტები კანონმდებელს „წაეშველება და სწორ გზაზე დააყენებს“<sup>136</sup> და მას ამის წინაპირობად სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან სხვა ორგანოების მიერ ნორმის განმარტების კონსტიტუციურობის შემოწმება მიაჩნია.<sup>137</sup> *ვ. ხმალაძეც* ემხრობა იმ აზრს, რომ როდესაც სასამართლოს გადანყვეტილება ეფუძნება კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაციას და ამან შეიძლება დავა გამოიწვიოს, საკონსტიტუციო სასამართლოს

<sup>132</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 63.

<sup>133</sup> იქვე.

<sup>134</sup> მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, გამომცემლობა „უფლება“, თბილისი, 1996, 71.

<sup>135</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 64.

<sup>136</sup> იქვე.

<sup>137</sup> იქვე.

ზოგადი მანდატიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნება, რომ ამ დავის გადაწყვეტის უფლებაც მას მიეცეს.<sup>138</sup>

ლ. ცანავა მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საკანონმდებლო ხელისუფლებას კონკურენციას უწევს, როდესაც განმარტავს ისეთ ზოგად ცნებებს, როგორცაა „საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები“, „პიროვნების თავისუფალი განვითარება“, „ოჯახის კეთილდღეობა“<sup>139</sup>. ეს ცნებები ცხადია კანონმდებლობის დონეზე სრულად ვერ განიმარტება და ეს საქმე მინდობილია სასამართლოზე, ვფიქრობთ, ამით არ ირღვევა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, არამედ სასამართლო ავსებს და განავრცობს კანონის იმ ნორმებს, რომელთა სრულყოფილი განერა კანონის ენის შესაძლებლობებს სცილდება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების ფარგლებთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, რომ ისევე როგორც ხელისუფლების სხვა შტოები, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოც გარკვეულ შემზღვევებს უნდა ექვემდებარებოდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ადამიანის უფლებების სრულყოფილად დაცვის პრინციპის დარღვევის ხარჯზე. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტება მოხდება საჩივარში დაყენებული მოტივაციის ფარგლებს მიღმა, ამით საკონსტიტუციო სასამართლო არამართლზომიერად ჩაერევა საკანონმდებლო ორგანოს იმ გადაწყვეტილებაში, რომლის დარღვევაზე არც არავინ დავობს. ამის დაშვების შედეგად კი მივიღებდით საკონსტიტუციო სასამართლოს თვითნებურ მოქმედებებს, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი გასაჩივრებული ნორმის განმარტების უფლებამოსილებით ბოროტად ისარგებლოს და ისეთ ნორმებსაც გადასწვდეს, რომლებსაც პირის უფლება არ დაურღვევია და მათი განმარტებით კი გავლენა მოახდინოს საკანონმდებლო ორგანოზე.

### **1.2.2. ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების ქართული ფენომენი –საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეალური საკონსტიტუციო კონტროლის გამოწვევის პირისპირ**

სახელისუფლებო ფუნქციების დანაწილების პარალელურად სამართლებრივ სახელმწიფოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია სამართლის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებაც, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების მოქმედებათა

<sup>138</sup> ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 213.

<sup>139</sup> ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 119–120.

სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ამ ქმედებების კანონთან შეუსაბამობის შემთხვევაში მათ გაუქმებას და დარღვეული უფლების თუ შელახული ინტერესების აღდგენას.<sup>140</sup> სასამართლოს რეალიზების ყველაზე ადეკვატურ დაწესებულებას კი სასამართლო წარმოადგენს,<sup>141</sup> რომელიც შეცდომის დამშვებ ხელისუფლების შტოს მისი გამოსწორების საშუალებას აძლევს.<sup>142</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო არ წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, არამედ არის სპეციალიზებული სასამართლო, რომელიც კომპეტენციურად სხვა განზომილებაში საქმიანობს, ვიდრე უზენაესი სასამართლო და სხვა საერთო სასამართლოები.<sup>143</sup> უმეტეს შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ იქ, სადაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისათვის სპეციალური ორგანოა შექმნილი, ის არ შეიძლება მივაკუთვნოთ სასამართლო ხელისუფლებას.<sup>144</sup> თუმცა ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებებსაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი კონსტიტუციური ორგანოს სტატუსთან<sup>145</sup> შეთავსებით ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ფორმების მეშვეობით და შესაბამისად ისიც სასამართლოა.<sup>146</sup>

განსხვავებული პრაქტიკის მიუხედავად, ყველა თანხმდება იმაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ხასიათდება ორმაგი ბუნებით – ის ერთდროულად სასამართლოც არის და კონსტიტუციური ორგანოც.<sup>147</sup> საკონსტიტუციო სასამართლო შექმნილია საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად. კონტროლი კი თავისთავად გულისხმობს გარკვეული ძალაუფლების ქონას ვინმესთან მიმართებაში.<sup>148</sup> ამ გავებით საკონსტიტუციო

<sup>140</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 260.

<sup>141</sup> ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006, 38.

<sup>142</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 60.

<sup>143</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 439.

<sup>144</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2013, 324.

<sup>145</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 42.

<sup>146</sup> ხეყურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოს (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №2 (58), თბილისი, 2018, 10.

<sup>147</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნატყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, 456.

<sup>148</sup> იხ. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007.

სასამართლო კონტროლს სამივე ხელისუფლებაზე ახორციელებს, რაც გამორიცხავს რომელიმე ორგანოს თვითნებობას სამართალშემოქმედებით სფეროში.<sup>149</sup>

როცა ვამბობთ, რომ საერთო სასამართლო ახორციელებს მიმდინარე კანონების, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური ნორმების განმარტებასა და შეფარდებას, პრაქტიკაში ხშირად იქმნება სირთულე იმის განსაზღვრისას, ჩვეულებრივი კანონი დაირღვა თუ კონსტიტუცია. გამოსავალს ვერ გვაძლევს ამ ნორმათა ფორმალური შეპირისპირება, ვინაიდან მიმდინარე კანონის არასწორ შეფარდებასაც ზოგჯერ კონსტიტუციის დარღვევამდე მივყავართ,<sup>150</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია კი კონსტიტუციის ხელისუფლების სამივე შტოსგან დაცვაა.<sup>151</sup> ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებებს, რომ სახელმწიფო ქმედების ნებისმიერი ფორმა კონსტიტუციურ-სამართლებრივ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს, მათ შორის უმოქმედობა, ინდივიდუალური აქტები და სასამართლოს გადაწყვეტილებები.<sup>152</sup> აქ წარმოიშობა საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების კომპეტენციათა გამიჯვნის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოთა დიდი ნაწილი სასამართლო გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურ კონტროლსაც ახორციელებს, რაც ნორმის ახსნა-განმარტებათა კონტროლის ფუნქციაზე მიუთითებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაინტერესებული პირის ინდივიდუალური სარჩელის საფუძველზე სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შემოწმება რეალური საკონსტიტუციო კონტროლის სახელწოდებით დამკვიდრდა თანამედროვე ლიტერატურაში. სამართლებრივი დაცვის აღნიშნული მექანიზმის წყალობით საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კომპეტენციაში დარღვეული უფლებების აღდგენასთან ერთად პოზიტიური უფლებების დაცვაც ხვდება,<sup>153</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებადამდგენ ინსტიტუციად ყალიბდება საკანონმდებლო ფუნქციების შეთავსებასთან ერთად. ამ მხრივ საინტერესოა რა გავლენას

<sup>149</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, 459.

<sup>150</sup> იქვე, 463.

<sup>151</sup> გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., შაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2013, 318.

<sup>152</sup> შარტევიგი მ., ინდივიდუალური კონსტიტუციური საჩივარი, როგორც უფლების დაცვის განსაკუთრებული სახის წარმოება; ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 350.

<sup>153</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სახელმწიფო ორგანოთა შორის და რეალური კონტროლის დამკვიდრების პერსპექტივები საქართველოში; II ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, მოხსენებების კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2016, 31.

ახდენს ნორმათა განმარტების კონსტიტუციურობის შემოწმების ფუნქცია კანონმდებლობაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო წლების პრაქტიკაზე დაკვირვებით აშკარად შეინიშნება საქართველოს სასამართლოს საქმიანობის ახალი მიმართულება – რეალური საკონსტიტუციო კონტროლი, რომელიც გულისხმობს საერთო სასამართლოების გადანყვეტილებების კონსტიტუციურობის შეფასებას ერთი დიდი თავისებურებით: საკონსტიტუციო სასამართლო გასაჩივრებული საკანონმდებლო ნორმის ფარგლებში აფასებს რამდენად სწორად განმარტა კონკრეტული დავის განხილვისას საერთო სასამართლომ ეს ნორმა, და შედეგად აფიქსირებს ნორმის განმარტების კონსტიტუციურობას არა ამ ნორმის ან სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმებით, არამედ ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადებით, რითაც სამართალშემფარდებელ ორგანოს მიუთითებს მის მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად გამოყენებაზე. თავისებურება კი იმაში გამოიხატება, რომ ამ უფლებამოსილების განხორციელების უშუალო საფუძველი არ არსებობს კანონმდებლობაში და საკონსტიტუციო სასამართლოში არც კონკრეტული სასამართლო გადანყვეტილების გასაჩივრება ხდება, არამედ კანონის იმ ნორმის, რომელიც საერთო სასამართლომ გამოიყენა.

რასაკვირველია, რეალური საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობის შემთხვევაშიც ვალდებულია სასამართლო ხელისუფლება, არ გამოიყენოს არაკონსტიტუციური კანონი და პირდაპირ კონსტიტუციის მიხედვით იმოქმედოს, თუმცა, არსებული მოსაზრებით, ამან შეიძლება ანარქია წარმოშვას. რადგან, მათ უფლება ექნებათ ნებისმიერი კანონი მიიჩნიონ ანტიკონსტიტუციურად და ამით მოახდინონ საკანონმდებლო ხელისუფლების დისკრედიტაცია.<sup>154</sup> საერთო სასამართლოების მიერ ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე თავისუფლად გადანყვეტილების მიღება საფრთხეს შეუქმნიდა სამართლებრივ უსაფრთხოებასაც, რადგან სხვადასხვა საერთო სასამართლოს მიერ არაერთგვაროვანი განმარტებით შეუძლებელი იქნებოდა იმის გარკვევა, კანონი კონსტიტუციურია თუ არა.<sup>155</sup>

გავრცელებული მოსაზრებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სწრაფვა რეალური საკონსტიტუციო კონტროლისაკენ გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობაში კონკრეტული კონტროლის მიმართულებით ადამიანის უფლებების დაცვის არასრულყოფილი მექანიზმებით. კერძოდ, ის ფაქტი, რომ საერთო

<sup>154</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 276.

<sup>155</sup> იქვე.

სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვა იშვიათად ხორციელდება, და ასევე კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობა.<sup>156</sup> აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის არასაკმარის საშუალებად მიიჩნია საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“.<sup>157</sup>

ნორმატიული შინაარსის კონტროლის მიზანი საჯარო ხელისუფლების მიერ ნორმის არაკონსტიტუციური შინაარსით გამოყენების პრევენციაა.<sup>158</sup> საკონსტიტუციო სასამართლო თავდაპირველად იყენებდა საკმაოდ შემცირებულ თელეოლოგიურ ინტერპრეტაციას, რათა თავიდან აერიდებინა აღმასრულებელი ხელისუფლების არასასურველი რეაქციები.<sup>159</sup> 2015 წლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ, დ. გეგენევას სიტყვებით, „თავისი უფლებამოსილებების რევიზია“ მოახდინა, რითაც სრულად მოიპოვა საკანონმდებლო ორგანოს ზედამხედველი სტატუსი.<sup>160</sup> ამით საკონსტიტუციო სასამართლომ დაამკვიდრა არც ისე ჩვეულებრივი გზა კანონის განმარტების და განასხვავა ერთმანეთისაგან ნორმა და მისი ნორმატიული შინაარსი ან ინტერპრეტაცია, რომელიც მან პრაქტიკაში შეიძინა.<sup>161</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო ამგვარი გადაწყვეტილებით აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს მიუთითებს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება არაკონსტიტუციურად ნორმის განმარტება (რა თქმა უნდა, კონკრეტული დავის ფარგლებში, და არა ყველა შესაძლო შემთხვევაში). ამით ხდება ნორმის არაკონსტიტუციური განმარტებისგან თავის დაცვა და მისი შედეგია არა სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება, არამედ მისი არაკონსტიტუციური შინაარსით გამოყენების თავიდან აცილება. შედეგად კი „ნორმის საკანონმდებლო ფორმულირება

<sup>156</sup> ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში – ე.წ. „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრირების შესახებ“, სტატიათა კრებული – ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, კ.კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 46.

<sup>157</sup> იხ. გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეორე სექცია, სტრასბურგი, 2006 წლის 28 ნოემბერი. <http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fgadackvetilebebi%2Fapostoli%20saq.%20cinaagmdeg.pdf>

<sup>158</sup> ჯავახიშვილი, ჰ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 336.

<sup>159</sup> Gegenava D., Constitutional Court of Georgia as Positive Legislator: Transformation and Modern Challenges, Polish-Georgian Law Review, Nn. 3/2017, 89.

<sup>160</sup> იქვე, 90.

<sup>161</sup> იქვე.

ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, იმ დათქმით, რომ იგი არ იქნება გამოყენებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად განსაზღვრული შინაარსით“.<sup>162</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთ შინაპირობას სახელმწიფოს სამართალგამოყენებითი პრაქტიკის ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობაც განსაზღვრავს.<sup>163</sup> ლ. ცანავას მითითებით „სამართლებრივი სახელმწიფო არსებობს იქ, სადაც პოლიტიკა მეტნაკლებად დაძლია სამართალმა“.<sup>164</sup> სახელმწიფოში მაღალი კონსტიტუციური კულტურის ჩამოყალიბება დამოკიდებულია საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღიარებისა და გათვალისწინების ტენდენციაზე.<sup>165</sup>

ევროპაში საკონსტიტუციო სასამართლოები საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების შემოწმებას ნორმათა კონკრეტული კონტროლის ოფიციალურად განერილი ფუნქციის მეშვეობით ახორციელებენ, რითაც ხელს უწყობენ ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.<sup>166</sup> მაგალითად, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმათა კონკრეტული კონტროლის ფუნქცია უზრუნველყოფს სამართლებრივი პრაქტიკის ერთგვაროვნებას, ეს უკანასკნელი კი განამტკიცებს სამართლებრივ უსაფრთხოებას ქვეყანაში<sup>167</sup>. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ფუნქციას საკმაოდ საპატიო მანდატი ეკისრება და ხაზს უსვამს საკონსტიტუციო სასამართლოს როლს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის აღჭურვილი რეალური საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებით.<sup>168</sup> ინდივიდებს სარჩელების საფუძველზე შეუძლიათ მოითხოვონ

<sup>162</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 336.

<sup>163</sup> კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, 39.

<sup>164</sup> ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 127.

<sup>165</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 438–439.

<sup>166</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, „ფაქტობრივი სტილი“, თბილისი, 2016, 56–57.

<sup>167</sup> ხეცურიანი ჯ., ნორმათა კონკრეტული კონტროლი; ჟურნ. მართლმსაჯულება და სამართალი, №5(48), 2015, 6. ციტირება: ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი, 2001, 32.

<sup>168</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 54.



კანონის გაუქმება, მაგრამ ისინი საკონსტიტუციო სასამართლოში ვერ გაასაჩივრებენ საჯარო ხელისუფლების ქმედებებს და სასამართლოს გადაწყვეტილებებს, თუნდაც ეს უკანასკნელი მათ ძირითად უფლებებს არღვევდნენ<sup>169</sup>. შესაძლებელია ითქვას, რომ საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სრულყოფილად არ არის აღჭურვილი კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული ძირითადი უფლებების დაცვის მიმართულებით,<sup>170</sup> თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული შინაარსის კონტროლის დამკვიდრება ერთგვარად ავსებს ამ ხარვეზს და სრულყოფილებიდან მიჰყავს კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი.

2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებების დროს, პროექტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭებოდა უფლებამოსილება, განეხილა საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განჩინებების, განაჩინებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობის საკითხები კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით. აღნიშნული ინიციატივა იმდენად ტვირთავდა საკონსტიტუციო სასამართლოს, გაჩნდა შიში, მას უარყოფითად არ ემოქმედა საქმიანობის ხარისხზე,<sup>171</sup> ეს საფრთხე გაიზიარა ვენეციის კომისიამაც და აღნიშნული საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება არ შედგა.<sup>172</sup>

საქართველოში 2010 და 2017 წლების საკონსტიტუციო რეფორმების<sup>173</sup> დროსაც გაიჟღერა იდეამ, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის რეალური კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილება კონსტიტუციის დონეზე მიენიჭებინათ, თუმცა აღნიშნული ცვლილება ამჯერადაც ვერ აისახა კონსტიტუციის საბოლოო რედაქციაში, ვინაიდან ამ საკითხზე თვით კონსტიტუციონალისტებს შორისაც აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა.<sup>174</sup> ბევრი მიიჩნევდა, რომ რეალური ან პრევენციული კონტროლის დამკვიდრება ჯერ აღრე იყო და

---

<sup>169</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სახელმწიფო ორგანოთა შორის და რეალური კონტროლის დამკვიდრების პერსპექტივები საქართველოში; II ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, მოხსენებების კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2016, 37.

<sup>170</sup> იქვე.

<sup>171</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, „ფაქტობრივი სტილი“, თბილისი, 2016, 149–150.

<sup>172</sup> იქვე, 150.

<sup>173</sup> იხ. ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოს (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა №1, 2018.

<sup>174</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 56.

საქართველოს ახალგაზრდა საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაართმევდა თავს ამ ფუნქციას არასაკმარისი გამოცდილების გამო.<sup>175</sup> ამასთან, აღნიშნული ფუნქცია საკონსტიტუციო სასამართლოს ხელში ყველაფერზე კონტროლის საშუალებას და მისი პოლიტიკური მანიპულირების საფრთხეს გამოიწვევდა.<sup>176</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში რეალური კონსტიტუციური სარჩელების განხილვის და შესაბამისად, ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილების განხორციელების კომპეტენციის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს, ზოგიერთი ავტორი ასეთად უთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“<sup>177</sup> ნორმატიული შინაარსის კონტროლის განხორციელების დამატებით საფუძვლად შეიძლება გამოდგეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არამართო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს.<sup>178</sup>

პირდაპირი საკანონმდებლო საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლო წლებში აქტიურად განავითარა ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის პრაქტიკა (კონკრეტული დავები და მათი გავლენის შედეგები კანონმდებლობაზე განხილული იქნება შემდგომ თავში). შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი პრაქტიკით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთგვარი ნიადაგი შეამზადა რეალური საკონსტიტუციო კონტროლის დასამკვიდრებლად საქართველოში. თუმცა, მეორე მხრივ ამით საკონსტიტუციო სასამართლო აჩვენებს თავის უპირატეს მდგომარეობას საერთო სასამართლოებზეც, როდესაც ფაქტობრივად მათ მიერ ნორმის განმარტების რევიზიას ახდენს.

<sup>175</sup> იქვე, 83.

<sup>176</sup> იქვე.

<sup>177</sup> შარაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები; სტატიათა კრებული (რედ. კ. კორკელია): ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მქანძმები, თბილისი, 2010, 214.

<sup>178</sup> ჭავჭავიძე, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 341.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოსაზრებით, აღნიშნული კომპეტენციის შემოღებისთვის აუცილებელი იქნება რიგი საკითხების საკანონმდებლო დონეზე განერა, კერძოდ, რეალური კონტროლის განხორციელების კონკრეტული პროცედურული საკითხები, ისევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული რიგი ასპექტები.<sup>179</sup> თუმცა მნიშვნელოვანია არ დაგვავიწყდეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციაა კანონმდებლობის სრულყოფის ხელშეწყობა და იგი არ არის ფაქტების სასამართლო.<sup>180</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტული კონტროლის ფარგლებში ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას განიხილავს აგრეთვე საერთო სასამართლოების წარდგინებების საფუძველზეც,<sup>181</sup> თუმცა ეს კომპეტენცია მას საკანონმდებლო დონეზე აქვს განერილი. ამ მიმართულებით ჯ. ხეცურიანი ხედავს იმ პრობლემას, რომ საერთო სასამართლოს წარდგინებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მხარეთა დასწრების გარეშე განიხილავს და უნევეს მხოლოდ წარდგენილი მასალების საფუძველზე გადანყვეტილების მიღება.<sup>182</sup> ამდენად, ამ მექანიზმის პირობებში მაინც არასრულყოფილად ხდება პირის ინტერესების დაცვა და გათვალისწინება. საერთო სასამართლოს გადანყვეტილების შემონშება არც ამ შემთხვევაში ხდება, არამედ საერთო სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი საკანონმდებლო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემონშება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლის ობიექტი უმეტეს შემთხვევაში ნორმატიული აქტებია, მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში შეიძლება იყოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტიც (მაგ., საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადაზე აღრე შეწყვეტის თაობაზე).<sup>183</sup> ხეცურიანის აზრით, ისეთი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საკონსტიტუციო კონტროლის გზით გაუქმება, როგორცაა საერთო სასამართლოს გადანყვეტილება, კონსტიტუციური ცვლილებების გარეშე ვერ მოხვდება საკონსტიტუციო

<sup>179</sup> ინტერვიუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, ბატონ ზაზა თავაძესთან, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, №9/2018, თბილისი, 2018, 7–8.

<sup>180</sup> კვერენჩხილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, 41.

<sup>181</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 343.

<sup>182</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, 77.

<sup>183</sup> გონაშვილი ვ., ერემაძე ე., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2017, 458.

სასამართლოს კომპეტენციაში.<sup>184</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ამომწურავი ჩამონათვალის სახით არის განერილი და მისი განხილვის საგანი შეიძლება იყოს ამ ჩამონათვალიდან გამომდინარე დავები და არა კონსტიტუციაში მოხსენიებული ნებისმიერი საკითხი.<sup>185</sup> ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შემონახვამ საკანონმდებლო აქტებზე, და რა თავისებურებები ახასიათებს ასეთი სახის კონტროლს.

სასამართლო სამართალშემოქმედების იდეის პოპულარიზაციამ სასამართლოს როლი უფრო წონადი და საპატიო გახადა. მართალია სასამართლო გადაწყვეტილებას არ შეუძლია გააუქმოს საკანონმდებლო აქტი, მაგრამ მისეული განმარტებით შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს მისი მიმართულება. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, კანონები უკვე სასამართლოს განმარტებებზე აიგება და შესაბამისი ნორმა სიცოცხლეს განაგრძობს იმ შინაარსით, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით მიენიჭა.<sup>186</sup> გ. გენაძე მიიჩნევს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო კონტროლს ამისთვის სპეციალურად შექმნილი ორგანო ახორციელებს, მის მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის განხილვა აუცილებელიცაა, ვინაიდან სრულიად შესაძლებელია სასამართლომაც ისევე მიიღოს ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი.<sup>187</sup>

ჩნდება კითხვა, თუ რას ისახავს მიზნად საკონსტიტუციო სასამართლოების ასეთი სითამამე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მკაფიოდ ისმის კრიტიკა მათი მისამართით ხელისუფლების სხვა ორგანოების საქმიანობაში შეჭრის კუთხით. ვხვდებით მოსაზრებას, რომ ახალი დაარსებული საკონსტიტუციო სასამართლოები უფრო მეტად არიან მოტივირებული, დააფიქსირონ თავიანთი აუცილებლობა სახელისუფლებო სისტემაში, რაც მათთვის საინტერესო გამოწვევაა.<sup>188</sup> მაგრამ სწორედ ამ ნაწილში იკვეთება მათი მოთოკვის აუცილებლობა პირველ რიგში იმის გამო, რომ საერთო სასამართლოების კომპეტენციის მითვისების საფრთხე რეალური არ გახდეს, და ასევე მნიშვნელოვანია, რომ

<sup>184</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, 151.

<sup>185</sup> შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, დ. გვეგნავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 252.

<sup>186</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, 249–250.

<sup>187</sup> გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998, 25.

<sup>188</sup> ქაშაკაშვილი ნ., კონსტიტუციის განმარტება და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ხედვები; სტატიათა კრებულიდან, <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>, 98–99.

საკონსტიტუციო სასამართლოებმა პატივისცემა უნდა გამოხატონ საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების მიმართ.<sup>189</sup>

რეალური საკონსტიტუციო კონტროლი, ოღონდ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით, დიდი ხანია დამკვიდრებულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჩეხეთში, იტალიაში. მის შემოღებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა არეალში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით უფრო მყარი და ეფექტიანი შედეგი ექნება.<sup>190</sup> იმ ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო არ სარგებლობს უფლებამოსილებით, რომ განიხილოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის ურთიერთობები საკმაოდ დისტანცირებულია.<sup>191</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მართალია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი ფუნქციებით ასე თუ ისე გამიჯნულია საერთო იურისდიქციის სასამართლოებისაგან და „სხვა საქმეს“ აკეთებს, იგი თავისი მანდატით საერთო სასამართლოებზე მაღლაც კი დადგა, როდესაც თავისი პრაქტიკით საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებსაც „გადასწვდა“ (ამ საკითხის პრაქტიკულ ასპექტებზე მომდევნო თავში იქნება საუბარი). თუმცა ამგვარმა სტატუსმა არ უნდა დაგვაბრუნოს ისევ იმ მდგომარეობაში, როცა პარლამენტისთვის, რომელიც ხელისუფლების შტოებს შორის ყველაზე მაღლა იდგა, საჭირო გახდა მისი დამაბალანსებლის მოძებნა. არ უნდა შეიქმნას იმის განცდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების რევიზიის შეუძლებლობა მას ისეთივე აბსოლუტურ მმართველად აქცევს, როგორც ეს საკანონმდებლო ორგანოების შემთხვევაში მოხდა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის არარსებობის დროს.

## თავი II

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნეგატიური კანონმდებლის სტატუსის ფარგლებს მიღმა - საკანონმდებლო რეგულირება და პრაქტიკა

<sup>189</sup> ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში – ე.წ. „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრირების შესახებ“, სტატიათა კრებული – ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, კ.კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 54, ციტირება: Study on Individual Access to Constitutional Justice, The Venice Commission, CDL-AD(2010)039 rev., 211.

<sup>190</sup> ფირცხალაშვილი ა., კონსტიტუციური კონტროლის გაზრდის კონსტიტუციურობა, 2015, <http://liberali.ge/articles/view/3987/konstitutsiuri-kontrolis-gazrdis-konstitutsiuropa>

<sup>191</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 438.

ხშირად აღნიშნავენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სულ უფრო უახლოვდება საკანონმდებლო ფუნქციას, როცა ნორმას განმარტავს და მისი გამოყენების პრაქტიკის ვექტორებს იძლევა. აქედან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილებას მნიშვნელოვანი დატვირთვა მიენიჭა, ვინაიდან სწორედ მის გადანწყვეტილებებზე დაყრდნობით მოქმედებს შემდგომში კანონმდებელი, ითვალისწინებს რა სასამართლოს შეფასებებს და განმარტებებს, მეტს ფიქრობს იმაზე, რომ მისი რომელიმე გადანწყვეტილება კვლავ არ გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს განსასჯელი.<sup>192</sup>

ნაშრომის ამ თავში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნეგატიური კანონმდებლის სტატუსის საზღვრების გადალახვის ტენდენციები. გადმოცემულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილების, როგორც პოზიტიური ნორმის მახასიათებლები და პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც საკანონმდებლო საქმიანობაზე ერთ-ერთი ძლიერი გავლენის ბერკეტის შეფასება. მეორე თავის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვას კანონმდებლობაზე გადანწყვეტილებათა სხვადასხვა ეფექტის მიხედვით და აგრეთვე საუბარია ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე გადანწყვეტილების აღსრულების თავისებურებებზე.

## **2.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პოზიტიური კანონმდებლობის შექმნის ზღვარზე**

### **2.1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილება, როგორც პოზიტიური ნორმა**

მსოფლიოში დამკვიდრებული იურიდიული სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მთავარი მახასიათებლით – მოსამართლის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ხარისხით.<sup>193</sup> ზოგიერთი ავტორი სამართალშემოქმედებას პოლიტიკურ ფუნქციად მოიაზრებს და შესაბამისად სასამართლომ თავი უნდა შეიზღუდოს თვითშემოქმედებისგან. თუ საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლის ფუნქციას აიღებს ხელში, ის ამით განახორციელებს პოლიტიკას სამართლის ნაცვლად.<sup>194</sup> *გ. ხუბუას* მიხედვით,

<sup>192</sup> სამხარაძე კ., ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ნამდვილი სამართლის პრიმატი კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა №2/2018 [http://www.iipsl.jura.uni-koeln.de/sites/iipsl/Forschung/Georgian\\_Full\\_Version\\_of\\_the\\_Journal.pdf](http://www.iipsl.jura.uni-koeln.de/sites/iipsl/Forschung/Georgian_Full_Version_of_the_Journal.pdf), 80.

<sup>193</sup> იქვე, 463.

<sup>194</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, სტატიათა კრებული; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>, 13.

„საკონსტიტუციო სასამართლოს არ უნდა გაუჩნდეს იმის ამბიცია, რომ განაცხადოს: „კონსტიტუცია ეს მე ვარ“ ან „საბოლოო სიტყვა ჩვენზეა“.“<sup>195</sup>

საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრებისას ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმხორციელებელი სასამართლო, იქნებოდა ეს დამოუკიდებელი ორგანო, თუ საერთო სასამართლო, უნდა შემოფარგლულიყო სამართლებრივი საკითხების განხილვით და მაქსიმალურად შორს დაეჭირა თავი პოლიტიკისაგან.<sup>196</sup> ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილების რეალურ გავლენებზე ვისაუბრებდეთ, აუცილებელია გადანწყვეტილების ბუნების და მისი ძირითადი მახასიათებლების განხილვა, რომელიც მოგვცემს სურათს საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური ძალის თაობაზე.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ხორციელდება შესაბამისი ნორმის მოძიებით, მისი განმარტებითა და ამ ნორმის კონკრეტულ შემთხვევასთან შეფარდებით,<sup>197</sup> რომლის საბოლოო პროდუქტია საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილების სტატუსის განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.<sup>198</sup> აღნიშნული სირთულე განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როცა ისმის კითხვა, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხომ არ იქმნება სამოსამართლო სამართალი.<sup>199</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს ძალა და გავლენის ხარისხი პირველ რიგში მისი გადანწყვეტილებების იურიდიული ძალით განისაზღვრება, კერძოდ, მისი ზოგადსავალდებულო ხასიათით და მას თანაბრად უნდა დაემორჩილონ ხელისუფლების წარმომადგენლებიც და ცალკეული ინდივიდებიც.<sup>200</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილება ნორმის განმარტების აქტს<sup>201</sup> წარმოადგენს და ავსებს ხარვეზებს

---

<sup>195</sup> იქვე, 14.

<sup>196</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 19-20.

<sup>197</sup> იქვე, 33.

<sup>198</sup> იქვე, 76.

<sup>199</sup> ჯორბენაძე, ო., მოსაზრებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #3/2/646 გადანწყვეტილების შესახებ (განმეორებითი წინასწარი პატიმრობა); სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), 2015, 3.

<sup>200</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016, 288.

<sup>201</sup> ჯორბენაძე, ო., მოსაზრებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #3/2/646 გადანწყვეტილების შესახებ (განმეორებითი წინასწარი პატიმრობა); სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), 2015, 3.

კანონმდებლობაში.<sup>202</sup> *ჰელმუტ შტაინბერგერის* აზრით, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ისევე მოქმედებს, როგორც საყოველთაოდ სავალდებულო აბსტრაქტული ნორმა“.<sup>203</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო, უდავოა, რომ შესაბამისი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებისას ახორციელებს სამართალშემოქმედებას კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოჩენისა და ამაზე მითითების გზით.<sup>204</sup> კანონმდებელმა არ უნდა ჩათვალოს, რომ მხოლოდ მის მიერ დადგენილი წესები შეადგენს სამართალს.<sup>205</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე.<sup>206</sup>

როგორც კანონმდებლის, ისე სასამართლოს საქმიანობაც უნდა ეყრდნობოდეს სამართლის პრინციპებს და შესაბამისად მათი საქმიანობის ნაყოფი – ნორმატიული აქტი და სასამართლოს გადაწყვეტილება ამ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.<sup>207</sup> მიჩნეულია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას, განსხვავებით ნორმატიული აქტებისაგან, მოძრაობაში მოჰყავს ეს პრინციპები, სადაც ისინი სტატიკური სახითაა გადმოცემული<sup>208</sup> და სასამართლო დავის არარსებობის შემთხვევაში ვერასოდეს პოვებენ განმარტების პრაქტიკას. „კანონმდებელი ნორმატიული ენის ფარგლებშია თავისუფალი, მაშინ როცა სასამართლო წარმოადგენს კანონის ნამდვილ სალაპარაკო ენას“.<sup>209</sup> რ. დავიდის მიხედვით, სასამართლო პრაქტიკის შემოქმედებითი როლი უმეტესად სწორედ კანონის განმარტების მოჩვენებითობის უკან იმალება.<sup>210</sup> მოსამართლე *მუსმენი* აღნიშნავდა, რომ სამართალი, როგორც შემოქმედების აბსტრაქტული გამოვლინება მის რეალურ და კონკრეტულ

<sup>202</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 75.

<sup>203</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 62.

<sup>204</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 49. ციტირება: Faber R., The Austrian Constitutional Court - An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law, Vol. 1, 2008, 51.

<sup>205</sup> ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006, 43.

<sup>206</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 49.

<sup>207</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 46.

<sup>208</sup> იქვე.

<sup>209</sup> იქვე.

<sup>210</sup> დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1993. <https://www.scribd.com/doc/294496352/>, 133.



შინაარსს მოსამართლის ხელში იძენს.<sup>211</sup> თუ კანონით ან ფაქტობრივი მდგომარეობით ხელისუფლების ორგანოებს სასამართლოს გადანყვეტილებაზე ზემოქმედების ბერკეტები ექნებათ, მაშინ მის დამოუკიდებლობაზე საუბარი ფიქცია იქნება.<sup>212</sup>

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება ნორმატიულ აქტს იმგვარად არ „კლავს“, თითქოს არც აქამდე არსებულა, არამედ იგი განაგრძობს სიცოცხლეს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით.<sup>213</sup> ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადების დროს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი იმაში გამოიხატება, რომ მის მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად აღიარებიდან ამ ნორმის პარლამენტის მიერ ახალი რედაქციით მიღებამდე იქმნება ერთგვარი მერყევი სიტუაცია, რომლის დროსაც პარლამენტი ვალდებულია იმოქმედოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე დაყრდნობით და მიიღოს ისეთი რედაქცია, რომელიც არ შეენიანაღმდეგება კონსტიტუციას. ასეთ დროს პარლამენტს სხვადასხვა შესაძლებლობა აქვს კონსტიტუციური მდგომარეობის აღსადგენად: ან შეცვალოს კონკრეტული ნორმა, ან ამოიღოს კანონიდან. მაგალითად, თანასწორობის დარღვევის შემთხვევაში კანონმდებელს შეუძლია „დაჩაგრული“ ჯგუფი პირდაპირ გაითვალისწინოს კანონში. თუმცა ამ დროს მთავარია ასეთი არჩევანის შესაძლებლობა კანონმდებელს რჩებოდეს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით არ დგინდებოდეს ერთადერთი გამოსავალი.<sup>214</sup>

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კანონმდებლის ნორმადამდგენი და სასამართლოს ნორმაშემფარდებელი ფუნქციები სხვადასხვა განზომილებაში იქნეს დანახული. პარლამენტის, როგორც პოლიტიკურ აზრთა გაცვლის და ნების ჩამომყალიბებლის მნიშვნელობა არ უნდა გადაიფაროს პოლიტიკური გადანყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებით.<sup>215</sup> აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ თავი არ უნდა აარიდოს რთული და

<sup>211</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, 252. ციტირება: Sussman, The Courts and the Legislative Branch, 1971, 247.

<sup>212</sup> ძამაშვილი ბ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გვეგნავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 107.

<sup>213</sup> ზოიძე ო., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ტენდენციები და პერსპექტივები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 238.

<sup>214</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 168–169.

<sup>215</sup> იქვე, 37.

საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებას,<sup>216</sup> თუნდაც ამან მისი პოლიტიკასთან ასოცირება გამოიწვიოს<sup>217</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის განმარტებისას ფაქტიურად ბენვის ხილზე გადის სამართალსა და პოლიტიკას შორის. შეუძლებელია არ დავეთანხმეთ ფორმულირებას, რომლის მიხედვითაც „საკონსტიტუციო სასამართლო არის როგორც პოლიტიკის განმხორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, ისე მართლმსაჯულების განმხორციელებელი პოლიტიკური ორგანო“.<sup>218</sup>

გამომდინარე იქედან, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხშირად სამართლის პოზიტიური ნორმების შექმნა ხდება,<sup>219</sup> ამ ინსტიტუტის მიმართ ხშირად ისმის იმის კრიტიკა, რომ იგი ზედმეტად ერევა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებში. მსგავსი კრიტიკის ერთერთი ავტორი, ბელა პოკოლი საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარ მოქმედებას სასამართლო აქტივიზმს უწოდებს, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს სასამართლოს ზედმეტად დატვირთვა პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, რაც მის პასუხისმგებლობას გაზრდის.<sup>220</sup> ხეცურიანის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო ამით გახდება პოლიტიკური ორგანო, რომლის მიერ საკითხების გადაწყვეტა ხდება საკუთარი ინიციატივით და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.<sup>221</sup>

მიუხედავად ამ მიმართულებით არაერთი მცდელობისა, კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონტროლის ფარგლების დარღვევის და საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციაში შეჭრის პრობლემა ყოველთვის არსებობს.<sup>222</sup> როგორც აღვნიშნეთ, სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველს სასამართლო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ განმტოებათაგან როგორც ინსტიტუციურად, ისე ფუნქციურად

<sup>216</sup> ხუბა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, სტატიათა კრებული; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>, 7.

<sup>217</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 51.

<sup>218</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 99.

<sup>219</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ურნალი, 1, 2017, თბილისი, 335.

<sup>220</sup> შტამპფი ი., ხელისუფლების დანაწილება, საკონსტიტუციო რეფორმების პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობა; სტატიათა კრებულიდან, <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>, 7. ციტირება: Pokol 1992:154.

<sup>221</sup> ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოს (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, ურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №2 (58), თბილისი, 2018, 9.

<sup>222</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 37.

გამოცალკევება წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში შესაძლოა მოსამართლე კანონმდებლად მოგვევლინოს და პირიქით.<sup>223</sup> „თავის მხრივ საკონსტიტუციო სასამართლომაც უნდა შეიკავოს თავი, რომ ზედმეტი არ მოუვიდეს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებაში“<sup>224</sup>. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასამართლო კონსტიტუციური პრინციპებისა და ღირებულებების განმარტებით სამართალშემოქმედებას უფრო ეწევა, ვიდრე სამართალშეფარდებას, რითაც იგი ერთგვარი პოზიტიური კანონმდებელიც ხდება.<sup>225</sup> მისგან მიმდინარე სამართალშეფარდებით საქმიანობაზე მეტს მოეწიან.<sup>226</sup> ხოლო მისი გადანყვეტილება სამართალშეფარდების აქტთან ერთად ნელ–ნელა სამართლის „დამატებითი“ წყაროს სტატუსსაც ითავსებს.<sup>227</sup>

ლ.ცანავა სტატიაში აღნიშნავს, რომ ისეთი ნეიტრალური ორგანო, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოა, უფრო კარგი კონსტიტუციის მცველი იქნება, ვიდრე სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესების მქონე, ბევრად მრავალრიცხოვანი პარლამენტი. ამ თვალსაზრისით ავტორი ამართლებს საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც პოზიტიური კანონმდებელი როლს.<sup>228</sup> რენე დავიდს კი პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნია, რომ მოსამართლე კანონმდებლის რელსებზე არ გადავიდეს.<sup>229</sup>

როდესაც კანონის ნორმა ნათლადაა ჩამოყალიბებული და რეგულირების სფეროს ზუსტად განსაზღვრავს, მას აღარ სჭირდება განმარტება. როგორც კი სასამართლო კანონის რეგულირების შინაარსს ახლებურად განსაზღვრავს, მაშინ იგი გადააბიჯებს კონსტიტუციის შესაბამის განმარტების ზღვარს. საკონსტიტუციო სასამართლო ამით

<sup>223</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 268. ციტირება: Charles Secondat, Baron de Montesquieu, The Spirit of the Laws, and ed. Anne M. Cohler, Basia Carolyn Miller, and Harold Samuel Stone (Cambridge: Cambridge University Press, 1992), XI. 6.

<sup>224</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, 459. ციტირება: Hillgruber/Chr., Goos, Chr., Verfassungsprozessrecht, S. 13.

<sup>225</sup> ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გვეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 122.

<sup>226</sup> გვეგენავა ა., გვეგენავა დ., „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრინვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და კანონმდებლობის ნორმატიული შიშხილი, სტატიათა კრებული: ბესარიონ ზოიძე 60, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013, 183.

<sup>227</sup> მარინაშვილი მ., გელაშვილი ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების ადგილი სამართლის წყაროთა სისტემაში, ჟურნალი მართლმსაჯულება, №3, 2007, 168.

<sup>228</sup> ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გვეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 131–132.

<sup>229</sup> დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1993. <https://www.scribd.com/doc/294496352>, 136.

კანონმდებლის ფუნქციას იღებს თავის თავზე, ზოგჯერ ეს შესაძლოა კანონმდებლისთვის მისაღებაც კი იყოს, ურჩევნია დაელოდოს კომპეტენტურ საკონსტიტუციო სასამართლოს და როგორც ის ეტყვის, მოგვიანებით ისე გადაწყვიტოს.<sup>230</sup>

თუმცა ნორმის რეგულირების ყველა ასპექტის მოცვა ერთ ნორმაში როგორც წესი შეუძლებელია და დროთა განმავლობაში მრავალმხრივ გამოყენებას ჰპოვებს. ეს მაშინ ხდება, როდესაც თავდაპირველი მიზანი სხვაგვარ ინტერპრეტირებას იძენს წლების შემდეგ. კანონის ხარვეზი და ცარიელი ადგილები კი თავიდან ადვილად აცილებადი არაა. ამ გავებით საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ ამ ცარიელი ადგილების ამოვსების საშუალებას წარმოადგენს იმ ზღვრამდე, სანამ ასეთი ხარვეზების ამოვსება კანონის დანერგის ფუნქციაში გადაიზრდება.<sup>231</sup> ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინსტიტუციას, ისეთი სტატუსით და მნიშვნელობით, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოა, არ უნდა ჰქონდეს არავითარი მორალური თუ მენტალური ბარიერები, განაგრძოს და შეავსოს კანონმდებლის მიერ დატოვებული ცარიელი ადგილები<sup>232</sup>. კონტროლის ფუნქციის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის ნორმის სიღრმისეულმა და ღირებულებითმა შეფასებამ შესაბამის გადაწყვეტილებას „შემოქმედებითი“ და არამხოლოდ „ნეგატიური“ სახე მისცა.<sup>233</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის არაკონსტიტუციურობაზე მსჯელობისას შესაძლოა მითითება „სწორ“ კონსტიტუციურ ქცევის წესზეც გააკეთოს, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი მანდატის დარღვევას განაპირობებს.<sup>234</sup>

ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კონკრეტული ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა ხშირ შემთხვევაში იწვევს სამართლებრივი ვაკუუმის წარმოშობას, მასთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი სხვა ნორმატიული აქტებიც, რომელთა კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია. ო. ბენიძის აზრით საკონსტიტუციო სასამართლომ შესაბამის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებით გამოწვეული სამართლებრივი

<sup>230</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 167.

<sup>231</sup> იქვე.

<sup>232</sup> Gegenava D., Unconstitutional Constitutional Amendment: Three Judgments from the Practice of the Constitutional Court of Georgia, South Caucasus Law Journal, 5/2014, [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2600944](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2600944), 5.

<sup>233</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; აირის საქართველო, გამომც. სეზანი, 2003, 80.

<sup>234</sup> ჯორბენაძე, ო., მოსაზრებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #3/2/646 გადაწყვეტილების შესახებ (განმეორებითი წინასწარი პატიმრობა); სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), 2015, 3.

ვაკუუმის საკანონმდებლო წესით შევსების შესახებ.<sup>235</sup> ასევე მნიშვნელოვანია მიუთითოს ახალი ნორმატიული აქტის მიღებამდე არსებული ურთიერთობის რეგულირების წესზეც.<sup>236</sup> არც თუ იშვიათია კანონმდებლისთვის ვადის დაწესება, რომლის განმავლობაშიც არაკონსტიტუციური ვითარება უნდა იქნეს გამოსწორებული.

ის თემა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია თუ არა კანონმდებელს ვადა დაუწესოს, რომლის განმავლობაშიც იგი ვალდებულია ხარვეზი აღმოფხვრას, სადავოა. თუმცა ეს საკითხი მიზანშეწონილია მოწერიდეს, რათა არაკონსტიტუციური სიტუაცია მალე აღმოფხვრას. ასეთი ვადის არარსებობის პირობებში არ შეიძლება კანონმდებლის დავალდებულება რაიმე თარიღამდე მიიღოს კანონი, თუმცა არც კანონმდებელია უფლებამოსილი მისთვის მოსახერხებელ დრომდე გადადოს არაკონსტიტუციური ვითარების გამოსწორება.<sup>237</sup>

კანონმდებელი შემოჭილია სამართლით, რაც აყალიბებს მის პასუხისმგებლობას საკანონმდებლო სტაბილური კანონმდებლობის, ისევე როგორც მყარი სამოქალაქო წესრიგის შექმნის საქმეში.<sup>238</sup> სასამართლოს როლი საკანონმდებლო საქმიანობაში კი კონსტიტუციური პრინციპების დაცვით გამოიხატება. მისთვის კანონშემოქმედებითი უფლებამოსილებების დაკანონება სახელისუფლებო განშტოებებს შორის წონასწორობის დარღვევას გამოიწვევს.<sup>239</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნორმის არაკონსტიტუციურობის დასაბუთების პარალელურად, სწორი წესის დასახელება უკვე პოზიტიური ნორმის მიღების ნიშანია.<sup>240</sup>

კონსტიტუციასთან შეუსაბამო აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება ზუსტად ასახავს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ნეგატიური კანონმდებლის მანდატს.<sup>241</sup> მართალია საკონსტიტუციო სასამართლო თავად არ იღებს კანონებს, მაგრამ ნეგატიური

<sup>235</sup> ბენიძე ო., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 23.

<sup>236</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 67.

<sup>237</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 170.

<sup>238</sup> ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006, 45.

<sup>239</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 196.

<sup>240</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 474.

<sup>241</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 292.

კანონმდებლის ფუნქციის განხორციელებისას პოზიტიურ კანონმდებელთან ერთად მონაწილეობს სწორი კანონმდებლობის შექმნაში, რითაც იგი ითავსებს კვაში საკანონმდებლო ინიციატორის როლს.<sup>242</sup> საკონსტიტუციო სამართალწარმოება ხშირად კანონთა ძალადაკარგულად გამოცხადებით და მათი კონსტიტუციურობის დადასტურებით არ შემოიფარგლება. ბევრ შემთხვევაში მისგან მზა გადაწყვეტილება მოდის, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს შემდგომი მოქმედება არც სჭირდება,<sup>243</sup> ან თუ სჭირდება, ხელმძღვანელობს სასამართლოს გადაწყვეტილებაში გადმოცემული მოტივაციით.

ზოიძე მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლობის კონტროლიორია და არა მისი თანაავტორი. მისი აზრით, საკანონმდებლო ძალაუფლების გაყოფა არ უნდა ხდებოდეს ორ სხვადასხვა შტოს შორის.<sup>244</sup> მოსამართლემ თავის გადაწყვეტილებას ისეთი ფორმულირება არ უნდა მისცეს, რომ კანონის ტექსტს კონკურენციას უწევდეს.<sup>245</sup> ხუბუა მიიჩნევს, რომ პოლიტიკის კეთება კანონმდებლის საქმეა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საქმეში არც სათადარიგო კანონმდებლის როლი უნდა დაეკისროს და მით უმეტეს არც „ზე-კანონმდებლის“.<sup>246</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენაზე მიუთითებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ნორმა, რომლის მიხედვითაც „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი“.<sup>247</sup> ამდენად, ეს ნორმა, რომელიც თავად კანონმდებლის მიღებულია, კანონმდებელსვე უკრძალავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მოქმედებას.

<sup>242</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 47.

<sup>243</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 292.

<sup>244</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 61–62.

<sup>245</sup> დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 468.

<sup>246</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, სტატიათა კრებული; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>, 18.

<sup>247</sup> შანავა ა., ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მისი გადაწყვეტილების სავალდებულობის შესახებ; კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი [http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI\\_SHNAVA\\_93010.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI_SHNAVA_93010.pdf)

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი ინიციატივით, ვინმეს მიმართვის გარეშე უნდა ახორციელებდეს კონტროლს, თუ იკვეთება კონსტიტუციის დარღვევის ნიშნები, არ დაიჭიროს „უკანონობის პასიური მონწილის პოზიცია“.<sup>248</sup> ჯ. ხეცურიანი არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტების საკუთარი ინიციატივით განხორციელება დაარღვევდა არამხოლოდ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, არამედ აგრეთვე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს.<sup>249</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიური კანონმდებლის სტატუსი ლეგალურად აქვს, აქაც სიფრთხილე უნდა იქნეს გამოჩენილი და მისი გადანწყვეტილებები უნდა იყოს უფრო მეტად უნდა იყოს განმსჯელი ხასიათის, ვიდრე კანონშემოქმედის. საკანონმდებლო ორგანოს კონტროლის უფლებამოსილება მხოლოდ იმ ფარგლებში იქნება გამართლებული, როდესაც მოსამართლე მკაცრად იცავს იმ ჩარჩოებს, რისთვისაც მას ეს უფლებამოსილება აქვს და პატივს სცემს კანონმდებლის, როგორც ნორმაშემქმნელის უფლებამოსილებას. კონსტიტუციის მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა და არა მოსამართლეების სახელმწიფოსი.<sup>250</sup>

აღნიშნული თვალსაზრისით ამ ორგანოთა გადანწყვეტილებები უკვე გასცდა ნეგატიური კანონშემოქმედების საზღვრებს, იგი გახდა საკანონმდებლო პროცესის დამატებითი მონაწილე, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს საკანონმდებლო პროცესში ჩართულობა აქტიურად ჩანს იმ ქვეყნებში, სადაც ნორმათა წინასწარი კონტროლია გათვალისწინებული. იმ ქვეყნებში კი, სადაც კონსტიტუციური მართლმსაჯულება ძალაში შესულ კანონებთან და კონკრეტულ საქმეებთან მიმართებაში ხორციელდება, სამართალშემოქმედებითი საქმიანობა კონკრეტულ საქმეზე ფოკუსირდება. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადასინჯვის საგანი მოდის გასაჩივრებული ვითარებიდან და არა კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულირებიდან.<sup>251</sup>

<sup>248</sup> ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში; საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა, თბილისი, 2011, 159–160. ციტირება: მელქაძე ო., საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხისათვის. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2001 წლის მეორე კვარტალი, 75, 80.

<sup>249</sup> ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში; საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა, თბილისი, 2011, 161.

<sup>250</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 33.

<sup>251</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 294.

## 2.1.2. პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში – საკანონმდებლო პროცესის თანამონაწილე თუ პოზიტიური კანონმდებელი

საკონსტიტუციო სასამართლოს როლი კანონშემოქმედებით პროცესში განსაკუთრებით გამოკვეთილია ისეთ სისტემებში, სადაც სასამართლოს ნორმის წინასწარი, პრევენციული კონტროლის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. ამ დროს, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს პარლამენტში საკანონმდებლო პროცესის მიმდინარეობისას ან საბოლოო რედაქციით მიღების შემდეგ ეგზავნება კანონპროექტი, და სანამ მისი პრეზიდენტთან გაგზავნა მოხდება, სასამართლოს მიერ ხორციელდება ნორმის შესაბამისობის შემოწმება კონსტიტუციასთან. აღნიშნულ ფუნქციას დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეებიც ახასიათებს, რაც პირველ რიგში მის საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში ჩარევის საფრთხესთან არის დაკავშირებული.

წინასწარი კონტროლის, იგივე შემოწმების ინსტიტუტს პროფილაქტიკური ხასიათი აქვს.<sup>252</sup> მისი წყალობით შესაძლებელია შენარჩუნებული იქნეს კანონმდებლის ავტორიტეტი, რაც შემდგომ კონსტიტუციური კონტროლს ახლავს თან, პარლამენტის როგორც წაგებული მხარის პოზიციის გამო.<sup>253</sup> შემდგომი კონტროლი საკანონმდებლო ორგანოს პრესტიჟის დამცირებას იწვევს, ვინაიდან რაც უფრო მეტ საპარლამენტო გადაწყვეტილებას აცხადებს ძალადაკარგულად სასამართლო, მით მეტად იმკვიდრებს საკანონმდებლო ორგანოს დამხმარის როლს, რომლის გარეშეც ეს უკანასკნელი ვერ გაართმევდა თავს თავის ფუნქციებს.<sup>254</sup>

ყველაზე მთავარი არგუმენტი წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის წინააღმდეგ არის ის, რომ ასეთ სისტემებში, კანონის გამოქვეყნებამდე კონტროლის გამოყენება საკანონმდებლო პროცესში ყველაზე დიდი დოზით ჩარევაა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს.<sup>255</sup> ამ მოსაზრებას იზიარებს *ო. მელქაძე* და მიუთითებს, რომ კანონთა კონსტიტუციურობის უზრუნველყოფა არ უნდა ხდებოდეს მთავარი ძირითადი კონსტიტუციური პრინციპის დარღვევის ხარჯზე.<sup>256</sup>

<sup>252</sup> მელქაძე *ო.*, დვალი *ბ.*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, „მერანი-3“, თბილისი, 2000, 239–240.

<sup>253</sup> იქვე, 261.

<sup>254</sup> გენაძე *გ.*, საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998, 27–28.

<sup>255</sup> იქვე, 27.

<sup>256</sup> მელქაძე *ო.*, სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, გამომცემლობა „უფლება“, თბილისი, 1996, 70.



შემდეგი არგუმენტი პრევენციული კონტროლის წინააღმდეგ არის ის, რომ იგი საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკების საფრთხეს შეიცავს.<sup>257</sup> მართლაც, საკანონმდებლო პროცესში ჩართულობისას, ანუ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება კანონის სახით მიღებული არაა, სასამართლოს მხრიდანაც მოხდება გარკვეული ფორმულირებების შეთავაზება. ეს პრევენციული კონტროლის დროს უფრო მეტად მოსალოდნელია, ვინაიდან სამუშაო პროცესის დროს არაერთი ალტერნატივის განხილვა ხდება, ეს კი ჩვეულებრივ პოლიტიკოსად აქცევს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს. იტალიელი პროფესორის *ჩემარე პინელის* აზრით წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლი ყველაზე ძლიერი კონტროლია და იგი საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ საკითხებთან გადაჯაჭვულობას განაპირობებს.<sup>258</sup> *ჰერმან შვარცი* ასეთ საქმიანობას კანონმდებლის მრჩეველობას უწოდებს და მასში ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან წინააღმდეგობას ხედავს.<sup>259</sup>

პრევენციული კონტროლის დროს ჯერ აუმოქმედებელი კანონის არაკონსტიტუციურად მიჩნევა ნიშნავს საკანონმდებლო ორგანოსათვის მისი საქმიანობის პროდუქტის შეცვლისკენ მოწოდებაა, რომლიდანაც შეიძლება სწორ წესზე მინიშნებაც იკითხებოდეს. ასეთი გადაწყვეტილებებით საკონსტიტუციო სასამართლო კანონშემოქმედების აქტიური მონაწილეა და შესაბამისად, პოზიტიური კანონმდებლის სტატუსითაც სარგებლობს.<sup>260</sup> საკონსტიტუციო სასამართლო არის არა საკანონმდებლო პროცესის „თანამონაწილე“ ზემდგომი თანამდებობის პირი, არამედ „კონტროლიორი“<sup>261</sup>, რომელიც მაშინ ერთვება საქმეში, როცა მისი კონტროლის ობიექტი რაიმეს „აფუჭებს“.

წინასწარ საკონსტიტუციო კონტროლს ის ნაკლიც აქვს, რომ იგი შეიძლება არ იყოს ეფექტიანი საშუალება აქტის კონსტიტუციურობის დასადგენად, ვინაიდან ამ დროს არ ჩანს

<sup>257</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; აირის საქართველო, გამომც. სეზანი, 2003, 70.

<sup>258</sup> ლუდაშვილი ნ., კონსტიტუცია და მისი დამკველი ინსტიტუტის როლი ძალაუფლების გამიჯვნაში, სამართლის სტატიათა კრებული, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, 23. ციტირება: პინელი ჩ., საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები; მოსამართლეების არჩევა, უერნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1997, 34.

<sup>259</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; აირის საქართველო, გამომც. სეზანი, 2003, 71.

<sup>260</sup> იქვე.

<sup>261</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, სტატიათა კრებული; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>, 15–16.

მისი მოქმედებით გამოწვეული შედეგები და შესაბამისად სასამართლოს არ აქვს ინფორმაცია, თუ რა გავრცელება მოჰყვება განსახილველ კანონს შემდგომში.<sup>262</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის პრევენციული კონტროლის უფლებამოსილებით არ არის აღჭურვილი. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ერთვება პროცესში, არის საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი. რატიფიცირების პროცესში მყოფი საერთაშორისო ხელშეკრულების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში დაუშვებელია მისი რატიფიცირება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრიაში, პორტუგალიასა და ირლანდიაში კი პრევენციული კონტროლი კონსტიტუციურ დონეზეა დამკვიდრებული.<sup>263</sup>

რა გავლენას მოახდენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმათა პრევენციული კონტროლის დეკლარირება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე, და განსაკუთრებით კანონმდებლობის შექმნის პროცესზე? ვფიქრობთ, პირველ რიგში, ამით საკონსტიტუციო სასამართლო შეითავსებდა პარლამენტის სტრუქტურული ერთეულის ან დაწესებულების როლს, რომელზეც ძირითადი ორგანოს ანუ პარლამენტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დეცენტრალიზდებოდა კონსტიტუციასთან კანონპროექტების შესაბამისობის შემოწმება. ეს ერთი მხრივ საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვნად დატვირთავდა, და მეორე მხრივ გააჭიანურებდა საკანონმდებლო პროცესს.

სამართლებრივი შედეგების მიმართულებით აღნიშნულის დეკლარირება კი უფრო მეტ პრობლემას გამოიწვევდა. კერძოდ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო საკანონმდებლო ინიციატივის დონეზე შეამოწმებდა კანონპროექტს, რასაც თავისთავად აბსტრაქტული კონტროლის ფორმა ეწებოდა, ძირითადად რთული იქნებოდა კონკრეტული დავის გარეშე და შესაბამისად ნორმის გამოყენების/შეფარდების სურათის გარეშე იმის განსაზღვრა, შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას სადავო ნორმა. თუ სასამართლო ასეთ პროცესში კონსტიტუციურად მიიჩნევდა ნორმას, მისი მიღების და ძალაში შესვლის შემდეგ წარმოშობილი დავების შემთხვევაში წინა გადაწყვეტილების პრეიუდიციული ძალის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდებოდა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ:

<sup>262</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი; სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 26–27.

<sup>263</sup> მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, „მერანი-3“, თბილისი, 2000, 240.

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებას (როცა კანონპროექტის დონეზე შეამოწმა მისი კონსტიტუციურობა) პრეიუდიციული ძალა მიენიჭება, ეს სერიოზული დარტყმა იქნებოდა ადამიანის უფლებებზე, ვინაიდან მომავალში ინდივიდებს შეეზღუდებოდათ უფლება აღნიშნული ნორმის მიერ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოში გაესაჩივრებინათ იგი. ხოლო თუ არ მივანიჭებდით ასეთ ძალას, აზრი დაეკარგებოდა თავდაპირველ შემონმებას და გამოინვევდა ტყუილად „დროის დახარჯვას“ საკანონმდებლო პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს ჩართვის გამო.

ამასთან, გამომდინარე იქედან, რომ თითოეულ ნორმას, განსაკუთრებით თუ საუბარია კანონის ნორმაზე, განუსაზღვრელი რაოდენობის ადრესატი და გამოყენების შემთხვევა გააჩნია, შეუძლებელი იქნებოდა სასამართლოს მიერ ერთიდაიგივე ნორმასთან მიმართებაში ცალსახად დაედგინა მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი. დისკუსიას კონსტიტუციის შესაბამისი განმარტების შესახებ საფუძვლად უდევს ფაქტი, რომ კანონის ნორმები შესაძლოა მათი მრავალმნიშვნელობიანი შინაარსის გამო არაკონსტიტუციურად იქნეს განმარტებული. ამის გამო ისინი შესაძლოა სხვადასხვა განმარტების გამო კონსტიტუციას ან შეესაბამებოდნენ, ან არა. გარდა ამისა, შესაძლოა ადრე კონსტიტუციასთან შესაბამისი ნორმა დროთა განმავლობაში მრავალი გამოყენების შემდეგ არაკონსტიტუციურად იქნეს განმარტებული და შეფარდებული.<sup>264</sup> ამდენად, მიგვაჩნია, რომ ყველაზე სწორი გამოსავალი ნორმათა არა პრევენციულ, არამედ რეპრესიულ კონტროლშია, მიუხედავად რისკისა, რომ არაკონსტიტუციური ნორმა შესაძლოა წლებიკი მოქმედებდეს, თუ მოქალაქის უფლება მასთან არ „გადაიკვეთება“<sup>265</sup> და არ გაასაჩივრებს სასამართლოში.

წინასწარი ანუ პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის იდეას ემხრობოდა *გ. კახიანი* კონსტიტუციური კანონის შემთხვევაში. მისი აზრით, შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მიღებული კონსტიტუციური კანონის პროექტი მოქმედ კონსტიტუციასთან შესაბამისობის გადასამოწმებლად უნდა გაეგზავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ხოლო მისი დადებითი დასკვნის შემდეგ გადაეცეს

<sup>264</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 165.

<sup>265</sup> იხ. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, „მერანი-3“, თბილისი, 2000.

პრეზიდენტს.<sup>266</sup> მიგვაჩნია, რომ ეს ინიციატივა საჭიროებს დაზუსტებას და არა მთლიანად მოქმედ კონსტიტუციასთან შესაბამისობისთვის გადაეგზავნოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, არამედ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. განზოგადებულად იმის აღნიშვნა, რომ მოქმედ კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგებოდა მასში დაგეგმილი ცვლილებები, მიგვიყვანდა იმ მდგომარეობამდე, რომ შესაძლოა ვერასოდეს შეიცვალოს თუნდაც ხელისუფლების დანაწილების მარეგულირებელი ნორმები, როცა დაგეგმილია მათი არსებითი გადასინჯვა.

იმ ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ, რომლებიც აბსტრაქტული კონტროლის უფლებამოსილებით არიან აღჭურვილი, აღნიშნული კონტროლის განხორციელება შეუძლებელია განმარტების საფუძველად არსებული ნორმის შინაარსის განსაზღვრის გარეშე. სწორედ ასეთი ნორმის განმარტებისას უახლოვდება საკონსტიტუციო სასამართლო ე.წ. პოზიტიური კანონმდებლის როლს.<sup>267</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ბოლო წლებმა აჩვენა, რომ იგი რეპრესიული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებშიც საკმაოდ მიუახლოვდა კანონშემოქმედების სუბიექტის სტატუსს. ვინაიდან ამ ფუნქციის და როლის გამო საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოები ხშირად ხდებიან პოლიტიკოსების მანიპულირების ობიექტები, საკონსტიტუციო სასამართლო უნდა ეცადოს, მაქსიმალურად სამართლებრივ ჩარჩოებში იმოქმედოს და რადიკალური გადაწყვეტილებებით ფუნქციურად არ ჩაანაცვლოს კანონმდებლობისთვის შექმნილი ორგანო.<sup>268</sup>

## **2.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგები და მისი აღსრულების თავისებურებები**

### **2.2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეალური გავლენა კანონმდებლობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით**

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნის და დავის ფარგლებით, ხოლო ნორმატიული შინაარსის შეფასების დროს, განსაზღვრავს არა ამ ნორმის ყველანაირი განმარტების

<sup>266</sup> კახიანი გ., აბსტრაქტული ნორმატიული კონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში, სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, 2009, 75,

<sup>267</sup> ვ. ბაბუკი/გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993–1995), კ. კუბლაშვილის თარგმანი, 2002, 261–262.

<sup>268</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 38.

კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს, არამედ მიუთითებს მხოლოდ სარჩელში დაფიქსირებული განმარტების არაკონსტიტუციურობაზე.<sup>269</sup> ამის შედეგი კი ისაა, რომ ნორმის გამოყენების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება მბოჭავი ძალისაა და შესაბამისი ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადებული შინაარსით შეფარდება აღარ შეიძლება.<sup>270</sup>

მიმდინარე ქვეთავში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები განხილულია მათი კანონმდებლობაზე სხვადასხვა შედეგის მიხედვით. მათ შორის, ყურადღება მახვილდება ისეთ გადანყვეტილებებზეც, რომლებმაც ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობა დაადგინეს და ამით არა სავალდებულო, არამედ ფაკულტატიური გავლენა მოახდინეს საკანონმდებლო ორგანოზე.

### ***საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების პირდაპირი მოქმედების შედეგები***

როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების პირდაპირი მოქმედების ძალა გამოიხატება იმაში, რომ ძირითად შემთხვევებში აღარ მოითხოვება რაიმე დამატებითი საკანონმდებლო ქმედება ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის გასაუქმებლად და ამ მიზნით მის მიმღებ ორგანოს არაფერი ევალება.<sup>271</sup> საკონსულტაციო საკონსტიტუციო კონტროლის შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადანყვეტილებას ზოგიერთ სისტემაში სავალდებულო ხასიათი არა აქვს და მისი გაზიარება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, სადაც მათ დამდგენი ხასიათი აქვთ და შესაბამისად პირდაპირი მოქმედების ძალით გამოირჩევიან.<sup>272</sup> დამდგენი ძალა აქვს მინიჭებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებსაც – იმისგან დამოუკიდებლად, საკანონმდებლო ორგანო მოახდენს თუ არა რეაგირებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე. ეს უკანასკნელი მაინც მოქმედებს და ძალას უკარგავს კანონმდებლის მიერ მიღებულ ნორმებს.

<sup>269</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 338.

<sup>270</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 339.

<sup>271</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 64.

<sup>272</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი; სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008. 30.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა უმეტესობა სწორედ მსგავსი ეფექტისაა, და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება კანონმდებლი შემდგომ მოქმედებას საჭიროებს, შესაბამისი საკანონმდებლო აქტის კოდიფიცირებულ ვერსიებში ამ ნორმის გაუქმების ავტორად მაინც საკონსტიტუციო სასამართლო რჩება კანონმდებლის უმოქმედობის გამო. ქვემოთ განხილულია რამდენიმე ასეთი გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ სასამართლოს მანდატურის მიმართ დადგენილი სამსახურის ზედა ზღვრული ასაკის დადგენა ეწინააღმდეგებოდა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს და კონკრეტული გარემოებების დადგენის გარეშე უწყდებოდათ მათ სამსახურებრივი ურთიერთობა 50 წლის ასაკს მიღწევისთანავე. სასამართლოს აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ საკანონმდებლო ნორმაზე პირდაპირი ზემოქმედება მოახდინა – გასაჩივრებული წინადადება იქცა ძალადაკარგულად, შესაბამისად კანონმდებელს აღარაფერი დარჩა გასაკეთებელი არაკონსტიტუციური ვითარების გამოსასწორებლად.

### ***ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების გავლენა კანონმდებლობაზე***

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლო წლების პრაქტიკით, შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების გარეშე, გაათავოთვა საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლები და ნორმის ნორმატიული შინაარსის დადგენის გზით საკონსტიტუციო კონტროლის ახალი მიმართულება განავითარა.<sup>273</sup>

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის უფლებამოსილების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს თავდაპირველი დამოკიდებულება მეტად თავშეკავებული იყო. მაგალითად, 2004 წლის ერთ–ერთი განჩინებით სასამართლომ უარი თქვა ნორმატიული შინაარსის შეფასებაზე და არ მიიღო სარჩელი წარმოებაში, რაც იმით დაასაბუთა, რომ ნორმის არასწორ გამოყენებაზე საკონსტიტუციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა, ვინაიდან მისი ფუნქცია მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შესახებ დავების განხილვა იყო. სასამართლოს მოსაზრებით, ამ შემთხვევაზე უნდა ემსჯელა საკანონმდებლო ორგანოს, სადავო ნორმით მანიპულირებისა და მისი

<sup>273</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 346.

ორაზროვანი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით ნათლად განესაზღვრა ნორმის შინაარსი და გაესწორებინა არსებული საკანონმდებლო ხარვეზი.<sup>274</sup>

ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შემოწმების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად განსაზღვრავს შემთხვევებს, როდის ჩაითვლება კონსტიტუციურად გასაჩივრებული ნორმის განმარტება. საქმეზე „გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც წინასწარი პატიმრობის ვადად არაუმეტეს 9 თვეს განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმითაც სიტყვასიტყვით იგივე ფორმულირება იყო გადმოცემული, საკონსტიტუციო სასამართლომ კოდექსის ნორმა „დაშალა“ კონსტიტუციური და არაკონსტიტუციური შინაარსის მქონე განმარტებებად. კერძოდ, კონსტიტუციურად მიიჩნია 9–თვიანი ვადის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როცა პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულზე პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი ბრალდების მხარისათვის ცნობილი გახდება მხოლოდ პირველ საქმეზე წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ.<sup>275</sup> არაკონსტიტუციური კი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ორგანოების მიერ მოხდებოდა ამ ვადით მანიპულირება. აღნიშნული გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლო პირდაპირ მოგვევლინა არამხოლოდ საერთო სასამართლოების ზემდგომ ორგანოდ (უთხრა, რომ ასე (არ) უნდა მოქცეულიყვნენ), არამედ პოზიტიურ კანონმდებლადაც, ვინაიდან შემდეგ შემთხვევებში საერთო სასამართლოები და გამოძიების ორგანოები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ არა მხოლოდ კანონით, არამედ კიდევ ერთხელ გადახედონ საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას თავიანთ წარმოებაში არსებულ საქმეებზე მუშაობისას და ისე გადაწყვიტონ წინასწარი პატიმრობის ვადის განსაზღვრის საკითხი.

ამდენად, ამ გადაწყვეტილების ადრესატი შესაძლოა სამივე ხელისუფლება იყოს: საკანონმდებლოს ევალებოდაც ზოგადი ჩანაწერით მოაწესრიგოს აღნიშნული მანიპულირების შემთხვევები და აკრძალოს იგი, აღმასრულებელს, კერძოდ, საგამოძიებო ორგანოებს ევალებათ ბრალს წარდგენის დროს არ მოახდინონ ვადებით მანიპულირება, ხოლო საერთო სასამართლოს ევალება ასეთი დარღვევების აღმოფხვრა და სასჯელის შეფარდებისას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში კანონი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აღმასრულებელმა და

<sup>274</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 64.

<sup>275</sup> ჭავჭავაძე ვ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ურნალი, 1, 2017, თბილისი, 338.

სასამართლო ხელისუფლებამ მასზე დაყრდნობით მიიღონ გადაწყვეტილებები, არამედ საჭირო ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობა, რაც ამ უკანასკნელს პოზიტიურ კანონმდებლად აქცევს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის ნორმატიული შინაარსის განმარტება მოახდინა საქმეზე „გიორგი კეკელიძე პარლამენტის წინააღმდეგ“. ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმების შერჩევა, მათ შორის, გასაწვევ პირთა წრის განსაზღვრა კანონმდებლის დისკრეციად განიხილა<sup>276</sup> და აღარ დაადგინა დამატებითი კრიტერიუმები, თუ რა უნდა დაენერა კანონმდებელს და როგორი ფორმულირებით.

2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაში „ა(ა)პ მედიის განვითარების ფონდი და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) 28-ე მუხლის პირველი ნაწილის, 44-ე მუხლის პირველი ნაწილის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას. მაგრამ ვინაიდან სადავო ნორმების დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში აღარ იარსებებდა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით სასამართლოს აქტების საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, შესაძლებელია, დარღვეულიყო იმ პირთა პირადი ცხოვრების უფლება, რომელთა პერსონალური მონაცემებიც მოცემულია შესაბამის სასამართლო აქტში. ამის გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები ძალადაკარგულად ცნო 2020 წლის პირველი მაისიდან, რითაც საქართველოს პარლამენტს მისცა ვადა საკითხის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოსაწესრიგებლად. ამ გადაწყვეტილებიდან აშკარაა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების ადრესატია არამხოლოდ საერთო სასამართლო<sup>277</sup>, არამედ საქართველოს პარლამენტიც, რომლის მიერ ქმედების განხორციელების, ანუ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების გარეშე ვერ აღდგება კონსტიტუციური ვითარება.

<sup>276</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი: სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 343.

<sup>277</sup> ამ შემთხვევაში სასამართლო წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც არ გასცა საჯარო ინფორმაცია, და არა მართლმსაჯულების ორგანო.



საკონსტიტუციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს წარდგინებით წარმოებულ საქმეზე არაკონსტიტუციურად მიიჩნია და ძალადაკარგულად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებული კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას. გასაჩივრებული ნორმა კი მხოლოდ მიუთითებდა, რომ საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. ეს უკანასკნელი თავის თავში რამდენიმე ნორმატიულ შინაარსს მოიაზრებს, საკონსტიტუციო სასამართლომ კი კონკრეტულ განსახილველ დავასთან დაკავშირებით მისგან მხოლოდ ერთი ნორმატიული შინაარსი განაცალკევა და არაკონსტიტუციურად მიიჩნია. კანონმდებელს ამ შემთხვევაზე არ მოუხდენია რეაგირება და სწორადაც, ვინაიდან შეუძლებელია საკანონმდებლო ნორმით სრულად ამოიწიროს ამგვარი შინაარსის ნორმების გამოყენების შემთხვევები. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებამ კანონმდებლობაზე ვერ მოახდინა გავლენა, არამედ მხოლოდ უზენაეს სასამართლოზე.

### ***საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოზიტიური ნორმის „შემთხვევით“ შექმნის პრაქტიკა***

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 2002 წლის ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნა, რომ ახალი ნორმის შემუშავება საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციით განწერილი კომპეტენცია არ არის<sup>278</sup>. თუმცა წლების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ სრულად შემოატრიალა ეს მიდგომა და განზრახ თუ არა, შემთხვევით მაინც ხდება ხოლმე პოზიტიური კანონმდებელი კანონის ნორმათა განმარტების დროს.

ისეთ შემთხვევას, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგული ნორმების გამო საკანონმდებლო ვაკუუმი იქმნება, ხოლო საზოგადოებრივი ურთიერთობა დაურეგულირებელი რჩება, ლიტერატურაში „კანონმდებლობის ნორმატიული შიმშილი“ უწოდეს.<sup>279</sup> ასეთი ვითარება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაერთხელ შექმნილა, რასაც საკანონმდებლო ორგანოს უმოქმედობაც ერთვის თან.

<sup>278</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012. 47. ციტირება: ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 63.

<sup>279</sup> გეგენავა ა., გეგენავა დ., „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრინვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და კანონმდებლობის ნორმატიული შიმშილი, სტატიათა კრებული: ბესარიონ ზოიძე 60, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013, 190.

ხშირად საკონსტიტუციო სასამართლო, განსაკუთრებით ნორმის ნორმატიული შინაარსის შემოწმებისას ახალ სუბიექტებს განსაზღვრავს კონკრეტული ნორმისათვის, თუ დაადგენს, რომ დისკრიმინაციულად და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევით იზღუდება მათი ხელმისაწვდომობა რაიმე უფლებაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც არ ითვალისწინებდა გამართლებულის მიერ განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას. სასამართლოს შეფასებით, გამართლებულ პირებსაც უნდა ჰქონდეთ ჰქონდეთ გამამართლებელი განაჩენის გასაჩივრების უფლება.<sup>280</sup> ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის ნორმაში ჩამოთვლილ სუბიექტებს დაამატა ახალი სუბიექტი, რითაც კანონმდებლის საქმე გააკეთა. აღნიშნული საქმიდან გამომდინარე, კანონის ნორმა აღარ არის საკმარისი იმისათვის, რომ სასამართლოებმა გადაწყვიტონ, დაუშვან თუ არა გამართლებული პირის სააპელაციო საჩივარი მაშინ, როცა კანონში ეს კატეგორია არ არის სუბიექტთა ჩამონათვალში და იძულებული ხდებიან იხელმძღვანელონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლის წყაროდ გადაქცევის ტენდენციას.

საქმეზე „შპს საღაზღვევო კომპანია უნისონი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსხვავებული სახელმწიფო ბაჟის დადგენა და ძალადაკარგულად ცნო იურიდიული პირების მიმართ უფრო მაღალი ბაჟის დადგენა, ვიდრე ეს ფიზიკური პირების შემთხვევაში იყო. ამასთან, ხსენებული სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება გამოიწვევდა იურიდიული პირების გათავისუფლებას სახელმწიფო ბაჟისაგან სანამ პარლამენტი შესაბამის ახალ რეგულაციებს დაადგენდა. ეს კი ამ გარდამავალ პერიოდში ფიზიკური პირების მიმართ დიფერენცირების შემადგენლობას მოგვცემდა. ან შესაძლოა ამ გადაწყვეტილებამ საერთო სასამართლოს დაბნეულობაც კი გამოიწვიოს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს მოტივაცია იყო, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ერთნაირი სახელმწიფო ბაჟი გადაეხადათ, როგორ იქცევა ამ შემთხვევაში საერთო სასამართლო: ითხოვს იურიდიული პირებისაგან იმავე ოდენობის ბაჟს, როგორსაც ფიზიკური პირები იხდიან (საკონსტიტუციო სასამართლოს მოტივაციის მიხედვით) თუ არ ახდევინებს მათ არაფერს, ვინაიდან იურიდიულ პირებთან მიმართებაში ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განმსაზღვრელი

<sup>280</sup> ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 343–344.

ჩანაწერი. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ პრობლემის მოწესრიგების აუცილებლობის მოტივით არაკონსტიტუციური ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება გადადო რამდენიმე თვით, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ერთ წელზე მეტია გასული და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში არაფერი შეცვლილა. აღნიშნული საქმის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ პოზიტიური კანონმდებლის როლი შეასრულა და არსებითად გადაწყვიტა იურიდიულ პირებთან მიმართებაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, რაც კანონმდებელს უნდა გაეკეთებინა.

### ***საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონმდებლის უმოქმედობაზე რეაგირება***

როცა საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლის უმოქმედობაზე ახდენს რეაგირებას, აქ მთავარია დაცული იქნეს ის ზღვარი, რომ სასამართლომ არ დაავალდებულოს კანონმდებელი, რომ მან კონკრეტული შინაარსით ჩამოაყალიბოს ნორმა, არამედ მან უნდა მოუწოდოს პარლამენტს, შექმნას ისეთი ნორმა, რომელიც კონსტიტუციასთან შესაბამისობის დაცვით დაარეგულირებს აქამდე მოუწესრიგებელ საზოგადოებრივ ურთერთობას,<sup>281</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ნეგატიური კანონმდებლის როლს პოზიტიურით ჩაანაცვლებდა, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეწინააღმდეგება.<sup>282</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რომანულ–გერმანული სისტემის ქვეყნებში სასამართლოს გადაწყვეტილებები სამართლის წყაროს არ წარმოადგენს, ისინი ნორმის მხოლოდ განმარტებაა და არა ახალი ნორმა,<sup>283</sup> თუმცა როგორც ჩანს, ამ ტენდენციიდან გადახვევა საკმაოდ თვალსაჩინო გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს როლის გაზრდასთან ერთად.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პოზიტიური სამართლის ნორმათა კატეგორიაში მოხვედრას არცთუ იშვიათად საფუძვლად უდევს ისეთი კონსტიტუციური სარჩელები, რომლებშიც იმაზე აპელირებენ, რომ რომელიმე საზოგადოებრივი ურთიერთობა კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული<sup>284</sup> და ამით ილახება მათი ინტერესები. კანონმდებლის პირდაპირ დავალდებულება მიიღოს პოზიტიური სამართლის ნორმა, სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციას და მას არც ნორმის ამოღების კონსტიტუციურობაზე მსჯელობა შეუძლია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე ერთ საქმეზე სასამართლომ ვერ გაბედა,

<sup>281</sup> ფირცხალაშვილი ა., კონსტიტუციური კონტროლის გაზრდის კონსტიტუციურობა, 2015, <http://liberali.ge/articles/view/3987/konstitutsiuri-kontrolis-gazrdis-konstitutsiuroba>

<sup>282</sup> იქვე.

<sup>283</sup> მარინაშვილი მ., გელაშვილი ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადგილი სამართლის წყაროთა სისტემაში, ურნალი მართლმსაჯულება, №3, 2007, 167.

<sup>284</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 51.

არაკონსტიტუციურად გამოეცხადებინა კანონმდებლის უქმედობა კონკრეტული სოციალური გარანტიის დადგენის კუთხით და სარჩელი განსახილველად არ მიიღო, თუმცა სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონის მიუღებლობა სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის რეაბილიტირებულ/რეპრესირებულ პირთა ქონებრივი უფლებების საბოლოო აღდგენის საქმეში.<sup>285</sup>

საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა პასუხისმგებლოს დამამძიმებელი ნორმების უკუძალის საკითხი. მოსარჩლეები სადავოდ ხდიდნენ სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის უკუძალას კრძალავდა თუ ეს კანონი აწესებდა ქმედების დანაშაულებრიობას ან ამძიმებდა სასჯელს, ხოლო უშვებდა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდებოდა სასჯელის შემსუბუქება ან გაუქმება. მოსარჩლეები თვლიდნენ, რომ სადავო ნორმის პირდაპირი მითითება დამამძიმებელი სასჯელის უკუძალით გამოყენებაზე სასამართლოებს აძლევდა საშუალებას, რომ სხვა ისეთი სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები გამოეყენებინათ უკუძალით, როგორცაა პირობით მსჯავრი, ხანდაზმულობა და ა.შ. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ შემთხვევაში საინტერესო პრაქტიკა შექმნა და განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო თავად ნორმის შინაარსი. ჩამოყალიბებული მიდგომის მიხედვით, თუ ნორმა მხოლოდ კონსტიტუციის საწინააღმდეგო განმარტების საშუალებას იძლევა, იგი უნდა ჩაითვალოს არაკონსტიტუციურად, ხოლო თუ ნორმა ორგვარად შეიძლება განიმარტოს, და კონსტიტუციის შესატყვისი განმარტების შესაძლებლობასაც იძლევა, მაშინ კონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმა შეიძლებოდა იმგვარად განმარტებულიყო, რომ მოეცვა ხანდაზმულობის და პირობით მსჯავრის დამდგენი ნორმები და აღეკვეთა სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მიღებული, დამამძიმებელი კანონმდებლობის უკუძალით გამოყენება, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნორმა კონსტიტუციასთან შესაბამისი იყო.<sup>286</sup> აღსანიშნავია, რომ ეს გადანწყვეტილება მიღებულია 2009 წელს. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის ნორმატიული შინაარსის კონტროლის პრაქტიკა. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ არ გამიჯნა ნორმის სხვადასხვა ნორმატიული შინაარსები ერთმანეთისაგან, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავსმა პრეცედენტებმა ჩაუყარა საფუძველი სასამართლოს იმ იდეას, რომ შესაძლოა ერთი

<sup>285</sup> იქვე. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 აპრილის №2/4/324 განჩინება.

<sup>286</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 20 წელი, პრეცედენტული გადაწყვეტილებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გამომცემლობა. 24–26

ნორმა შედგებოდა როგორც კონსტიტუციური, ისე არაკონსტიტუციური ნორმატიული შინაარსებისაგან.

**„მცირე“ გრამატიკული კავშირების არაკონსტიტუციურად გამოცხადების „დიდი“ გავლენა**

სასამართლო პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურ ნორმას ისეთი მიმართულება მიეცა, ისე შეცვლილა მისი შინაარსი, რომ კანონმდებელსაც აღარაფერი დარჩენია გასაკეთებელი<sup>287</sup>. მაგალითად, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელები ითხოვენ იმ სიტყვებისა თუ წინადადებების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც ნორმის შინაარსს არაკონსტიტუციურობის თვისებას სძენენ. საკმარისია ამოვარდეს ეს სიტყვები ნორმიდან, რომ ყველაფერი სწორდება. ფაქტობრივად სასამართლო ცვლის ნორმას. თუ სასამართლო მთელ ნორმას გააუქმებდა, მაშინ კანონმდებელი ვალდებული იქნებოდა ახლებურად ჩამოეყალიბებინა იგი.<sup>288</sup>

საქმეზე „ეკატერინე ლომთათიძე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დავის საგანი იყო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას, დაიშვება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით, ან იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც არამართლზომიერ მოქმედებათა მსხვერპლია, ან თუ სახეზეა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მონაცემები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით“. ამ ნორმიდან გასაჩივრებული იყო კავშირი „ან“, რომელიც მოსდევდა სიტყვებს „მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით“. ამ გრამატიკულმა კავშირმა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დატვირთვის მიუხედავად, ნორმის არაკონსტიტუციური შემადგენლობა მოგვცა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით. გასაჩივრებული ჩანაწერი ადგენდა მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებას, რომელიც ზღუდავდა პირთა კანონით გარანტირებული სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების საიდუმლოებას. სადავოდ ქცეული კავშირის „ან“ ამოღებით კი ნორმას იძლეოდა ისეთი შინაარსი, რომლითაც შესაბამისი

<sup>287</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 62.  
<sup>288</sup> იქვე.

პირის განცხადების გარეშე ვერ განხორციელდებოდა აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება.

ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ ისე დააკორექტირა საკანონმდებლო ნორმა, რომ კანონმდებელს აღარ დასჭირვებია მისი შეცვლა, ყოველ შემთხვევაში სასამართლოს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ამჟამად „ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონში აღარ არსებობს, ოღონდ თავად კანონმდებლის გადაწყვეტილებით.

### ***საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტისათვის ალტერნატივების განსაზღვრის პრაქტიკა***

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „შპს სკს საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად მიიჩნია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორები, რომლებიც შპს საქართველოს ფოსტას ანიჭებდა მნიშვნელოვან შეღავათს აღნიშნულ სფეროში და ათავისუფლებდა მას ამ კანონის დებულებების გავრცელებისაგან. სასამართლომ აღნიშნა, რომ სხვა კომპანიებთან შედარებით შპს საქართველოს ფოსტის გამორჩეულ უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავდა მომსახურების გამწევი ეკონომიკური აგენტის ვალდებულებას, რომ სათანადო პირობების დაცვით უზრუნველყოს შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების განვითარება. ამგვარი მკაფიო, საკანონმდებლო დონეზე განერილი ვალდებულების არარსებობის პირობებში კი იქმნება საფრთხე, რომ ეკონომიკურმა აგენტმა არ შეასრულოს ან სათანადოდ არ შეასრულოს შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ვალდებულება და სამეწარმეო თავისუფლება შეიზღუდოს დაუსაბუთებლად. ამ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლის ვალდებულებებზე საკმაოდ თამამად და ფართოდ იმსჯელა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მას იმისთვის, რომ რომელიმე კერძო კომპანიისათვის მსგავსი სახის შეღავათის დაწესება არაკონსტიტუციური არ გამხდარიყო კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფალი და კონკურენტული მეწარმეობის უფლების სანაღმდეგოდ. აღნიშნული გადაწყვეტილებითაც კანონმდებელს ვადა მიეცა, რათა მან კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოაწესრიგოს სფერო და ამ ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება ერთი წლით გადააყვადოს.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად ცნო 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის

სიტყვები: „მონმე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, ... გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს“, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება და მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამოძახებული მონმისათვის გამოუცხადებლობის გამო ფულადი სახდელის დაკისრების შესაძლებლობას. სასამართლო მიუთითებს, რომ ამ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა განპირობებულია მხარეთათვის განსხვავებული უფლებრივი რეჟიმის დადგენით. სადავო ნორმებით განსაზღვრული შეზღუდვა სრულად აღმოიფხვრება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების და დაცვის მხარეებს მიეცემათ გამოძიების ეტაპზე მონმეთა დაკითხვის თანაბარი შესაძლებლობა. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც ბრალდების მხარისათვის მონმის იძულებით დაკითხვის შესაძლებლობის გაუქმებით, ასევე მსგავსი შესაძლებლობით დაცვის მხარის აღჭურვილობით.

სასამართლო დამატებით უთითებს, რომ საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტია ის, თუ უთანასწორობის აღმოფხვრის რომელ გზას აირჩევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ ნახევარი წლით გადაავადა დასახელებული სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი, რათა საქართველოს პარლამენტს მისცემოდა გონივრული შესაძლებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მოენსერიგებინა აღნიშნული საკითხი სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა უთანასწორობის თვალსაზრისით.

### ***საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეფორმატორული გავლენა***

რამდენიმე შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე გასაჩივრებულ ნორმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებით შესაბამისი ინსტიტუტის „საკანონმდებლო გადატრიალება“ მოახდინა და არამხოლოდ ძალადაკარგულად გამოცხადებული აქტის ცვლილება გამოიწვია, არამედ ამ ინსტიტუტის რეფორმას ჩაუყარა საფუძველი.

ასეთის მაგალითია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა ფაქტობრივად ქმედუნარობის მთელი ინსტიტუტი (გარდა ასაკის გამო ქმედუნარობისა) იმ მოტივაციით, რომ არ შეიძლება პირი მიჩნეულ იქნეს ქმედუნაროდ მისი ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს პარლამენტის მიერ

განხორციელდა 80–მდე კანონში ცვლილება და ერთი ახალი კანონის მიღება, რომელმაც სრულიად ახლებურად მოაწესრიგა არსებულ ქმედუნარო სტატუსის მქონე პირებთან დაკავშირებული ურთიერთობები (მათ შორის განისაზღვრა მათი ახალი სტატუსი – მხარდაჭერის მიმღები). აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს პარლამენტს მზა გამოსავალი არ განესაზღვრა, არამედ არაკონსტიტუციური გარემოებების გათვალისწინებით პარლამენტმა, როგორც პოზიტიურმა კანონმდებელმა, თავად განსაზღვრა არაკონსტიტუციური ვითარებიდან გამოსავალი და რეფორმა განახორციელა ამ მიმართულებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ–ერთ მასშტაბურ საქმეზე „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად მიიჩნია არა მხოლოდ 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანას პირადი მოხმარების მიზნით შექენისა და შენახვისათვის განსაზღვრული და გასაჩივრებული სანქცია, რომელიც ითვალისწინებდა შვიდიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, არამედ ასეთი ქმედებისათვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მიიჩნია კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ.<sup>289</sup> ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლო გასცდა ნორმის განმარტების ფარგლებს და სამოტივაციო ნაწილით კანონმდებელს მინიშნება გაუგზავნა მომდევნო მონესრიგებებთან დაკავშირებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წელს საქმეზე „ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ“, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან<sup>290</sup> მიმართებით სადავო ნორმების შეფასებისას, დაადგინა, რომ „ჰომოსექსუალიზმის“ ქვეშ მოაზრებული პირები ექვემდებარებოდნენ დიფერენცირებულ მოპყრობას იმ პირებთან შედარებით, რომელთათვისაც სექსუალური ქცევისა და ორიენტაციის მიუხედავად სისხლისა და მისი კომპონენტების დონაცია არ იყო აკრძალული. სექსუალური ორიენტაცია არ არის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ჩამონათვალში, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი, თუმცა სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და უთანასწორო მოპყრობა სხვა ნიშნების საფუძველზე არ უნდა დარჩეს შეფასების მიღმა. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ და სხვა მსგავსმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც გამოტანილი იქნა თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართლებაში, შეიძლება ითქვას, რომ გამოძახილი ჰპოვა ახალ საკანონმდებლო აქტში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

<sup>289</sup> ჯავახიშვილი, ვ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი, 339.

<sup>290</sup> საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.



რომელმაც ბევრი ისეთი ჯგუფი გაითვალისწინა, რაც აქამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობაში. მართალია დასახელებული საქმის მოპასუხე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო იყო, მაინც ითვლება, რომ ისეთი საკითხი, როგორც პირთა კონსტიტუციური თანასწორობის უფლებაა, საკანონმდებლო აქტით დარეგულირების ღირსად ჩაითვალა.

### **საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კონსტიტუციის შეცვლის პროვოცირება**

ეს შემთხვევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მაშინ მოხდა, როდესაც გასაჩივრდა ნორმები „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან (იხ. საქმე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). აღნიშნულ საქმეზე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ პირის ხელმეორედ არჩევის დაუშვებლობა. თუმცა 2017–2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციაში პირდაპირ ჩაიწერა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთ და იგივე პირის არჩევა ხელმეორედ დაუშვებელია (მე–60 მუხლის მე–3 პუნქტი). ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის წინა რედაქციასთან მიმართებით აღნიშნული ჩანაწერი მასთან შეუსაბამოდ მიიჩნია, რაც მოგვიანებით დაძლეულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ პირდაპირ კონსტიტუციაში მსგავსი ჩანაწერის დეკლარირებით.

### **2.2.2. ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების შესრულების თავისებურებები**

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების თუ აღსრულების საკითხი გარკვეულ თავისებურებებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან გადაწყვეტილების აღსრულებას თავად სასამართლო ვერ ახორციელებს,<sup>291</sup> არამედ მას ახასიათებს

<sup>291</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნალი „აღამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004, 66.

თვითაღსრულებადობა<sup>292</sup> და არც მათი შეუსრულებლობისთვის არის დანესებული რაიმე სახის პასუხისმგებლობა.<sup>293</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებების აღსრულების მიზანია სასამართლოს მიერ აღმოჩენილი არაკონსტიტუციური ვითარების კონსტიტუციური წესრიგის მდგომარეობაში აღდგენა.<sup>294</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობა ფიქცია გახდება, თუ მისი გადანყვეტილებების აღსრულებისთვის არაფერი გაკეთდება ხელისუფლების ორგანოების მხრიდან.<sup>295</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ ფლობს უფლებამოსილებას თავისი გადანყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითოს გადანყვეტილების აღსრულებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებზე, კანონმდებელს მოუწოდოს ახალი კანონის მიღებისკენ, ან დაადგინოს შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობის სწორი წესი.<sup>296</sup> აღნიშნული ქვეთავის მიზანია, გაირკვეს, ვინ არის რეალურად საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების ადრესატი, რომელმაც ეს გადანყვეტილება უნდა შეასრულოს.

ზოგადი წესის მიხედვით საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას მოპასუხე შეიძლება იყვნენ ის სახელმწიფო ორგანოები თუ თანამდებობის პირები, რომელთა აქტებიც გასაჩივრებულია. მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი უშუალო აღმსრულებელი არამოპასუხე, არამედ ორგანო ან თანამდებობის პირი აღმოჩნდეს, ვინაიდან სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულება ხშირად კავშირშია არა ძალადაკარგული ნორმატიული აქტის ამოღებას კანონმდებლობიდან (ამას ისედაც აკეთებს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი გადანყვეტილების პირდაპირი ძალიდან გამომდინარე), არამედ ისეთი სამართლებრივი აქტის მიღებაა აუცილებელი, რომელიც კონსტიტუციასთან შესაბამისობის დამოწმებით დაარეგულირებს შესაბამის საკითხს<sup>297</sup>. *ო. ბენიძის* აზრით, ასეთი ტიპის გადანყვეტილებების

<sup>292</sup> სამხარაძე კ., ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ნამდვილი სამართლის პრიმატი კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა №2/2018, 84. [http://www.iipsl.jura.uni-koeln.de/sites/iipsl/Forschung/Georgian\\_Full\\_Version\\_of\\_the\\_Journal.pdf](http://www.iipsl.jura.uni-koeln.de/sites/iipsl/Forschung/Georgian_Full_Version_of_the_Journal.pdf).

<sup>293</sup> ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 213.

<sup>294</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, 459.

<sup>295</sup> ზოიძე ო., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ტენდენციები და პერსპექტივები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 240.

<sup>296</sup> ერქვანია თ., ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელი, როგორც კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის არასრულყოფილი ფორმა საქართველოში, 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-rogorits-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasulqofili-forma-sakartveloshi>

<sup>297</sup> ბენიძე ო., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა აღსრულება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 17–18.

ადრესატი უკვე არა მხოლოდ კონკრეტულ საქმეზე მოპასუხე მხარეში, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანოებში უნდა ვეძებოთ.<sup>298</sup> ეს უკანასკნელი კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელ პრაქტიკაში რეალობად იქცა.

ჩვეულებრივ შემთხვევაში მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება სასამართლო დავაში მონაწილე, დამარცხებულმა სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს და გამოასწოროს საკუთარი გადაწყვეტილებით გამონვეული არაკონსტიტუციური ვითარება.<sup>299</sup> არის შემთხვევები, როდესაც არაკონსტიტუციური ვითარების გამოსასწორებლად ერთი მოპასუხის ან ერთ ნორმის გაუქმება საკმარისი არაა. *ზოიძის* აზრით, „სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად აცხადებს პოზიტიური სამართლის ნორმას საერთოდ, იმის მიუხედავად, რამდენ ნორმატიულ აქტშია იგი გამოხატული.“<sup>300</sup> თუმცა განსხვავებული სიტუაცია იქმნება იმ გადაწყვეტილების აღსრულების დროს, როცა ხდება საკანონმდებლო ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადება – ვინ არის ასეთ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადრესატი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეალურ საკონსტიტუციო კონტროლს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს იმ თავისებურებით, რომ კანონმდებლობით ამის უფლებამოსილება მინიჭებული არ აქვს და ამასთან, ფაქტობრივად განხორციელებული რეალური კონტროლის დროს დავის საგანი ისევ საკანონმდებლო ნორმაა. ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების პრაქტიკის კანონმდებლობაზე გავლენასთან მიმართებაში რამდენიმე სპეციფიკური საკითხია გამოსაყოფი. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარემოლუციო ნაწილის ადრესატია არა კანონმდებელი, ანუ, ვისი საქმიანობის პროდუქტიც საჩივრდება, არამედ საერთო სასამართლო, რომელმაც შესაბამისი კანონის ნორმა არაკონსტიტუციურად განმარტა. პრაქტიკაშიც, როდესაც ხდება კანონის ნორმის ნორმატიულ შინაარსზე მსჯელობა, მოპასუხეს ამ ნორმის შემოქმედი – საკანონმდებლო ორგანო წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ გადაწყვეტილების ადრესატი ნორმის შემფარდებელი – საერთო სასამართლოა. ამ მიმართულებით საინტერესოა, მართლაც მხოლოდ საერთო სასამართლოა ადრესატი თუ შესაძლოა პარლამენტიც იყოს.

<sup>298</sup> იქვე.

<sup>299</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, 459.

<sup>300</sup> გეგენავა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, გვ. 47

როგორც ვთქვით, კანონის ნორმები უმეტეს შემთხვევაში ზოგადია, ხოლო მასთან კონკრეტული შემთხვევების შეფარდებას საერთო სასამართლო ახდენს ნორმის ავთენტური განმარტებით. როცა კანონის ნორმა იმდენად აბსტრაქტულად აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომ საერთო სასამართლო იძულებულია ფართოდ განმარტოს მის მიერ გამოსაყენებელი ნორმა, და ეს განმარტება ხშირად საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი ხდება. ამ კუთხით შესაძლოა ვიფიქროთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად გამოცხადებით პარლამენტსაც ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ მისი ეს ნორმა, რომელიც სხვა ნორმატიულ შინაარსთან ერთად არაკონსტიტუციურ შინაარსსაც შეიცავდა, განჭვრეტადობის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, და შეცვალოს იგი ისეთი რედაქციით, რომელიც არაკონსტიტუციური გამოყენების შანსს შეამცირებდა. თუმცა ჯერჯერობით საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების არც სამოტივაციო და არც სარეზოლუციო ნაწილი ამაზე არასდროს მიუთითებს. შესაბამისად, არც საკანონმდებლო ორგანო ცდილობს შესაბამისი ნორმის შეცვლას.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებს პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს, მის მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ზოგჯერ საჭიროებს პარლამენტის მხრიდან შესაბამის რეაგირებას. ეს რეაგირება უნდა გავიგოთ არა მხოლოდ იმ ფარგლებში, რომ პარლამენტმა მხოლოდ არაკონსტიტუციური ნორმა გამოცვალოს, არამედ თუ საჭიროა, შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი აქტები უნდა გადაიხედოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებაში გადმოცემული განმარტებების საფუძველზე. *დემეტრაშვილის* მოსაზრებით, ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ შესრულდეს კონსტიტუციის დამცველი ორგანოს მითითებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხელს შეუშლიდა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.<sup>301</sup>

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების მოქმედების ძალას საერთო სასამართლოების გადანყვეტილებებზე (იქაც კი, სადაც ნორმათა რეალური კონტროლი არაა დაწესებული), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი ნორმის გაუქმება გამოიწვევს მის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადანყვეტილებების აღსრულების შეჩერებას და არა მათ გაუქმებას.<sup>302</sup> ეს

<sup>301</sup> დემეტრაშვილი ა., საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის გარანტია, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000, 206.

<sup>302</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 47.

წესი ეხება სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებთან მიმართებაშიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ გარემოებად ითვლება. რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, აქ ახლად აღმოჩენილ გარემოებად არ ითვლება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იმ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც გამოყენებული იქნა სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილულ საქმეებზე.<sup>303</sup> ამჟამად მიმდინარეობს საკონსტიტუციო დავა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იგივე მიდგომის შემოღების მიზნით.

საკონსტიტუციო სასამართლო ზოგჯერ შესაძლებელია გარკვეულ ვადას აძლევდეს პარლამენტს, რათა მან თავად შეცვალოს კანონი და მოიყვანოს იგი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში. საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად ცდილობს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის გაუქმების შედეგად შედეგად გამოწვეული საკანონმდებლო სიცარიელებები დროებითი მოწესრიგებით აღმოთხვრას, რა დროსაც მეცნიერთა ნაწილის წინააღმდეგობას აწყდება. საკონსტიტუციო სასამართლო საკანონმდებლო აქტების გაუქმებით ასწორებს ხარვეზებს, თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ შეცდომების გამოსწორების იმედით არ უნდა ხდებოდეს ნორმატიული აქტების არასრულყოფილად შექმნა, რადგან ეს სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობის თავიდან აცილება.

საბოლოოდ, ვფიქრობთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აუქმებს ნორმის ნორმატიულ შინაარსს, მიმართულია არამხოლოდ საერთო სასამართლოსკენ ან ნორმის გამომყენებელი ორგანოსკენ, არამედ აგრეთვე ამ ნორმის მიმღები ორგანოსკენაც, რათა ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ გადახედოს მას და შესაძლებლობის შემთხვევაში ჩაანაცვლოს იგი უფრო მეტად განჭვრეტადი ნორმით და სამართალგამოყენების პროცესში არ დადგეს მისი არაკონსტიტუციურად გამოყენების საშიშროება.

### **თავი III. საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ნორმის განმარტების ფარგლები – შედარებითი მიმოხილვა**

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები, იქნება ეს საერთო იურისდიქციის სასამართლოს თუ სპეციალიზებული სასამართლოს მიერ მიღებული აქტები, განსხვავდება პირველ რიგში იმის მიხედვით, თუ რომელი სამართლის სისტემას მიეკუთვნებიან ეს ქვეყნები.

<sup>303</sup> ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში; საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა, თბილისი, 2011, 244–245.

გამომდინარე იქედან, რომ სასამართლოთა იურისდიქცია განსხვავებულია და მათი პრესტიჟიც სხვადასხვაგვარად გამოიყურება, ამ ორგანოთა გადანწყვეტილებებსაც განსხვავებული ძალა და გავლენა აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოების ძალმოსილების რეალურ სურათს ხშირად არამხოლოდ მათთვის დანერგილი კომპეტენციიდან ვიღებთ, არამედ ეს დაკავშირებულია აგრეთვე სასამართლოთა პრაქტიკაზე, მათ გამბედაობასა და ხელისუფლების სხვა ორგანოების ფაქტობრივ დამოკიდებულებაზე საკონსტიტუციო სასამართლოთა გადანწყვეტილებების მიმართ. ქვემოთ განხილულია საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოთა (ასევე საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა) ძირითადი კომპეტენციები და მათი გადანწყვეტილებების ძალის ცალკეული საკითხები. სახელმწიფოები შერჩეულია საკონსტიტუციო კონტროლის როგორც კლასიკური, ისე სპეციფიკური ხასიათებიდან გამომდინარე, აგრეთვე მათი გადანწყვეტილებების საინტერესო, რეალური გავლენების გათვალისწინებით.

ერთ-ერთი კლასიკური საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ გვევლინება გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ორმაგი ფუნქციით გამოირჩევა: იგი არის ერთდრულად სასამართლოც და ფედერაციის უმაღლესი კონსტიტუციური ორგანოც. ეს უკანასკნელი სტატუსი კი გამომდინარეობს მისი გადანწყვეტილებების ძალიდან – საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილებები ბოჭავს ხელისუფლების ყველა სხვა ორგანოს.<sup>304</sup>

გერმანიის ფედერაციულ საკონსტიტუციო სასამართლოში საკანონმდებლო აქტები ინდივიდუალური საკონსტიტუციო საჩივრებით გამონაკლის შემთხვევებში ექვემდებარება გასაჩივრებას და ბევრი წინაპირობის დაკმაყოფილებასთან არის დაკავშირებული. საკონსტიტუციო სასამართლო დასაშვებობის ეტაპზე მიუთითებს პირს, რომ კანონის გასაჩივრება ამ კანონის გამოყენების შედეგად მისი უფლების დარღვევის შემდეგ შეუძლია. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური საჩივრით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა შეუძლია სახელმწიფოს ქმედების უშუალო ადრესატ პირს. ეს პირდაპირ დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ისეთი მიმართულებით განმარტავს კანონს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ჩართვა აუცილებელი ხდება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისათვის. შედეგად ინდივიდუალური კონსტიტუციური საჩივრის შეტანამდე საერთო სასამართლოებში გასავლელი გზა წარმოადგენს ერთგვარ გაფილტვრის საშუალებას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს განტვირთვას ისახავს მიზნად, რათა არ მოხდეს

<sup>304</sup> Degenhart C., Staatsrecht I, Staatsorganisationsrecht, mit Bezuegen zum Europarecht, 31. Auflage. Rn 808, S. 325.

მრავალრიცხოვანი დაუსაბუთებელი სარჩელების მიღებით მნიშვნელოვანი თემებისგან მოცდენა.<sup>305</sup>

როდესაც მხარე გერმანიაში თავისი უფლებების დასაცავად კონსტიტუციური საჩივრის აღძრამდე სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალებას ამონურავს და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჩივრის დაკმაყოფილება მოხდება, საქმე უბრუნდება შესაბამის სასამართლოს განმეორებითი განხილვისათვის. ხოლო თუ კონსტიტუციური საჩივრის დაკმაყოფილება მოხდა იმის გამო, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაფუძნებულია არაკონსტიტუციურ კანონზე, აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად ცხადდება.<sup>306</sup>

გარდა აღნიშნულისა, გერმანიის ფედერალურ სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადების პრინციპს. ამ შემთხვევებში სასამართლო კანონმდებელს სთავაზობს გადაწყვეტის სხვადასხვა შესაძლებლობას და ვალდებულებას, რომ შეცვალოს გასაჩივრებული ნორმა, ნაცვლად იმისა, რომ ბათილად გამოაცხადოს იგი. მაგალითად, როდესაც არსებობს რაიმე ხარვეზი ან ცარიელი ადგილი კანონმდებლობაში, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გასაჩივრებული ნორმის ბათილად ცნობის ნაცვლად ნორმის გაუმჯობესების გზები შესთავაზოს კანონმდებელს.<sup>307</sup>

ამასთან, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო არც თუ იშვიათად იძლევა სამართლის ზოგადი პრინციპების განმარტებასაც. ამის მაგალითია ე.წ. „პარაბოლური ანტენის გადაწყვეტილება“. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით სახლის/ბინის დამქირავებელს უფლება არ აქვს შეცვალოს დაქირავებული სახლის ექსტერიერი. ამ ნორმის საფუძველზე, საერთო იურისდიქციის სასამართლომ მიიჩნია, რომ დამქირავებელი უფლებამოსილი არაა ნაქირავები სახლის სახურავზე განათავსოს პარაბოლური ანტენა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა თურქი დამქირავებლის მიერ, რომელიც აცხადებდა, რომ ეს მისი ძირითადი უფლების – ინფორმაციის თავისუფლების უფლების დარღვევა იყო, ვინაიდან მას ეზღუდებოდა თურქული საინფორმაციო საშუალებების ყურება. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო სასამართლოს ეს შემთხვევა უნდა

<sup>305</sup> ჰარტივი მ., ინდივიდუალური კონსტიტუციური საჩივარი, როგორც უფლების დაცვის განსაკუთრებული სახის წარმოება; ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 351.

<sup>306</sup> ზალიშვილი ნ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციური კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში მისი დამკვიდრების პერსპექტივა, [http://www.parliament.ge/files/legal\\_issues/publications/saerto\\_sasamartloebi.pdf](http://www.parliament.ge/files/legal_issues/publications/saerto_sasamartloebi.pdf), 3.

<sup>307</sup> Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002, 162.

განეხილა სამართლის ზოგად პრინციპებთან, მათ შორის ინფორმაციის თავისუფლების პრინციპთან კავშირში. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს განზოგადებულ განმარტებას, იგი უთითებდა, რომ აუცილებელია ადამიანის ძირითადი უფლებების გათვალისწინება ისეთი ღია ფაქტობრივი გარემოებებისას, რომლებიც იძლევა ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობას და აქ მაგალითად მოიყვანა სამოქალაქოსამართლებრივი კეთილსინდისიერების პრინციპი.<sup>308</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პრეცედენტული აღმოჩნდა ზოგადი პრინციპების გამოყენების გზით ნორმათა განმარტების პრაქტიკაში.

გერმანიაში საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობით. მის უფლებამოსილებებში შედის აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისობის შემოწმებაც, თუ მომჩივანი მიუთითებს მათ პრობლემურ გადაკვეთაზე კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არეალში ექცევა ასევე ადმინისტრაციული ორგანოებს მიერ განხორციელებული ქმედებების კონსტიტუციურობის შემოწმებაც. თუმცა აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმებისას ფოკუსირებულია მხოლოდ იმაზე, რამდენად დაიცვა სასამართლომ კონკრეტულ დავაში პირის ძირითადი უფლება და იგი არ ახორციელებს ფაქტების ან პრობლემური საკითხების შეფასებას.<sup>309</sup>

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მსგავსად, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციურ არსენალში შედის სამართლებრივი აქტების შემოწმებასთან ერთად საერთო იურისდიქციის სასამართლოების გადაწყვეტილებების შემოწმება მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად.<sup>310</sup> ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლო საერთო იურისდიქციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს პირდაპირ აუქმებს, თუ ისინი წინააღმდეგობაში არიან ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან.<sup>311</sup>

<sup>308</sup> ჰარტივი მ., ინდივიდუალური კონსტიტუციური საჩივარი, როგორც უფლების დაცვის განსაკუთრებული სახის წარმოება; ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, სტატიათა კრებული კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2014 358.

<sup>309</sup> ევროპული ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები, შედარებითი კვლევა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ანალიტიკური დეპარტამენტი, ივლისი, 2014, 13, ხელმისაწვდომია: <http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fanalitikuri%20dep%2FConstitutional%20Courts%20Research.pdf>

<sup>310</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019, 140.

<sup>311</sup> იქვე, 143.



კლასიკურ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა რიცხვს შესაძლებელია მივაკუთნოთ ესპანეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის და ა.შ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობს აქტების კანონიერებისა და კონსტიტუციურობის განსაზღვრის მიმართულებით.

კონსტიტუციური კონტროლის განსხვავებულ სახეს ვხვდებით აშშ-ში .

გასული საუკუნის 70–80–იან წლებში აშშ–ს უზენაესმა სასამართლომაც შეძლო თავისი უფლებამოსილებების გაფართოება, გააანალიზა რა არამხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, არამედ მისი მიღების ისტორია და გამოყენების პრაქტიკა.<sup>312</sup> აღსანიშნავია, რომ ამერიკულ მოდელში საკონსტიტუციო კონტროლი წმინდა პრეცედენტულ ხასიათს ატარებს, ანუ საკანონმდებლო ნორმის არაკონსტიტუციურად მიჩნევის შემთხვევაში მისი პირდაპირ გაუქმება კი არ ხდება, არამედ ამ ნორმის შემდგომ სასამართლო პრაქტიკაში უგულვებელყოფა. მისი გაუქმება კი მაინც კონგრესის უფლებამოსილებად რჩება.<sup>313</sup>

აშშ–ში კონსტიტუციური ზედამხედველობა ხორციელდება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ და იგი იმით გამოირჩევა, რომ სავალდებულო ძალა აქვს მხოლოდ მოდავე მხარეების მიმართ. შემდგომში კი სასამართლოები განიხილავენ მას როგორც ძალია არქონეს და აღარ იყენებენ საქმის გადაწყვეტის დროს, მაგრამ როგორც ზოგადი მოქმედების ნორმა, არ უქმდება.<sup>314</sup> შედეგი საბოლოოდ მაინც იგივეა – არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება დაუშვებლად ცხადდება, თუმცა მისი კანონიდან ამოღება ისევ საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციაა. ვფიქრობთ, ეს საუკეთესო მიდგომაა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის კუთხით.

ამერიკული და კელზენის მოდელის პარალელურად მსოფლიოში არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის მესამე მოდელიც, რომელიც ნაკლებად არის გავრცელებული და უკავშირდება ქვეყნებს, რომლებსაც არ აქვთ დანერგილი კონსტიტუცია. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გაერთიანებული სამეფო.<sup>315</sup> იქ არ არსებობს არც კონსტიტუციურობის კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვილი

<sup>312</sup> იქვე, 116.

<sup>313</sup> გიორგაძე ლ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სახე და მისი თანამედროვე მოდელებ: ბრძოლა უპირატესობისათვის, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 67

<sup>314</sup> მელქაძე ო. და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ნაწილი I, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2001, 65.

<sup>315</sup> დიდიე მო, უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, №2, თბილისი, 2010, 7.

უზენაესი სასამართლო, არც სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო. აღნიშნულ მოდელს მიკუთვნებულ ქვეყნებში, რომელთა რაოდენობა საგრძნობლად მცირეა, ღიად რჩება საკითხი, აქვთ თუ არა უმაღლესი ინსტანციის საერთო სასამართლოებს, ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან წინააღმდეგობის მიზეზით გააუქმონ პარლამენტის მიერ მიღებული ან საერთო სამართლით დადგენილი ნორმა.<sup>316</sup> საყურადღებოა, რომ დიდი ბრიტანეთში მიღებულია ევროპის სხვა ქვეყნებში აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები.

აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთი პარლამენტის უზენაესობის პრინციპის შეუვალი მიმდევარია. ინგლისში საპარლამენტო უზენაესობის იდეის განმტკიცება მე-17 საუკუნიდან იღებს სათავეს და ძირითადი მახასიათებელი იყო სპეციალური კონსტიტუციური კონტროლის დამკვიდრებისათვის წინააღმდეგობრივი მიდგომა იმ მიზეზით, რომ აქ იკვეთებოდა პარლამენტის ძალაუფლების შეზღუდვის საშიშროება, რაც სასამართლოს თავის რეალურ მანდატს დააშორებდა.<sup>317</sup>

ბრიტანული პარლამენტარიზმი გამოირჩევა ხელისუფლების დანაწილების უჩვეულო ფორმით. მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშაა სიმძიმის ცენტრის სრულად პარლამენტზე გადატანა.<sup>318</sup> შესაბამისად, უცნარუი აღარც არის, რომელიც ბრიტანეთში მოსამართლეებს არც გააჩნიათ ამბიცია, რომ ჰქონდეთ საკანონმდებლო აქტების გაუქმების კომპეტენცია, ვინაიდან იქ პირიქით ხდება – საკანონმდებლო აქტებით შეიძლება პრეცედენტების გაუქმება და შეცვლა.<sup>319</sup>

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად დიდ ბრიტანეთში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სისტემაში დამკვიდრებული საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტის არარსებობისა, მესხიერებას კიდევ შემორჩა მე-17 საუკუნეში საიდუმლო საბჭოს მიერ გაერთიანებული სამეფოს კოლონიებისა და დაქვემდებარებული ტერიტორიების საკანონმდებლო აქტების ბრიტანეთის კონსტიტუციურ სამართალთან შესაბამისობის შემოწმების პრეცედენტები.<sup>320</sup>

<sup>316</sup> იქვე.

<sup>317</sup> გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 88–89.

<sup>318</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019, 74.

<sup>319</sup> გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014, 247.

<sup>320</sup> მელქაძე თ. და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ნაწილი I, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2001, 170–171.

პარლამენტის სუვერენულობის თეორია საფრანგეთში დიდხანს იყო გაბატონებული და იქ 1958 წლამდე საკონსტიტუციო კონტროლი არ დამკვიდრებულა. პრეზიდენტმა დე გოლმა საკონსტიტუციო საბჭო საკანონმდებლო ორგანოს – ეროვნული კრების ძალაუფლების შესაზღვრად<sup>321</sup> საკონსტიტუციო კონტროლზე უფლებამოსილ ორგანოდ 1958 წლის კონსტიტუციით დაამკვიდრა.<sup>322</sup> საკონსტიტუციო საბჭოს ერთ-ერთი ფუნქცია პარლამენტის შეზღუდვაა იმ სფეროების მონესრიგებაში, რომლებში სამართალშემოქმედება მთავრობის კონსტიტუციური პრეროგატივაა. ამასთან, საკონსტიტუციო საბჭოს მინიჭებული აქვს კანონების წინასწარი კონტროლის უფლებაც.<sup>323</sup> საკონსტიტუციო საბჭო, მოსამართლის სტატუსით, ასევე ზედამხედველობას უწევს პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების სისწორეს.<sup>324</sup> საფრანგეთში საკონსტიტუციო კონტროლის მიმართულებით ყველაზე აღნაინიშნავი მაინც ნორმათა პრევენციული კონტროლის თემაა, რომლითაც იგი კანონშემოქმედების სფეროში მნიშვნელოვნად უწევს კონკურენციას საკანონმდებლო ორგანოს.

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს მსგავსად წინასწარი კონტროლის უფლებამოსილება აქვს პორტუგალიის და უნგრეთის კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსაც. ამ უკანასკნელს სხვა უფლებამოსილებეთან ერთად უფლება აქვს არაკონსტიტუციურად ცნოს კანონმდებლის უმოქმედებაც.

ყურადსაღებია ნიდერლანდებში დამკვიდრებული მოდელი სადაც არ არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა და მეტიც, კონსტიტუცია ცალსახად უკრძალავს სასამართლოებს საპარლამენტო აქტებისა და ხელშეკრულებების კონსტიტუციურობაზე კონტროლს. მხოლოდ მას შემდეგ რაც ქვეყანა შეუერთდა ევროპულ კონვენციას, მხოლოდ მასთან მიმართებაში შესაბამისობაზე დაიწყეს მსჯელობა სასამართლოებმა, ისიც დიდი სიფრთხილით. კონსტიტუციასთან მიმართების თემაზე კი ჯერჯერობით ისევ არ არსებობს პირდაპირი რეგულაცია.<sup>325</sup>

<sup>321</sup> ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გვეგნავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012, 125.

<sup>322</sup> კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 59.

<sup>323</sup> დუდაშვილი ნ., კონსტიტუცია და მისი დამცველი ინსტიტუტის როლი ძალაუფლების გამიჯვნაში, სამართლის სტატიათა კრებული, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, 21.

<sup>324</sup> კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 60.

<sup>325</sup> მეღუაძე თ. და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ნაწილი I, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2001, 320.

ევროპული მოდელის სამშობლოში – ავსტრიაში საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური ნორმების განმარტების უფლებამოსილებით არ სარგებლობს.<sup>326</sup> ამ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს ჩვეულებრივი ნორმატიული აქტების როგორც კონკრეტულ, ისე აბსტრაქტულ ნორმატივს შესაბამისად, საერთო სასამართლოს, ან მთავრობის მიმართვის საფუძველზე. ნორმის არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად გამოცხადებასთან ერთად სასამართლოს უფლება აქვს ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ამ ნორმის ავტორს დაუნესოს ვადა. სასამართლოს რამდენიმე შემთხვევაში შეუძლია მიუთითოს აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს, რომ კონკრეტულ ნორმაზე დაყრდნობით აღარ მიიღონ გადაწყვეტილებები,<sup>327</sup> რაც ცხადყოფს მის დიდ გავლენას ხელისუფლების სამივე შტოზე.

როგორც აღვნიშნეთ, ავსტრიის სასამართლოს კომპეტენციაში შედის კანონების, ადმინისტრაციული აქტების და სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის დადგენა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მისი კომპეტენცია შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებებით. ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადამოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო ორიენტირს იღებს ძირითადი უფლების დარღვევებზე ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ანტიკონსტიტუციურ კანონზე დაყრდნობით გამოტანის გამო.<sup>328</sup>

იტალიაში 1947 წელს შემოღებულ იქნა ამერიკული მოდელი (უზენაესი სასამართლოს მიერ ნორმათა საკონსტიტუციო კონტროლი), მაგრამ საერთო სასამართლოების მოსამართლეების მიერ სრულყოფილი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების სირთულის გამო ათი წლის შემდეგ იტალიამ არჩევანი გააკეთა კონცენტრირებულ მოდელზე და დაარსებულმა საკონსტიტუციო სასამართლომ დიდი ავტორიტეტის მოპოვება შეძლო.<sup>329</sup>

<sup>326</sup> კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი; სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 22.

<sup>327</sup> ევროპული ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები, შედარებითი კვლევა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ანალიტიკური დეპარტამენტი, ივლისი, 2014, 17–18, ხელმისაწვდომია: <http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fanalitikuri%20dep%2FConstitutional%20Courts%20Research.pdf>

<sup>328</sup> ევროპული ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები, შედარებითი კვლევა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ანალიტიკური დეპარტამენტი, ივლისი, 2014, 17, ხელმისაწვდომია: <http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fanalitikuri%20dep%2FConstitutional%20Courts%20Research.pdf>

<sup>329</sup> შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, დ. გვეგნავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 247.

აღსანიშნავია, რომ იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონკრეტულ კონტროლს, როცა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი კონკრეტული საქმის სასამართლო განხილვის დროს წამოიჭრება ხოლმე.<sup>330</sup> იტალიის საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში რომელიმე მხარეს, მათ შორის პროკურორს, უფლება აქვს წამოჭრას საკითხი სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადამოწმებისათვის, თუ მიიჩნევს, რომ ეს ნორმა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვაზე საბოლოო გადაწყვეტილებას შესაბამისი სასამართლო იღებს და იგი უფლებამოსილია გადაუგზავნოს საქმის მასალები საკონსტიტუციო სასამართლოს.<sup>331</sup>

## დასკვნა

### შეჯამება

სამართლებრივი და კონსტიტუციური სახელმწიფოს შექმნისთვის სამართლის პრინციპებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ პრინციპების წყალობით ხდება დესპოტიზმთან და აბსოლუტიზმთან გამკლავება, და ამავე დროს იგი უსაზღვრო თავისუფლებას მისაღებ ჩარჩოში აქცევს.<sup>332</sup> თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, როგორც გასაკვირიც არ უნდა იყოს, აბსოლუტიზმისა და მმართველობის დესპოტური ფორმების გამოცდის შედეგია. მმართველობის ამ სისტემის უარყოფითი ნიშნების გამოვლენის შემდგომ დაიწყო ფიქრი აბსოლუტიზმის სანინააღმდეგო, შედარებით დაბალანსებული მოდელის მოსაძიებლად. მონტესკიემ აბსოლუტიზმის დასაძლევად ხელისუფლების კონტროლის მექანიზმის შემოღება დაასახელა, რომელიც ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა მიმართულებით დაყოფა–დანაწილებას უზრუნველყოფდა.<sup>333</sup> „ამბიციას ისე უნდა მოეგლოს, რომ მას ამბიცია აწონასწორებდეს“<sup>334</sup>.

<sup>330</sup> ბეუიტაშვილი ო., საკონსტიტუციო კონტროლი იტალიაში, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 69–70

<sup>331</sup> ბეუიტაშვილი ო., საკონსტიტუციო კონტროლი იტალიაში, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997, 72.

<sup>332</sup> შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 249.

<sup>333</sup> იქვე, 89.

<sup>334</sup> The Federalist Papers, No. 51: Madison (New York: Mentor Books, 1961, ციტირება წიგნიდან შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003, 89.

კონსტიტუციის მეშვეობით იქმნება სახელმწიფო და ხელისუფლების ორგანოები, ამ გზით ხალხი აფიქსირებს პრეტენზიას ხელისუფლების ძირითად წყაროდ არსებობაზე.<sup>335</sup> ქვეყნის ძირითადი კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის სამართლებრივ საფუძვლებს, და ამ გზით დაფუძნებული სახელმწიფო მმართველობა უნდა გამომდინარეობდეს მისი შემქმნელისგან და წარიმართოს კონსტიტუციის შესაბამისად.<sup>336</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი და გავლენა პირდაპირ კავშირშია მის კომპეტენციასთან, განახორციელოს კონსტიტუციის განმარტება.<sup>337</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ვთქვათ, რომ მყარი და სტაბილური სამართლებრივი წესრიგი უფლების დაცულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს და თუ ეს უფლებები კანონმდებლის მხრიდან საეჭვო გახდება, სამართლებრივ უსაფრთხოებასაც გამოეცლება საფუძველი.<sup>338</sup>

სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება და განსაკუთრებით საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განსახორციელებლად სპეციალური ორგანოს შექმნა შეფასებულია როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განვითარების ერთ-ერთი საფუძველი.<sup>339</sup> პოლიტიკური კონსტიტუციონალიზმის მხარდამტყერებს მიაჩნიათ, რომ დემოკრატიული მანდატით აღჭურვილ კანონმდებლებს უფრო მეტი ლეგიტიმაცია აქვთ და უნარიც მეტად შესწევთ იმისთვის, რომ საზოგადოების შიგნით „კონივრული წინააღმდეგობრიობის“ შედეგად წარმოქმნილი პრობლემები გადაჭრან.<sup>340</sup>

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული იქნა საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების კონსტიტუციური მანდატი, კონტროლის განხორციელების ფარგლები და მათი საკანონმდებლო ორგანოსთან გადაკვეთის პრობლემები. თავისებურებები უმეტესად უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ თავიანთი უფლებამოსილებების თანდათან გაზრდის ტენდენციას, რაც სხვადასხვა

<sup>335</sup> მენაბდე ვ., ძალაუფლების მოთვინიერება – კონსტიტუციის უძღურება და რევილუცია; საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016, 121.

<sup>336</sup> ხუბუა გ., საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები; სახელმძღვანელო: საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, რედ: გ. ხუბუა და კ. ზომერმანი, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, თბილისი, 2016, 62.

<sup>337</sup> ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, 464–465.

<sup>338</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007, 40.

<sup>339</sup> Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2014, 376. [https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/7542/file/loladze\\_diss.pdf](https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/7542/file/loladze_diss.pdf)

<sup>340</sup> შტამპფი ი., ხელისუფლების დანაწილება, საკონსტიტუციო რეფორმების პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობა; სტატიათა კრებულიდან, 8. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>

მიმართულებით გამოიხატება. პირველ რიგში აღსანიშნავია რეალურ საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული პრობლემები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. როგორც კვლევიდან ჩანს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეალურ საკონსტიტუციო კონტროლს თავისი ინიციატივით, სპეციალური საკანონმდებლო საფუძვლების გარეშე ახორციელებს. ეს პროცესი კიდევ ერთი თავისებურებით გამოირჩევა: რეალური საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება გასაჩივრებული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე და ხდება არა თავად ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება, არამედ ამ ნორმისგან იმიჯნება მისი სხვადასხვა ნორმატიული შინაარსი და გასაჩივრებული კონკრეტული დავის ფარგლებში ხდება ამ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შეფასება.

თუმცა ქართული საკონსტიტუციო კონტროლის თავისებურება და პრობლემური ხასიათი ამით არ ამოიწურება. ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის დადგენით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თანდათან მიუახლოვდა პოზიტიური კანონმდებლის კომპეტენციურ საზღვრებს. განმარტავს რა კონკრეტულ ნორმას და მიჯნავს მის რამდენიმე ნორმატიულ შინაარსს, ამით საკონსტიტუციო სასამართლო შესაბამისი ნორმის ახლებურ შინაარსს აღგენს, რითაც ხშირ შემთხვევაში ანაცვლებს კანონმდებლის ნებას და ნეგატიური კანონმდებლიდან პოზიტიური კანონმდებლის მანტიით იმოსება. ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას არსებითად ჩრდილს აყენებს.

გარდა აღნიშნულისა, ნაშრომში მსჯელობა შეეხო პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის არსსა და მის როლს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიტიურ კანონმდებლად ჩამოყალიბების საქმეში. გამომდინარე იქედან, რომ პრევენციული კონტროლი ხორციელდება კანონის ძალაში შესვლამდე და შესაბამისად მისი გამოყენების პრაქტიკის არარსებობის პირობებში, გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ ეს ინსტიტუტი ყველაზე მეტად იწვევს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს ჩარევას საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში ერთგვარი საკანონმდებლო ინიციატორის სტატუსით. გარდა ამისა, ეს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკების მომეტებულ საფრთხეს და აქვს პრაქტიკული პრობლემების გამოწვევის პერსპექტივა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოყენების პრაქტიკის არმქონე ნორმის შეფასება ბევრ სირთულესთან იქნება დაკავშირებული, და იგივე ნორმა, რომელიც ძალაში შესვლამდე გადამოწმებული იქნა კონსტიტუციურობის ტესტზე, შესაძლოა პრაქტიკაში გამოყენებისას სრულიად მოულოდნელი კონტექსტით არაკონსტიტუციურად იქცეს განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლომ ხელი მიჰყო ერთი ნორმის სხვადასხვა ნორმატიული შინაარსის შეფასებებს. ამდენად, გამოიკვეთა ცალსახა პოზიცია, რომ პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლი, მიუხედავად მისი დადებითი თვისებისა, რომ დასაწყისშივე ახდენს არაკონსტიტუციური ნორმების მოქმედების აღმოფხვრას, ვერ უზრუნველყოფს იმ სიკეთის მოტანას, რაც რეპრესიული კონტროლის შედეგად მოიპოვება.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ნაშრომში გამახვილდა ყურადღება, არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის რეალური გავლენა კანონმდებლობაზე. როგორც განხილული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ირკვევა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ეფექტის მოხდენა შეუძლიათ საკანონმდებლო აქტებზე. პირველ რიგში აღსანიშნავია მათი პირდაპირი მოქმედების ძალა, რაც გამოიხატება სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად გამოცხადებული აქტების „სიცოცხლის დასრულებაში“ და დამატებით რეაგირებას საკანონმდებლო ორგანოსგან ძირითადად აღარ ითხოვენ. თუმცა განხილულ იქნა ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომელთა შესრულება პირდაპირ მოითხოვს პარლამენტის პოზიტიურ მოქმედებას, ვინაიდან შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა სასწრაფო დარეგულირებას საჭიროებდა პრაქტიკული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით (ე.წ. სახელმწიფო ბაჟის გადაწყვეტილება).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ასევე ნორმის ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად გამოცხადების შედეგად მისი აღსრულებასთან დაკავშირებული თავისებურებებია. ნაშრომში გადმოცემული მსჯელობიდან ირკვევა, რომ ასეთ შემთხვევაში საკმაოდ პრობლემურია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადრესატის განსაზღვრა. როგორც აღვნიშნეთ, აქ არ ხდება თავად საკანონმდებლო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება, არამედ მასში მოაზრებული ერთ-ერთი შინაარსისა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში საერთო სასამართლომ არაკონსტიტუციურად განმარტა და შეუფარდა. ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევებში არამხოლოდ სამართალშემფარდებელი ორგანოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადრესატი, არამედ საკანონმდებლო ორგანოსაც ევალება გადახედოს შესაბამის ნორმას და თუ ეს შესაძლებელია, უფრო განჭვრეტადი და არაორაზროვანი რედაქციით შეცვალოს იგი, რათა არც საერთო სასამართლო შევიდეს შეცდომაში, და არც საკონსტიტუციო სასამართლოს პროვოცირება არ მოხდეს პოზიტიურ კანონმდებლად ჩამოყალიბების მიმართულებით.



შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გავლენის ხარისხი საკანონმდებლო ორგანოზე დიდწილად დამოკიდებულია არა დანერგულ, საკანონმდებლო რეგულაციებით მისთვის მინიჭებულ კომპეტენციაზე, არამედ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მისწრაფებაზე, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობაში. მართალია სასამართლოს ასეთი თვითშემოქმედებითა და გაზრდილი კომპეტენციით ადამიანის უფლებათა დაცვა უფრო ეფექტიანი და სანდო ხდება, მაგრამ მაინც საფრთხილოა საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი სითამამე, ვინაიდან იგი პირდაპირ უკავშირდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცულობას. გრძელვადიან პერსპექტივაში ვამბობთ, იმიტომ, რომ ერთ და ორ წელში ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტივიზმი ძალაუფლების დაბალანსების მიმართულებით, თუმცა ათწლიან პერსპექტივაში იგი სერიოზულად დააზიანებს არამხოლოდ პარლამენტის პრესტიჟს, არამედ თავად სასამართლოსიც, ვინაიდან იგი გახდება მთავარი პასუხისმგებელი არამხოლოდ სამართალშეფარდებაში, არამედ საკანონმდებლო ნების განსაზღვრაშიც, რისი საბოლოო სურათი იქნება დაუბალანსებელი და გაუკონტროლებელი სახელისუფლებო სისტემა. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების გადანაწილება იმაზე კი არ უნდა რეაგირებდეს, თუ ვინ ვის მოერევა, მისთვის არსებითი უნდა იყოს კონსტიტუციური პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც საბოლოოდ საერთო სიკეთეს ემსახურება“.<sup>341</sup>

### **რეკომენდაციები**

ნაშრომში განხილული პრობლემური საკითხების ანალიზის შედეგად, შესაძლებელია მათი ეტაპობრივი გადაჭრისათვის შემდეგი რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების ზუსტი განწერა საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ, რეალური საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილების ოფიციალურად მინიჭება იმ დათქმით, რომ საკონსტიტუციო საჩივრით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა ინდივიდებს შეეძლებათ მხოლოდ საერთო სასამართლოებში ყველა ინსტანციის უშედეგოდ გავლის შემდეგ და მხოლოდ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მოტივით. ამით უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების

<sup>341</sup> შტამპფი ი., ხელისუფლების დანაწილება, საკონსტიტუციო რეფორმების პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობა; სტატიათა კრებულიდან, 23. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>

სრულყოფილი დაცულობა, რაც შეამცირებდა საერთაშორისო სასამართლოებში ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული საჩივრების რაოდენობას.

– ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილების შეზღუდვა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, ვინაიდან ამით არსებითად ირღვევა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლო ხდება პოზიტიური კანონმდებელი.

– საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებს შორის კომუნიკაციის სტანდარტების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობდა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას და მოსამართლეთა შორის დიალოგის კულტურის დანერგვას.

– საერთო სასამართლოებში მხარეთათვის საკანონმდებლო დონეზე უფლებამოსილების მინიჭებას, რომ მათ შეუძლიათ მიმართონ საერთო სასამართლოს შუამდგომლობით, შესაბამისი საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობის გადამოწმებისთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ეს ნორმა წაახალისებდა კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების პრაქტიკას, ნორმათა კონკრეტული კონტროლის გააქტიურებას და მოქალაქეებს აღარ დასჭირდებოდათ დამოუკიდებლად ებრძოლათ „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების გამოყენებით თავიანთი უფლებების დასაცავად.

– კანონმდებლობით დაიხვეწოს კონსტიტუციური წარდგინების განხილვის პროცედურები და წესი. კერძოდ, დადგინდეს აღნიშნული სასამართლო პროცესის ზეპირი განხილვა საერთო სასამართლოში მიმდინარე შესაბამისი საქმის მხარეების სავალდებულო მონაწილეობით.

– მნიშვნელოვანია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, საკონსტიტუციო სასამართლომ თავი შეიკავოს საკანონმდებლო ორგანოსთვის ისეთი მითითებების გაცემისაგან, რომლებიც არსებითად საკანონმდებლო ნების გამოხატულებაა და დაუშვებელია სასამართლო ორგანო ასეთი ნების შემოქმედი გახდეს (საუბარია, კონკრეტული მოწესრიგების სწორი წესის შეთავაზებებზე).

ჩამოთვლილი რეკომენდაციების ეტაპობრივი შესრულებით, ვფიქრობთ მიიღწევა ხელისუფლების რეალური დაბალანსება და სხვადასხვა შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და პატივისცემის უზრუნველყოფის გზით სამართლებრივი, კონსტიტუციური სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

## ბიბლიოგრაფია

### ნორმატიული აქტები

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“

საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი

აზერბაიჯანის კონსტიტუცია

აზერბაიჯანის კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ

უკრაინის კონსტიტუცია

უკრაინის კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ

### ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ბაბუკი/გაული ვ., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993–1995), კ. კუბლაშვილის თარგმანი, 2002
2. ბაბუკი ვ., საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ: მიღწევები, გამოწვევები, მომავლის ხედვები; საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016
3. ბენიძე ო., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997
4. ბეჟიტაშვილი ო., საკონსტიტუციო კონტროლი იტალიაში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997

5. ბლანკენაგელი ალ., გაული ვ., კონსტიტუციური მომენტები და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ყოველდღიური ცხოვრება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000
6. ბობიო ნ., დემოკრატიის მომავალი, ნ. კენჭაძის თარგმანი, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი, 2003.
7. გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012
8. გენაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998
9. გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2017.
10. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი, დ. გეგენავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019.
11. გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2013.
12. გეგენავა დ., საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩხილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
13. გეგენავა ა., გეგენავა დ., „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრინვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და კანონმდებლობის ნორმატიული შიმშილი, სტატიათა კრებული: ბესარიონ ზოიძე 60, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013
14. გიორგაძე ლ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სახე და მისი თანამედროვე მოდელები: ბრძოლა უპირატესობისათვის, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩხილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
15. გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2014.

16. გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2019
17. დემეტრაშვილი ა., საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის გარანტია, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000
18. დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ., კონსტიტუციური სამართალი, გამომც. იურისტების სამყარო, თბილისი, 2016.
19. დუდაშვილი ნ., კონსტიტუცია და მისი დამცველი ინსტიტუტის როლი ძალაუფლების გამიჯვნაში, სამართლის სტატიათა კრებული, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013
20. დიდიე მო, უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, №2, თბილისი, 2010
21. ერქვანია თ., კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ხარვეზები საქართველოში – ე.წ. „რეალური“ საკონსტიტუციო სარჩელის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში ინტეგრირების შესახებ“, სტატიათა კრებული – ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, კ.კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2017.
22. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში; GIZ, თბილისი, 2007
23. ზოიძე ბ., მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006
24. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადანაცვებების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004
25. ზოიძე ო., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ტენდენციები და პერსპექტივები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000
26. იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, GTZ, გამომცემლობა სიესტა, თბილისი, 2009
27. კახიანი გ., აბსტრაქტული ნორმათკონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში, სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, 2009
28. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი; სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008

29. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005
30. კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006
31. კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 1997
32. კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I, დ. გეგენევას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018.
33. მარინაშვილი მ., გელაშვილი ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადგილი სამართლის წყაროთა სისტემაში, უურნალი მართლმსაჯულება, №3, 2007.
34. მელქაძე ო. და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ნაწილი I, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2001.
35. მელქაძე ო., მახარაძე ო., პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში (ქართულ პრობლემებთან დაკავშირებით), გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, 2001.
36. მელქაძე ო., საკონსტიტუციო თვითშემოქმედება გრძელდება, გაზეთი „24 საათი“, №148, 2004
37. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, „მერანი-3“, თბილისი, 2000.
38. მელქაძე ო., სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, გამომცემლობა „უფლება“, თბილისი, 1996.
39. მელქაძე ო., გონაშვილი ვ., საკონსტიტუციო ზედამხედველობა და კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში, უურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1999
40. მენაბდე ვ., ძალაუფლების მოთვინიერება – კონსტიტუციის უძლეულება და რევილუცია; საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016
41. პატარაია დ., ჯონ ლოკი, ორი ტრაქტატი მმართველობაზე, საიუბილეო კრებული: მზია ლეკვეიშვილი 85, თბილისი, 2014.
42. შაიო ა., ხელისუფლების თვითშემზღვევა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი; თევდორე ნინიძის მეცნიერული რედაქციითა და წინათქმით, აირის საქართველო, თბილისი, 2003

43. შარაშიძე მ., ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმატოკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2003
44. შარაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები; სტატიათა კრებული (რედ. კ. კორკელია): ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მქანიზმები, თბილისი, 2010
45. შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში; აირის საქართველო, გამომც. სეზანი, 2003.
46. შტამპფი ი., ხელისუფლების დანაწილება, საკონსტიტუციო რეფორმების პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობა; სტატიათა კრებულიდან, <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>
47. ძამაშვილი ბ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გვეგნავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
48. ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გვეგნავას რედაქტორობით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
49. ცნობილაძე პ., ხუბუა გ., ხმალაძე ვ., მეტრეველი ნ., კაპანაძე ო., როგორ იქმნება კანონი, გამომცემლობა აზრი, თბილისი, 2000.
50. ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში; საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა, თბილისი, 2011.
51. ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოს (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, ურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №2 (58), თბილისი, 2018
52. ხეცურიანი ჯ., საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოს (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ურნალი, გამოცემა №1, 2018
53. ხეცურიანი ჯ., ნორმათა კონკრეტული კონტროლი; ურნ. მართლმსაჯულება და სამართალი, №5(48), 2015
54. ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების 20 წლისთავისთვის მიძღვნილი გამოცემა, „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2016

55. ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2000
56. ხუბუა გ., ერთი კონსტიტუციური ტერმინის შინაარსისათვის, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2000
57. ხუბუა გ., საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები; სახელმძღვანელო: საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, რედ: გ. ხუბუა და ვ. ზომერმანი, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, თბილისი, 2016
58. ხუბუა გ., ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ; ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, თბილისი, 2016
59. ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური ორგანო; საიუბილეო კრებული: გურამ ნაჭყებია – 75, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016
60. ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სახელმწიფო ორგანოთა შორის და რეალური კონტროლის დამკვიდრების პერსპექტივები საქართველოში; II ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, მოხსენებების კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2016
61. ჯავახიშვილი, პ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ფაქტობრივი რეალური კონტროლი; სამართლის ჟურნალი, 1, 2017, თბილისი
62. ჯანდა ე., ბერი ჯ.მ., გოლდმენი ჯ., ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, რ. გაჩეჩილაძის თარგმანი, მინდია უგრეხელიძის რედაქტორობით, თბილისი, 1995.
63. ჯორბენაძე, ო., მოსაზრებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #3/2/646 გადაწყვეტილების შესახებ (განმეორებითი წინასწარი პატიმრობა); სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), 2015
64. ჰარტვიგი მ., ინდივიდუალური კონსტიტუციური საჩივარი, როგორც უფლების დაცვის განსაკუთრებული სახის წარმოება; ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, სტატიათა კრებული ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2014

### უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Choi Y., Die Pflicht des Gesetzgebers zu Beseitigung von Gesetzesmaengel (კანონმდებლის ვალდებულება კანონის ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით); დისერტაცია, ხელმძღვ.: Ulrich Karpen, ჰამბურგი, 2002.



2. Gegenava D., Constitutional Court of Georgia as Positive Legislator: Transformation and Modern Challenges, Polish-Georgian Law Review, Nn. 3/2017
3. Gegenava D., Unconstitutional Constitutional Amendment: Three Judgments from the Practice of the Constitutional Court of Georgia, South Caucasus Law Journal, 5/2014, [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2600944](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2600944)
4. Degenhart C., Staatsrecht I, Staatsorganisationsrecht, mit Bezuegen zum Europarecht, 31. Auflage.
5. The 1921 Constitution of The Democratic Republic of Georgia, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო), ბათუმი, 2012.
6. Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2014, [https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/7542/file/loladze\\_diss.pdf](https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/7542/file/loladze_diss.pdf)
7. Gentili G., A Comparison of European systems of direct access to constitutional judges: exploring advantages for the Italian Constitutional Court. [http://sro.sussex.ac.uk/id/eprint/57091/1/Italian\\_PublicSSRN-id2143089.pdf](http://sro.sussex.ac.uk/id/eprint/57091/1/Italian_PublicSSRN-id2143089.pdf)
8. STUDY ON INDIVIDUAL ACCESS TO CONSTITUTIONAL JUSTICE Adopted by the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), CDL-AD(2010)039rev. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e)
9. Barak A., Purposive Interpretation in Law, Translated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005 <http://assets.press.princeton.edu/chapters/s7991.pdf>
10. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) The Role of the Constitutional Court and Ordinary Courts in the Protection of Human Rights, CDL-JU (2002) 43, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-JU\(2002\)043-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-JU(2002)043-e)

### ელექტრონული რესურსები

1. „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეორე სექცია, სტრასბურგი, 2006 წლის 28 ნოემბერი. <http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fgadackvetilebebi%2Fapostoli%20saq.%20c%20inaagmdeg.pdf>
2. ევროპული ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები, შედარებითი კვლევა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ანალიტიკური დეპარტამენტი, ივლისი,

2014,

13,

ხელმისაწვდომია:

<http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fanalitikuri%20dep%2FConstitutional%20Courts%20Research.pdf>

3. ფირცხალაშვილი ა., კონსტიტუციური კონტროლის გაზრდის კონსტიტუციურობა, 2015, <http://liberali.ge/articles/view/3987/konstitutsiuri-kontrolis-gazrdis-konstitutsiuroba>
4. ინტერვეუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, ბატონ ზაზა თავაძესთან, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №9/2018, თბილისი, 2018, <http://www.library.court.ge/upload/jurnali%20samartali%20da%20msofli.pdf>
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 20 წელი, პრეცედენტული გადაწყვეტილებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გამომცემლობა. <https://www.constcourt.ge/ge/publications/otherpublications/sakonstitucio-sasamartlos-precedentuli-gadawyvetilebebi-20-weli.page>
6. ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, სტატიათა კრებული; <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>
7. სამხარაძე კ., ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ნამდვილი სამართლის პრიმატი კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა №2/2018 [http://www.iipsl.jura.uni-koeln.de/sites/iipsl/Forschung/Georgian\\_Full\\_Version\\_of\\_the\\_Journal.pdf](http://www.iipsl.jura.uni-koeln.de/sites/iipsl/Forschung/Georgian_Full_Version_of_the_Journal.pdf)
8. ქაშაკაშვილი ნ., კონსტიტუციის განმარტება და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ხედვები; სტატიათა კრებულიდან, <https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44099.pdf>
9. შანავა ა., ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მისი გადაწყვეტილების სავალდებულობის შესახებ; კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი [http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI\\_SHNAVA\\_93010.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/AKAKI_SHNAVA_93010.pdf)
10. დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1993. <https://www.scribd.com/doc/294496352/>
11. ერქვანია თ., ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელი, როგორც კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის არასრულყოფილი ფორმა საქართველოში, 2014, <https://emc.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-rogorcs-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasrulqofili-forma-sakartveloshi>
12. ზაალიშვილი ნ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციური კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში მისი დამკვიდრების პერსპექტივა, [http://www.parliament.ge/files/legal\\_issues/publications/saerto\\_sasamartloebi.pdf](http://www.parliament.ge/files/legal_issues/publications/saerto_sasamartloebi.pdf)

13. კლდიაშვილი ი., ხელისუფლების დანაწილების, შეკავებისა და განონასწორების სისტემა და კონსტიტუციონალიზმის ამერიკული ხედვა; სტატიათა კრებულიდან, <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41643.pdf>

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები:**

1. 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767/1272 გადაწყვეტილება საქმეზე: „ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
2. 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
3. 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
4. 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე.“
5. 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“.
6. 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სადაზღვევო კომპანია უნიონი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
7. 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
8. 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „ეკატერინე ლომთათიძე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
9. 2019 წლის 18 აპრილის №1/1/655 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სკს საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
10. 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,12356 გადაწყვეტილება საქმეზე „როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

11. 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
12. 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
13. 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ“.
14. 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 აპრილის №2/4/324 განჩინება საქმეზე „მოქალაქე ნელი ნებიერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.